www.ChiaturaINFO.GE

დათო ტურაშვილი

ჯინსების თაობა

www.ChiaturaINFO.GE

ჯინსების თაობა

დათო ტურაშვილი

პროლოგი

ამ წიგნის გამოქვეყნებას აღარც ვაპირებდი, რადგან გულუბრყვილოდ მეგონა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს საბჭოთა წარსული მხოლოდ მწარე მოგონება იქნებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ წარსულს თურმე დაბრუნებაც შეუძლია და განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ იმ წარსულს ჩვენ თვითონაც არ ვშორდებით.
ჩვენ კი დავშორდით მხოლოდ დროს და არა იმ ქვეყნის ცნობიერებას, რომელსაც ბოროტების იმპერიას უწოდებდნენ, სადაც სიკეთე ისეთი იშვიათობა იყო, რომ კოსმოსის პირველამთვისებელ ზესახელმწიფოში, ჯინსები ვერ შეკერეს. ჯინსების შეკერვაზე კეთილი საქმე, აბა, რა უნდა ყოფილიყო, თუმცა საბჭოთა კავშირში ჯინსები მართლა ვერ შეკერეს და ამიტომაც ყველაზე ბოროტი გამოსავალი მოძებნეს – ჯინსები უბრალოდ აკრძალეს.
აკრძალული ჯინსები კი უფრო ტკბილი აღმოჩნდა, ვიდრე აკრძალული ხილი და თავისუფლებასავით ნანატრი ჯინსების მოპოვება საბჭოთა ადამიანებმა კონტრაბანდული გზებით სცადეს. უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან სხვადასხვა გზით შემოღწეულ ჯინსებს შორის ზოგჯერ ნამდვილი ჯინსების აღმოჩენაც შეიძლებოდა, მაგრამ მაშინდელ საქართველოში ნამდვილი ჯინსები (და საერთოდ ყველაფერი ნამდვილი) ძირითადად ამერიკული ეგონათ, რადგან მთავარი საბჭოთა პროპაგანდა ყველაზე მეტად ამერიკის შეერთებულ შტატებს ებრძოდა. მოსკოვის იდეოლოგია (განსაკუთრებული მონდომებით) ამერიკულ ფასეულობებს უპირისპირდებოდა (მათ შორის ჯინსებსაც) და საბჭოთა ადამიანებსაც შეცდომით ეგონათ, რომ სადაც იყო ჯინსები, ბედნიერებაც იქ იყო.
თუმცა, სადაც არ იყო ჯინსები, მართლა არ არსებობდა საკუთრებაც ზოგადად, როგორც საფუძველთაგანი დამოუკიდებლობისა და თავისუფალი შეგეძლო მხოლოდ საფლავში ყოფილიყავი. უფრო სწორად კი შენი თავისუფლება საბჭოთა ხელისუფლებას მხოლოდ მაშინ არ აწუხებდა, როცა შენ უკვე საფლავში იწექი და ამიტომაც, სხვა საკუთრებისაგან განსხვავებით, საფლავს არ შეგეცილებოდნენ. თანაც საბჭოთა ათეისტებმაც იცოდნენ, რომ ისინიც იმავე მიწას უნდა მიბარებოდნენ და საფლავებთან დაკავშირებით, მართლაც ლოიალურები იყვნენ და მეტიც – საბჭოთა ქართველებსაც ისევე უყვარდათ მკვდრები, როგორც საერთოდ დანარჩენ ქართველებს.
შეიძლება სხვა მიზეზიც არსებობდა, მაგრამ ფაქტია, რომ საფლავის მიწა ერთადერთი საკუთრება იყო, რაც ხალხისთვის არ ენანებოდა საბჭოთა ხელისუფლებას და საბჭოთა ქართველის დეგრადირებაც აქედან დაიწყო. ქართველის გემოვნებაც სწორედ საბჭოთა პერიოდში გადაგვარდა, რადგან ერთადერთი, რაც მის საკუთრებას წარმოადგენდა, საფლავი იყო და ისეთი საფლავების შექმნა დაიწყო, როგორიც მას არასოდეს ჰქონია. მანამდე ქართული საფლავი ყოველთვის იყო უბრალო და გენიალური, საბჭოთა საქართველოში კი არა მხოლოდ საფლავისადმი, არამედ სიკვდილისადმი დამოკიდებულებაც შეიცვალა და საბჭოთა ქართულ საფლავებზე გაჩნდა მარმარილოს სკამები და მაგიდები, მოტოციკლები და მანქანებიც კი. მართალია, იმ მანქანებს სხვის სახელზე აფორმებდნენ მათი პატრონების სიცოცხლეში, მაგრამ საბჭოთა ქართველმა დანამდვილებით იცოდა, რომ საფლავის მიწა მისი იყო და ამ მიწას, სხვა საკუთრებისაგან განსხვავებით, არავინ ჩამოართმევდა. ამიტომაც უვლიდა, ალამაზებდა (თავისი ჭკუით) და აშენებდა ერთადერთ საკუთრებას, რომელიც გააჩნდა. საბჭოთა ხელისუფლებაც, სახლში და ეზოში კედელს რომ არ აგაშენებინებდა, საფლავზე რომ სასახლე დაგედგა, ხმას არ გაგცემდა, რადგან საფლავის მიწაზე თავისუფალი იყავი და საფლავი იყო ერთადერთი ადგილი საბჭოთა საქართველოში, სადაც საბჭოთა ხელისუფლება არ ვრცელდებოდა.
რადგან ხელისუფლებაში ქართველები იყვნენ, მათაც (მაშინაც) მკვდრები უფრო უყვარდათ, ვიდრე ცოცხლები და მკვდრებს უფრო სცემდნენ პატივს, ვიდრე ცოცხლებს, მაგრამ

გარანტირებული საფლავისათვის ერთი საბჭოთა პირობა მაინც არსებობდა – შენ თვითონ უნდა მომკვდარიყავი. თუ ისინი მოგკლავდნენ (ამ მიზნით დახვრეტებს მიმართავდნენ ხოლმე საბჭოთა კავშირში), მაშინ საფლავის იმედი არ უნდა გქონოდა, რადგან, მათი ლოგიკით, საფლავი არ გეკუთვნოდა, გეკუთვნოდა მხოლოდ ქართული მიწა და აუცილებლად დაგმარხავდნენ, მაგრამ შენი საფლავი არ იარსებებდა. შეუერთდებოდი ქართულ მიწას, სადმე, ქალაქიდან მოშორებით, სადაც გათხრილ ორმოში ისე ჩაგაგდებდნენ, რომ ვერავინ დაგინახავდა (შემთხვევითაც კი) და არავის ეცოდინებოდა, რომ ამ ტრიალ მინდორზე, ამ ბალახის ქვეშ, ათასობით დახვრეტილი განისვენებს. მათთვისაც, ვინც თხრიდა შენს ორმოს (და არა საფლავს), შეუძლებელი იყო მეორე დღესაც კი, იმ ადგილის მიგნება და ამოცნობა, სადაც წინა ღამით ჩაგაგდეს, მაგრამ ზოგჯერ ადამიანის ამოცნობა ისეთივე შეუძლებელია, როგორც სამყაროსი, რომელიც ისეთივე დიდია, როგორც ის ტრიალი მინდორი, სადაც იმ ღამის ერთ-ერთმა მესაფლავემ თხუთმეტი წლის შემდეგ იმ საიდუმლო სამარხს ზუსტად მიაგნო.

თუმცა ის არ იყო მკვლელი და იყო მესაფლავე, რადგან მკვლელი რომ ყოფილიყო, კი არ დაიმახსოვრებდა დამარხვის ადგილს, არამედ დაივიწყებდა. მას კი ახსოვდა ზუსტად ის ბალახი უშველებელ ტრიალ მინდორზე, რომლის ქვეშაც უნდა ყოფილიყო გეგა კობახიძე. ტრუმენ კაპოტეს ბალახის ვერცერთი ჩანგი ვერასოდეს მიგაგნებინებს თხუთმეტი წლის წინ ამოთხრილ ორმოს და ვერც შექსპირისა და გალაკტიონის რომელიმე მესაფლავე დაიტირებს რომელიმე მკვდარს ასეთი თავგანწირვით. თუმცა ის არ ტიროდა, უბრალოდ საფლავს თხრიდა ნოემბრის იმ ცივ ღამეს და მთვარის შუქზე იმახსოვრებდა საიდუმლოს, რომელიც თხუთმეტი წლის შემდეგ ჩურჩულით გაუმჟღავნა გეგა კობახიძის დედას. გეგას დედამ, ნათელა მაჭავარიანმა, ვისაც ამ თხუთმეტი წლის მანძილზე ვინ იცის, რამდენჯერ უთხრეს ჩურჩულით, რომ დანამდვილებით იცოდნენ მისი შვილის ადგილსამყოფელი, ზუსტად გამოიცნო, რომ ამ კაცმა მართლა რაღაც იცოდა.

ამ კაცს, შეუძლებელი იყო, რამე არ სცოდნოდა, რადგან მას სახე არ ჰქონდა, საერთოდ არ ჰქონდა, სწორედ იმის გამო, რაც ნანახი ჰქონდა. მას არ უჩანდა სახე, რადგან ეს სახე ტკივილებისა და გაოგნებისაგან მიღებულ იარებს დაეფარა და ნათელა მაჭავარიანი მიხვდა, რომ ეს კაცი კარგა ხნის მკვდარი იყო და ამიტომაც სხვა მკვდრების ამბავი მართლა ეცოდინებოდა.

თუმცა წლების მანძილზე გეგა კობახიძის დედა მაინც მიჰყვებოდა ყველას შვილის მოსაძებნად და ზოგჯერ იმათაც კი, ვინც მართლა მოგზავნილი ეგონა. მიჰყვებოდა ისეთებსაც, რომლებიც გასამრჯელოს ითხოვდნენ ინფორმაციის სანაცვლოდ და მერე მოსკოვის ან ლენინგრადის სადგურიდან უგზო-უკვლოდ ქრებოდნენ.

იქიდან კი გზა ციმბირისა და ჩრდილოეთის ბანაკებისაკენ მხოლოდ იწყებოდა.

სიკვდილამდე სიკვდილის დაჯერება მაინც ძნელია და მით უმეტეს, შვილის სიკვდილის, რადგან შვილის სიკვდილი უბრალოდ არ არსებობს და მით უმეტეს მაშინ, როცა ამ სიკვდილს გიმალავენ და ოფიციალური პასუხის მიღება კი ისევე გეკრძალება, როგორც ოფიციალური ოცნება. მაგრამ ოფიციალური იმედი არ არსებობს, იმედი ერთია, ის შენია და შეგიძლია ამ იმედით იცოცხლო. ამ იმედით შეგიძლია ეძებო შენი სიკვდილმისჯილი შვილი, რომელიც თურმე (იქნებ) არ დახვრიტეს და სადღაც ციმბირში, ძალიან შორეულ ბანაკში სამუდამო პატიმარია, მაგრამ მაინც ცოცხალი.

და იმ წლების მანძილზე ყოველთვის ჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ გეგა (ან რომელიმე მათგანი), ცოცხალი ნახეს რუსეთის რომელიღაც განსაკუთრებული რეჟიმის საპატიმრო ბანაკში და მშობლებიც მიდიოდნენ. და მიდიოდნენ არა იმიტომ, რომ ვერ ხვდებოდნენ, რომ ამ საშინელ, უკიდეგანო და უმისამართო საბჭოთა კავშირში შეუძლებელი იყო დახვრეტილი შვილების პოვნა, არამედ იმიტომ, რომ არ მომკვდარიყო იმედი.

და როცა იმედიც მოკვდა, მესაფლავე მოვიდა.

ბოლოს მშობლებიც მიხვდნენ, რომ ურჩევნიათ იცოდნენ სიმართლე, თუნდაც ყველაზე საშინელი

და ურჩევნიათ იცოდნენ, სად არიან მათი შვილები – თუნდაც დახოცილები. და როცა მესაფლავე მოვიდა, ნათელა მაჭავარიანი მაშინვე მიხვდა, რომ ამ კაცმა რაღაც იცოდა, იცოდა უფრო მეტი, ვიდრე ყველამ ერთად, ვინც მოდიოდა მათთან ჩურჩულით და ქალბატონმა ნათელამ ზუსტად გამოიცნო, რომ სწორედ ეს კაცი იყო მათი იმედის მესაფლავე.
წავიდნენ ცოტანი და ჩუმად, რადგან მაშინდელ ცეკას მდივანს უკვე პრეზიდენტი ერქვა (ედუარდის ნაცვლად გიორგი), თორემ სინამდვილეში ზუსტად ის იყო, ვინც ყველაზე კარგად და ზუსტად იცოდა ვინ როგორ და როდის მოკლეს, მაგრამ მაინც დუმდა.
წავიდნენ ჩუმად. ციოდა, მაგრამ ქალებს არც სიცივის შეშინებიათ და არც სველი მიწის, რომელსაც კაცებთან ერთად ამოთხრიდნენ, კაცებს ქალების დახმარებაზე უარი რომ არ ეთქვათ. წვიმდა. ზოგჯერ გადაიღებდა ხოლმე, მაგრამ მიწა ისე იყო ატალახებული, რომ კაცების გახშირებული სუნთქვის ხმა ბოლომდე ისმოდა იმ ტრიალ, უკიდეგანო მინდორზე.
ქალებს არ ეშინოდათ, მაგრამ ნათელა მაჭავარიანი მაინც გაოგნებული იყო მესაფლავის სიზუსტით და ცდილობდა მისი სახის დამახსოვრებას, მაგრამ ეს მართლა შეუძლებელი იყო, რადგან მესაფლავეს სახე მართლა არ ჰქონდა. მინდორი კი იყო მართლა უსასრულო, უზარმაზარი სასაფლაო სადაც მარხავდნენ ღამღამობით ქალაქიდან გამოტანილ გვამებს, იმ ადამიანებს, ვისაც ათეული წლების მანძილზე ხვრეტდა საბჭოთა ხელისუფლება ვინაობის მითითებისა და სასახლის გარეშე.
ქართველებმა კუბოს სასახლე დაარქვეს, რომ სიკვდილი მათთვის უფრო მსუბუქი ყოფილიყო, მაგრამ ვისაც საბჭოთა ხელისუფლება ხვრეტდა, სასახლის გარეშე მარხავდა. ამიტომაც გაუკვირდა თვითონ იმ მესაფლავესაც კუბოს ხმა, როცა მას ცივი ბარი მოხვდა (როგორც იქნა) და მხოლოდ ამის შემდეგ გაიხსენა მესაფლავემ, რომ ეს იყო გამონაკლისი დახვრეტილი, რომელიც კუბოთი ჩაუშვეს ორმოში და ახლა უფრო თამამად გაიმეორა ფრაზა, რომლის გამოც ისინი ყველანი ახლა აქ იყვნენ. მესაფლავემ ზუსტად იცოდა გეგა კობახიძის დაკრძალვის ადგილი. კუბო კი იყო რკინის და არა ხის, (როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე) და ამ ხმაზე გეგას მამა, მიშა კობახიძე, ძალიან ცუდად გახდა. ისე ცუდად, რომ ქალებმა წყლის მიწოდება გადაწყვიტეს მისთვის, მაგრამ წყალი არ აღმოაჩნდათ, ახლომახლო კი სოფელი არ იყო. მეტიც – უცებ ვერცერთმა მათგანმა ვერ გაიხსენა რომელი მხრიდან მოვიდნენ და სად მიდიოდა გზა, რომელიც ამ მინდორს მიუყვებოდა. როცა თბილისიდან მოდიოდნენ, ცალ-ცალკე და შეთანხმების გარეშე, ყველანი სწორედ გზის დამახსოვრებას ცდილობდნენ, მაგრამ როგორც კი კუბოს ხმა გაისმა, გზა გაქრა და ისინი აღმოჩნდნენ უცნობ ქალაქში, ქალაქში რომელიც თურმე აქვე, თბილისიდან არცთუ ისე მოშორებით, 1921 წლიდან არსებობდა. ეს იყო მიწისქვეშა ქალაქი, რომელიც ზემოდან მინდვრის ყვავილებით იყო დაფარული და ქვევით კი თბილისისა და საქართველოს უახლეს ისტორიას მალავდა. ეს მინდორი ფარავდა XX საუკუნის საქართველოს მიწისქვეშა ისტორიას და ამ მიწისქვეშეთში, ყველაზე ხშირად, პირდაპირ იატაკქვეშეთიდან ხვდებოდნენ. აქ განისვენებდნენ ისინი, ვისაც საბჭოთა ხელისუფლება წყალსაც არ მიაწვდიდა სიცოცხლეში და მკვდრებს კი წყალი უკვე აღარ სჭირდებოდათ. ამიტომაც ვერავინ მიხვდა (ახლაც არ ახსოვთ), საიდან მოიტანა წყალი მესაფლავემ, როცა მიშა კობახიძე ცუდად გახდა (ახლოს კი სოფელი არ იყო) და კუბოს ახდამდე კი, სულ რამდენიმე წამი რჩებოდა. ამ წამს მშობლები მაინც არ დაასწრეს, თუმცა ალბათ ვინ იცის, რამდენჯერ ჰქონდათ ნანახი სწორედ ეს უკანასკნელი წამი გეგა კობახიძის მშობლებს. კუბო დანარჩენებმა გახსნეს. ნათია მეგრელიშვილმა მაშინვე ამოიცნო მიცვალებული, მაგრამ ეს არ იყო გეგა კობახიძე.
თუმცა, სანამ კუბოს მიაგნებდნენ, 1999 წლის იმ წვიმიან დღეს, როცა რამდენიმე ადამიანი, ძალიან დაძაბული და ნერვული სახეებით თხრიდა მიწას იმ გაშლილ ველზე, ირგვლივ კი ჯერ არანაირი ნიშანი არ ჩანდა იმისა, რომ აქ ვინმე შეიძლება დაკრძალული ყოფილიყო, ნათელა მაჭავარიანის დუმილის საპასუხოდ იმ უცნაურსახიანმა კაცმა ხმამაღლა თქვა:

– ნამდვილად ეს ადგილია, ზუსტად მახსოვს.
– უკვე თხუთმეტი წელი გავიდა, – თქვა რომელიღაცამ.
– გეგას საფლავი აქ არის, ზუსტად მახსოვს.
კაცებმა მიწის თხრა უსიტყვოდ გააგრძელეს და სიჩუმეში მათი გახშირებული სუნთქვის ხმაც მანამ ისმოდა, სანამ ერთ-ერთი მათგანის ნიჩაბი კუბოს ფიცარს არ მოხვდა. ამ ხმაზე ყველანი გაშეშდნენ, მაგრამ მხოლოდ წამით და მერე კი ერთად გააგრძელეს კუბოს ამოთხრა და კუბო ზევით, მიწის ზედაპირზე ამოიტანეს.
როცა კაცებმა კუბოს თავი ახადეს, ქალი შეტრიალდა სწრაფად და კაცების რეაქციას დაელოდა. კაცებმა კი გაოგნებულებმა დახედეს ცხედარს, რომლის ამოცნობაც, ამდენი ხნის შემდეგ, უკვე ძნელი იყო, თუმცა ნათია მეგრელიშვილმა ჩუმად, მაგრამ დარწმუნებით თქვა:
– ეს არ არის გეგა.
ეკა ჩიხლაძე კი მართლა ვერ წარმოიდგენდა თუ ოდესმე ისევ ნახავდა სოსო წერეთელს, რომელსაც თხუთმეტი წლის შემდეგაც ის ჯინსები ეცვა, უკანასკნელი ნახვისას რომ დაამახსოვრდა ეკას, რამდენიმე დღით ადრე თვითმფრინავის გატაცებამდე...

www.ChiaturaINFO.GE

თინა

მანამდე კი, თხუთმეტი წლით ადრე, 1983 წლის 18 ნოემბერს, წარუმატებლად გატაცებული და თბილისის აეროპორტში დაშვებული თვითმფრინავის ღია კარში „ლიმონკით“ ხელში იდგა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც წვიმის წვეთები უსველებდნენ სახეს საშინელი აღსასრულის მოლოდინში.

თინაც სწორედ იმიტომ იდგა ლიმონკით ხელში თვითმფრინავის ზღურბლზე, რომ ყველაფერი მალე დასრულებულიყო და ხელისუფლებას მალე გაეკეთებინა ის, რის გაკეთებასაც მაინც აპირებდა. განაჩენის მოლოდინში ადამიანების წამება თვითმფრინავში ისე უსაშველოდ გაიწელა, რომ დასასრულის მოახლოებაზე ყველანი ოცნებობდნენ: ისინიც, ვინც გარედან ადევნებდნენ თვალს მოვლენებს და ისინიც, ვინც თვითმფრინავში ისხდნენ. გარედან დაცხრილულ თვითმფრინავში მგზავრებსა და ეკიპაჟის წევრებს შორის დაღუპულებიც იყვნენ და ზოგიერთი მათგანის ცხედარი ჯერ კიდევ სალონის გასასვლელში ეგდო. იყვნენ დაჭრილებიც და თვითმფრინავის სიჩუმეს მათი კვნესა არღვევდა, ერთი მათგანი კი ჩურჩულით ემუდარებოდა თინას, ხელყუმბარა არ აეფეთქებინა. თინა კარგა ხანს არაფერს პასუხობდა, მაგრამ ბოლოს მაინც თქვა საპასუხო ფრაზა, თუმცა უფრო თავისთვის, თითქოს უცნაური დანანებით:

– დაწყნარდით, ქალბატონო, არ არის ნამდვილი.

მაგრამ იმ ქალბატონს დანარჩენებივით მაინც შეშლილი სახე ჰქონდა თინას პასუხის შემდეგაც და თინა კი იმ დანარჩენ სახეებს შორის თვალებით ეძებდა მისთვის ყველაზე ძვირფას სახეს. მერე მოძებნა კიდეც, მაგრამ გეგას თვალებს მხოლოდ წამით შეხედა.

მათი თვალები მხოლოდ წამით შეხვდნენ ერთმანეთს, რადგან სწორედ ამ დროს თვითმფრინავის თავზე განლაგებულმა სპეცნაზმა შტურმი დაიწყო და თვითმფრინავის სალონი ზემოდან ჩამოშვებულმა თეთრმა ბოლმა აავსო...

ის ბავშვობიდანვე იყო ძალიან ლამაზი და პატარაობიდანვე მოსწონდათ ბიჭებს და ბიჭები ეპრანჭებოდნენ ყველგან, სადაც დადიოდა: სკოლაში, ხატვაზე თუ ინგლისურზე.

მაგრამ როცა გაიზარდა, ის უბრალოდ ბრაზდებოდა ხოლმე იმის გამო, რომ მის სილამაზეს ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდნენ და თინას ეჩვენებოდა, რომ ბიჭებს მხოლოდ მისი სილამაზე აინტერესებდათ.

თინა ფიქრობდა, რომ თვითონ უფრო საინტერესო იყო, ვიდრე მისი სილამაზე, მაგრამ ბიჭები ამას ვერ ხედავდნენ და შეიძლება ამიტომაც, გეგას გაცნობამდე თინას არავინ ჰყვარებია.

თინა უკვე სამხატვრო აკადემიის სტუდენტი იყო, როცა მისი ნახატი შემთხვევით ნახა გეგამ სადღაც და ავტორის ტელეფონის ნომერი გაიგო. იმ ნახატის ავტორს ისეთი ხმა ჰქონდა, რომ ყველაფერს დაიჯერებდა, რასაც გეგა ეტყოდა. გეგამ კი უთხრა, რომ მისი ნახატი ძალიან მოეწონა და მისი გაცნობა სურდა, მაგრამ ასევე სურდა ახლავე ეთქვა თინასთვის, რომ იგი ხეიბარი იყო. გეგა კიდევ დიდხანს ვერ ხვდებოდა ამის შემდეგ, რატომ ეხუმრა მაშინ თინას ასე ბოროტად, თუმცა თინას პასუხმა მაშინ გეგა უბრალოდ გააოგნა:

– ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, თქვენ ხეიბარი ხართ თუ არა. ჩემთვის მთავარი ადამიანია.

გოგო, რომელსაც ძალიან ბავშვური ხმა ჰქონდა, ანგელოზს უფრო ჰგავდა, ვიდრე თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტს და გეგამ მაშინვე ტელეფონის ყურმილი დაკიდა. ალბათ უფრო დაბნეულობისა და მოულოდნელობის გამო, რადგან ასეთ პასუხს მართლა არ მოელოდა. მართლა არ ეგონა, რომ თანამედროვე თბილისელი გოგო ასეთიც შეიძლება ყოფილიყო და ინანა, ძალიან ინანა თავისი უშნო ხუმრობის გამო და თავს კი იმით იმართლებდა, რომ თავისი ნამდვილი ვინაობა თინას შეგნებულად არ გაუმხილა. გეგა ძალიან ახალგაზრდა, ოცდაორი წლის მსახიობი იყო, მაგრამ უკვე ჰქონდა წარმატებული როლები რამდენიმე მხატვრულ ფილმში და მისი სახელი და გვარი ამიტომაც ყველამ იცოდა საქართველოში, ვისაც კინო უყვარდა. გეგა, როგორც უნიჭიერესი მსახიობი და ლამაზი ბიჭი, ძალიან პოპულარული იყო მაშინდელ თბილისში და განსაკუთრებით კი ყმაწვილ გოგონებს შორის. გეგასაც სწორედ ეს არ უნდოდა, არ უნდოდა თავისი პოპულარობა გამოეყენებინა და ამიტომაც მოიგონა, რომ ხეიბარი იყო და სავარძლის გარეშე გადაადგილება არ შეეძლო. გეგამ კიდევ ცოტა ხანს იფიქრა და დაასკვნა, რომ ახლა უკან დახევა უარესი იყო და თინას ტელეფონის ნომერი ხელახლა აკრიფა.

– გისმენთ, – თქვა თინამ იმ ძალიან ბავშვური ხმით, რომელიც გეგას უკვე მოენატრა, თუმცა ისევ დაიბნა ამ ხმის გაგონებისას და უხერხულობისგან ჩაახველა. გეგას ყველაზე ნიჭიერ მსახიობად თვლიდნენ ახალგაზრდებს შორის და ახლა აშკარად უჭირდა ამ როლის შესრულება. უცებ შერცხვა კიდეც, რომ მისი პროფესიონალიზმი თვითონ მისთვისაც საკამათო ხდებოდა.

– ისევ მე ვარ, – როგორც იქნა თქვა ტელეფონში ძალიან გაუბედავად და კიდევ ერთხელ ჩაახველა.

– სად წახვედით? – გულწრფელად გაიკვირვა თინამ.

– არსად, უბრალოდ გაითიშა.

– რას მეუბნებოდით?

– როდის?

– სანამ გაითიშებოდა.

– გითხარით, რომ ხეიბარი ვარ და სავარძლის გარეშე სიარული არ შემიძლია.

– არა უშავს, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, შემიძლია თქვენთან სახლში მოვიდე და ჩემი ნახატებიც მოვიტანო.

– არა, რას ბრძანებთ, არ მინდა შეგაწუხოთ და თანაც...

– თანაც რა?

– თანაც, ისედაც სულ სახლში ვარ და მირჩევნია სადმე შევხვდეთ.

– მესმის, მაგრამ თქვენი შეწუხება არ მინდოდა, პირიქით კი გამომივიდა.

– სადაც მეტყვით, იქ შევხვდეთ.

– თქვენ სადაც გირჩევნიათ, იქ მოვალ.

– მირჩევნია აკადემიაში მოგაკითხოთ ლექციების შემდეგ.

– როგორ მიცნობთ?

– თქვენ ხომ ადვილად მიცნობთ, არა მგონია აკადემიის წინ ჩემს გარდა კიდევ სხვა ჩემნაირს ჰქონდეს პაემანი.

– ხომ გითხარით უკვე, რომ თქვენი მდგომარეობა კარგად მესმის...

– მაგრამ მგონი მაინც არ იქნება სასიამოვნო, თუ ლექციების მერე თქვენსავით ლამაზ გოგოს ვიღაც ხეიბარი დახვდება ბორბლებიანი სავარძლით...

– ჩემსავით ლამაზ გოგოს? თქვენ რა იცით როგორი ვარ?

– არ ვიცი, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოთ, ალბათ მაინც გაუკვირდებათ თქვენს დაქალებს თქვენი ხეიბარი თაყვანისმცემლის დანახვა აკადემიის წინ.

– ჩემი ცხოვრება მხოლოდ ჩემი საქმეა.

– ხვალ?

– რა ხვალ?

– შეიძლება ხვალ მოვიდე?

– ხვალ სამზე გვიმთავრდება ლექციები.

– სამისთვის მოვალ, ძეგლთან ვიდგები, უფრო სწორად, ვიჯდები.

– ლექციები დამთავრდება თუ არა, გარეთ გამოვალ.

– მაშინ ხვალამდე.

– ალბათ უკვე დაგღალეთ.

– არა, რას ამბობთ...

გეგა მართლა არ იყო დაღლილი, მაგრამ საუბრის გაგრძელება აღარ უნდოდა, უფრო სწორად, აღარ შეეძლო. თინას დაემშვიდობა და ყურმილი დაკიდა. მერე გაეღიმა რაღაც უცნაური სიამოვნებისა თუ სიხარულის გამო და აღმოაჩინა, რომ თურმე ამ ქალაქში სულ სხვანაირი გოგოებიც ცხოვრობდნენ, შეიძლება ძალიან ცოტანი, შეიძლება მხოლოდ თინა, მაგრამ მაინც...

გეგა იმასაც მიხვდა, რომ თინას მოტყუება აღარ შეიძლებოდა, რადგან ეს მართლაც ცუდი ხუმრობა იყო; თინა კი სწორედ იმ ადამიანს ჰგავდა, ვისი წყენინებაც გეგას ყველაზე ნაკლებად უნდოდა. ამიტომაც მთელი ღამე ფიქრობდა, უსმენდა საყვარელ დისკებს და გადაწყვეტილიც ჰქონდა, რომ მეორე დღეს აუცილებლად მივიდოდა სამხატვრო აკადემიაში, თინას შეხვდებოდა,

აუხსნიდა ყველაფერს და ბოდიშს მოუხდიდა. ეს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ დილამდე მაინც ვერ დაიძინა, დილამდე ფიქრობდა იმ უცნაურ, ბავშვურ ხმაზე, რომელიც თინას ჰქონდა – გოგოს, რომელიც სხვებს არ ჰგავდა.

შუადღისას დათოს გაუარა. დათო მიქაბერიძე გეგას ძმაკაცი იყო და მას ნამდვილი „ვრანგლერის“ ქურთუკი ჰქონდა, რომელიც გეგას ძალიან მოსწონდა, მაგრამ არასოდეს უთქვამს დათოსთვის, რადგან დათო ძალიან კეთილი იყო და იმწამსვე გაიხდიდა იმ ჯინსის ქურთუკს და გეგას აჩუქებდა. დათო კეთილი იყო არა იმიტომ, რომ მამამისი სამინისტროში მუშაობდა (ინტურისტების ხაზით) და ჯინსებს მაინც არ მოაკლებდა საყვარელ შვილს.

არა, ამიტომ არა.

უბრალოდ, დათო ძალიან კეთილი იყო და მორჩა.

მაგრამ იმ დილით გეგამ გადაწყვიტა, რომ დათოსთვის ერთი დღით ეთხოვა ის ვრანგლერის ქურთუკი, უფრო სწორად, ნახევარი დღით – თინას შეხვდებოდა, მოუხდიდა ბოდიშს და საღამოს იმ ჯინსის ქურთუკს პატრონს დაუბრუნებდა.

ქუჩიდან დაუძახა ხმამაღლა და ფანჯრიდან ვაჟამ გადმოიხედა – დათოს უმცროსმა ძმამ. ვაჟას პრასტაკას ეძახდნენ, ისიც უფროსი ძმასავით კარგი ბიჭი იყო. გეგა ხელის აწევით მიესალმა ვაჟას:

– როგორ ხარ?

– არა მიშავს.

– სკოლა არა გაქვს?

– დაიწვა.

– როდის?

– დღეს, დილით. ახლაც კი იწვის.

– ვა!.. შენი ძმა სადაა?

– არ ვიცი, რომ გავიღვიძე, სახლში არ დამხვდა.

– ალბათ სახანძროების ხმამ გაგაღვიძა...

ორივემ ხმამაღლა, გულიანად გაიცინა. მერე გეგამ ისევ აუწია ხელი პრასტაკას დამშვიდობების ნიშნად და შეტრიალდა კიდეც, მაგრამ ვაჟა არ მოეშვა:

– რამე ხომ არ გინდოდა?

– არაფერი, მერე გამოვუვლი.

– მითხარი.

– არაფერი ისეთი, ვრანგლერის კურტკა მინდოდა ერთი დღით.

– დამელოდე.

პრასტაკა ფანჯრიდან გაქრა და რამდენიმე წამში უკვე ქუჩაში იდგა, გეგას წინ, ჯინსის ქურთუკით ხელში.

– წაიღე, დათოს სულ ეს აცვია და მაინცადამაინც დღეს დატოვა. რა ბედი გქონია.

– არ მინდა, იყოს, მერე გამოვართმევ.

– წაიღე. სინამდვილეში ჩემია, მამაჩემმა მე ჩამომიტანა და დიდი მომივიდა. დათოსაც დროებით აცვია. მერე მაინც მე დამრჩება. ნამდვილი „ვრანგლერია“. არც გაცვდება და არაფერი...

გეგას გაეღიმა და პრასტაკას ხელი გაუწოდა.

– დღესვე დაგიბრუნებ.

– როცა გინდა, მაშინ დამიბრუნე, ჯერ მაინც დიდი მაქვს. თუ გინდა სანამ გავიზრდები, მანამდე შენ გქონდეს.

გეგას ახლა ხმამაღლა გაეცინა.

– მერე დათო?

– დათო ბერად მიდის მონასტერში, ჯინსები რაღად უნდა...

ახლა ვაჟასაც გაეცინა ხმამაღლა გეგასთან ერთად. გეგას გაახსენდა, რომ დათოს ვიღაც მეგობარი ბერი მართლა ჰყავდა რომელიღაც მონასტერში და ამ ბოლო დროს მასთან, მართლაც ხშირად დადიოდა. ერთი-ორჯერ გეგასაც დაჰპირდა წაგიყვანო, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ჰპირდებოდა, თუმცა ამაზე ფიქრის დრო ახლა გეგას აღარ ჰქონდა, ვაჟას მადლობა უთხრა და თბილისურად გადაეხვია.

თბილისი კი დედაქალაქი იყო უკვე ათას ხუთასი წლის მანძილზე და როგორც ყველა დედაქალაქში, აქაც იმდენი კარგი ხდებოდა, რამდენიც ცუდი. ამაზე ცუდი კი გეგასთვის რა უნდა ყოფილიყო: ზემელზე, სანამ აკადემიის აღმართს აუყვებოდა, სამნი დახვდნენ დანებით და ნათხოვარი ჯინსის ქურთუკის გახდა მოსთხოვეს პაემანზე მიმავალს. მაშინდელ ზემელზე ჯერ კიდევ დადიოდნენ თბილისელები და ამიტომაც ცოტა უცნაური იყო, რომ როცა ვიღაც ტიპმა გეგას უთხრა, ძმაო, ერთი წუთით საქმე მაქვსო და სადარბაზოსკენ შეიპატიჟა, იქვე არავინ აღმოჩნდა ნაცნობიც კი გამვლელებს შორის. თუმცა ამაზე უცნაური თვითონ გეგასთვის ის იყო, რომ როცა იმ სადარბაზოში კიდევ ორი ასეთივე ბედნიერი ტიპი აღმოაჩინა, ოდნავაც არ შეშინებია. მეტიც – გაეღიმა კიდეც და ძალიან მშვიდად უთხრა სამივეს ერთად:

– ტყუილად ნუ შეწუხდებით, ძმებო, მაინც ვერ გამხდით!..

გეგა მსახიობი იყო, მართალია სულ 22 წლის, მაგრამ მაინც უკვე კარგი მსახიობი, მაგრამ იმ სადარბაზოში ეს ფრაზა თქვა ძალიან მშვიდად, როგორც საკუთარ თავში ღრმად

დარწმუნებულმა ადამიანმა და ამ სიმშვიდემ ყველაზე მეტად თვითონ გეგა გააკვირვა. გააკვირვა, რადგან გეგას არასოდეს ჰქონდა გმირობის პრეტენზია და მშვენივრად იცოდა, რომ ჯინსებს მაშინდელ თბილისში არცთუ იშვიათად ხდიდნენ და როგორც სხვებს, მასაც ნაფიქრი ჰქონდა იმაზე, თუ როგორ მოიქცეოდა ასეთ შემთხვევაში. და ყოველთვის ფიქრობდა, რომ შარვლის ან კურტკის გამო ნამდვილად არავის მოაკვლევინებდა თავს, რადგან არასოდეს იყო უაზრო გმირობის მომხრე იქ, სადაც ამის აუცილებლობა, უბრალოდ, არ არსებობდა. ამიტომაც სხაგან და სხვა დროს ალბათ უსიტყვოდ და ღიმილით დათმობდა, რასაც სთხოვდნენ, მაგრამ იმ დღეს სხვაგვარად მოიქცა და ალბათ იმიტომ, რომ ეს არ იყო მისი ჯინსის ქურთუკი. შეიძლება იმის გამოც, რომ მიდიოდა პაემანზე, პირველად იმ გოგოსთან შესახვედრად, რომელსაც არ იცნობდა, მაგრამ იმ გოგოს ძალიან ლამაზი ხმა ჰქონდა...

იმ სამიდან დანა ჰქონდა მხოლოდ ორს და სანამ გაიქცეოდნენ, ორივემ მოასწრო გეგასთვის დანის დარტყმა. მაშინდელ თბილისში ძირითადად ფეხში ან უკანალში ჭრიდნენ ხოლმე ერთმანეთს ჩხუბის დროსაც კი, მაგრამ გეგას ფეხის გარდა, მუცელშიც დაარტყეს დანა და ალბათ იმიტომ, რომ გაუცნობიერებლად ის ქურთუკიც დაჭრეს, რომელიც გეგას, უბრალოდ, ვერ წაართვეს.

როცა გეგა ქუჩაში გამოვიდა, რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა კიდევ შეძლო, მაგრამ უკვე ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული და მალე გრძნობაც დაკარგა. იქვე, პირდაპირ ქუჩის ტროტუარზე ჩაიკეცა.

თვალები რომ გაახილა, საავადმყოფოს პალატაში იწვა. სასთუმალთან დედამისი ტიროდა, მაგრამ ჩუმად, ძალიან ჩუმად და ფრთხილად ეფერებოდა გეგას ხელს.

– თინა სად არის? – იკითხა გეგამ და დედამისს გადახედა.

– თინა ვინ არის? – თქვა დედამ და გაკვირვებული და სველი თვალები შეიმშრალა.

– არ ვიცი, მეც არ ვიცნობ, – თქვა ცოტა ხნის შემდეგ გეგამ და დედას გაუღიმა.

გეგა მართალი იყო, მართლა არ იცნობდა თინას, რომელიც ლექციების შემდეგ, დიდხანს იდგა სამხატვრო აკადემიის წინ, სადაც ერთი ხეიბარი ბიჭი უნდა მოსულიყო ბორბლებიანი სავარძლით, მაგრამ თინასთან შესახვედრად არავინ მისულა. ანკი როგორ მივიდოდა გეგა პაემანზე, როცა სწორედ მაშინ უკეთებდნენ ოპერაციას საავადმყოფოში და მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შეძლო თინასთან დარეკვა.

– ბოდიში, რომ ვერ მოვედი და ვერც დავრეკე, იმიტომ რომ ახლაც საავადმყოფოში ვარ.

– რა კარგია.

– რა არის კარგი?

– ბოდიში, ცუდად გამომივიდა, სხვა რამის თქმა მინდოდა, კარგი ის არის, რომ საპატიო მიზეზი გქონიათ და ამიტომ არ მოხვედით იმ დღეს.

– როგორც კი აქედან გამწერენ, მაშინვე შეგხვდებით.

– იცით რა, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, მე მოვალ თქვენს სანახავად საავადმყოფოში და ხილს მოგიტანთ, ან მითხარით რა გიყვართ და რა გაგიხარდებათ...

– არა, აქ ნუ მოხვალთ, მე მალე გამომწერენ და თვითონ გნახავთ, კარგად იყავით.

– მალე გამოჯანმრთელებას გისურვებთ...

გეგა კიდევ რამდენიმე დღე იწვა საავადმყოფოში, სადაც მეგობრები და ნაცნობები, როგორც გმირს, ისე აკითხავდნენ სანახავად და მთელმა თბილისმა იცოდა, რომ გეგას ჯინსები ვერ გახადეს, მაგრამ თვითონ გეგა ჯიუტად ხუმრობდა – არ მაცალეს, თორემ ვატანდიო...

ამ ჯიუტი ხუმრობით იმის თქმა უნდოდა, რომ ის გმირი არ იყო და მერე (ერთი წლის შემდეგ) თბილისის ორთაჭალის ციხეში, სიკვდილმისჯილების საკანში, ხშირად ახსენდებოდა ხოლმე საავადმყოფოს დღეები, როცა მისგან გმირის შექმნა სურდათ, მას კი უნდოდა, რომ ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყო.

საავადმყოფოში დიდხანს არ დაუტოვებიათ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით სიარული არ შეეძლო და ექიმების აზრით, ამას მხოლოდ დრო სჭირდებოდა. ოპერაციის შემდეგ, ძმებმა ივერიელებმა, რომლებიც გეგას მეგობრები იყვნენ და სამედიცინოზე სწავლობდნენ, სადღაც ინსტიტუტში ბორბლებიანი სავარძელი იშოვეს და გეგას მოურბენინეს. საღამოობით, როცა ძლივს მარტო რჩებოდა ხოლმე ქებისაგან დაღლილი, ამ სავარძლით მიგორავდა დერეფნის ბოლომდე, სადაც შავი ტელეფონი ეკიდა ვარდისფერ კედელზე და თინას ურეკავდა.

თინას შეხვდა მეორე დღესვე, როგორც კი საავადმყოფოდან გამოწერეს; აკადემიაში მივიდა იმ ხეიბრის ეტლით, რომლის გარეშე გადაადგილება ჯერჯერობით მართლა არ შეეძლო, მაგრამ თინამ ტყუილი არ აპატია და ერთი კვირის მანძილზე ხმას არ სცემდა გეგას, რომელიც ყოველდღე ურეკავდა მას, მაგრამ თინა არ პასუხობდა. გეგა უხსნიდა ყველაფერს, რისი ახსნაც შეეძლო, თინა კი არ პასუხობდა, მაგრამ ყურმილს მხოლოდ იმიტომ არ კიდებდა, რომ კარგად აღზრდილი ადამიანი იყო და გეგას უსმენდა, თუმცა არ პასუხობდა.

გეგა თინას უხსნიდა იმას, რისი ახსნაც თავისი თავისთვისაც არ შეეძლო და მართლა რა გამართლება უნდა ჰქონოდა იმ ხუმრობას, რომელსაც ახსნა არ ჰქონდა გარდა ბედის ირონიისა და ალბათ მართლაც ბედის ირონია იყო, რომ გეგას თინასთან პირველ პაემანზე მისვლა მართლა ხეიბრის ეტლით მოუწია. თუმცა მალე ის ბორბლებიანი ეტლი ძმებს დაუბრუნა, ივერიელებმა კი იმ საავადმყოფოში დააბრუნეს, საიდანაც წამოიღეს.

„ვრანგლერის“ ქურთუკი (დედამისის მიერ კარგად გარეცხილი და საგულდაგულოდ გაკერილი), დათომ უკან აღარ დაიბრუნა და გეგას ახალ ჯინსებსაც დაჰპირდა, რა თქმა უნდა.

გეგას კი არაფერი უნდოდა თინას გარდა, არაფერზე ფიქრობდა თინას გარდა. არაფერი, მხოლოდ თინა – ყველაზე ლამაზი გოგო დედამიწაზე...

სოსოს მამა

ის იყო ცნობილი პროფესორი, თავისი დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეცნიერი, მაგრამ ეს იყო საბჭოთა დრო, რომელსაც თავისი კანონები ჰქონდა. გასული საუკუნის სამოციან და სამოცდაათიან წლებში პროფესორებსა და მეცნიერებს უკვე აღარ ხვრეტდნენ, მაგრამ სიცოცხლის სანაცვლოდ მათ აიძულებდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან ეთანამშრომლათ. უმრავლესობა თანამშრომლობდა კიდეც მთავრობასთან, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ვერცერთი მათგანი ვერ მოახერხებდა უცხოეთში გამგზავრებას და თუნდაც ერთ, რომელიმე სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მიღებას. ეს თანამშრომლობა ხელისუფლებასთან, ერთი შეხედვით, სულაც არ იყო რაიმე განსაკუთრებული და ზოგჯერ მათ საზღვარგარეთული მივლინებების სანაცვლოდ, არც არაფერს სთხოვდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში კი მათ ართმევდნენ მთავარს – სიტყვისა და საკუთარი აზრის უფლებას, მათ არ შეეძლოთ ხმამაღლა და საჯაროდ გამოეთქვათ თავიანთი პოლიტიკური შეხედულებები და ყველა საჭირო (სინამდვილეში ნებისმიერ) შემთხვევაში, ხელისუფლების მომხრეები უნდა ყოფილიყვნენ. ასე ხდებოდა კიდეც და საბჭოთა მეცნიერების უმრავლესობა მორჩილად ქმნიდა ერთ დიდ საბჭოთა ტყუილს საბჭოთა მთავრობასთან ერთად. რასაკვირველია იყვნენ გამონაკლისებიც, ვისაც მთავრობის მიერ ბოძებული პრივილეგიები, ბინები და მანქანები არ სურდა (ან მთავრობას არ სურდა მათი წახალისება), მაგრამ ასეთები ცოტანი იყვნენ და თავიანთი „ხრუშოვკების“ სამზარეულოებში ისხდნენ, იქვე მუშაობდნენ, იქვე სვამდნენ და მხოლოდ იქვე, სამზარეულოში გამოთქვამდნენ უარყოფით აზრებს საბჭოთა რეჟიმის მიმართ. მართალია რამდენიმე ადამიანი (მათ შორის მეცნიერიც), ციხეშიც იჯდა (და არა სამზარეულოში), მაგრამ ისინი უკვე დისიდენტები იყვნენ...

სოსოს მამაც ერთ-ერთი საუკეთესო და ცნობილი მეცნიერი იყო საბჭოთა საქართველოში – აკადემიკოსი, რომელსაც მაშინდელი ცეკას პირველი მდივანი (საქართველოს ფაქტიური მმართველი) განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა. სოსოს კი სწორედ ეს არ მოსწონდა – ეს სიახლოვე და თბილი ურთიერთობა, რომელიც მამამისს ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან ჰქონდა, რადგან იმდროინდელი თბილისელი, ანტისაბჭოურად და ლიბერალურად განწყობილი ახალგაზრდებისთვის, ედუარდ შევარდნაძე სრულიად მიუღებელი პიროვნება იყო – ერთი ჩვეულებრივი კარიერისტი ბოლშევიკი. თუმცა საბჭოურ იერარქიაში დაწინაურებას დიდი ჭკუა და განათლება არ სჭირდებოდა, მაგრამ სჭირდებოდა რაღაც სხვა, სწორედ ის, რაც (მაგალითად) შევარდნაძეს ჰქონდა, კაცს, რომელიც გურიის ერთი მშვენიერი სოფლიდან საბჭოთა კარიერის მწვერვალებისკენ მონდომებით მიიწევდა. ამ პროვინციული დაჟინების შედეგად, სამოცდაათიანი წლების დასაწყისში შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს პირველი პირიც გახდა (თბილისელ კონკურენტებთან ბრძოლის შემდეგ) და სულ მალე, სულ ადვილად შეძლო ქართული საბჭოთა ინტელიგენციის მოხიბვლა. თუმცა ეს უკანასკნელი თვითონ საბჭოთა ინტელიგენციის დამსახურება უფრო იყო, ვიდრე პირველი მდივნის, რადგან ათეული წლების მანძილზე (მორალთან ერთად), საბჭოთა ინტელიგენციას აზროვნების უნარიც უქვეითდებოდა. როცა შევარდნაძემ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე იატაქვეშა მეწარმეების დაჭერები დაიწყო, ქართველ ინტელიგენტებს გულწრფელად უხაროდათ, რადგან ეგონათ, რომ ოთარ ლაზიშვილის დაპატიმრება იყო კიდეც ნამდვილი ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ. მათ არ იცოდნენ, რომ კერძო მეწარმე, ისიც განწვალებული, იატაკქვეშეთში მოღვაწე, იყო მთავარი საფუძველი, რასაც ყველგან, ნორმალურ ქვეყნებში, სახელმწიფოს ეკონომიკა ყველაზე მეტად ეყრდნობა. გარდა იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში იატაკქვეშა მეწარმეები ძალიან გაბედული ადამიანები იყვნენ, სწორედ მათ შეეძლოთ შეექმნათ ნორმალური სახელმწიფოს ხერხემალი – საზოგადოების

საშუალო ფენა. უფროსების მოტყუება ყოველთვის უფრო ადვილია, ვიდრე პატარების და მამებისაგან განსხვავებით შვილებმა იგრძნეს, რომ შევარდნაძე ძალიან საშიში კაცი იყო: დაპატიმრებულებს შორის იყო ერთი მისი მეგობარიც, რომელიც მალე დახვრიტეს კიდეც. საქართველოში მეგობარი ყოველთვის ამხანაგზე მეტს ნიშნავდა (არა მხოლოდ რუსთაველის გამო) და მაშინდელი ქართველი ახალგაზრდები მიხვდნენ, რომ საქართველოს ცეკას ახალ მდივანს უფრო დიდი კარიერისტული მიზანი ჰქონდა. ეს იყო მოსკოვი და მოსკოვში კი ყოველთვის მხოლოდ ის ქართველები მოსწონდათ, რომლებიც თავისიანების მიმართ განსაკუთრებით დაუნდობლები იყვნენ. ამიტომაც მათ სძულდათ შევარდნაძე, განსაკუთრებით კი სოსოს, რომელსაც შევარდნაძის გამო საკუთარ მამასთანაც ჰქონდა უსიამოვნებები, რადგან სოსო ვერ იჯერებდა, რომ ისეთ კეთილ მეცნიერს, როგორიც მამამისი იყო, ასეთ ბოროტ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა სჭირდებოდა (სხვათა შორის, სოსოს, უამრავი საბჭოთა ადამიანისაგან განსხვავებით, სულაც არ ეგონა, რომ პრობლემა კონკრეტულ მმართველში იყო და არა მმართველობის საბჭოურ სისტემაში).

სოსო სამხატვრო აკადემიის სტუდენტი იყო და სურდა აკადემიის დამთავრების შემდეგ მაინც ისეთი დამოუკიდებელი გამხდარიყო ფინანსურად, რომ ცალკე ეცხოვრა და არა მშობლებთან ერთად, რადგან ეს უკვე აღარ ჰგავდა ნორმალურ ოჯახს. სოსო აღარ ელაპარაკებოდა მამას და თითქმის აღარ ელაპარაკებოდა დედას, რომელიც ყოველთვის ცდილობდა ოჯახში მშვიდი და საუკეთესო ურთიერთობების შენარჩუნებას, მაგრამ ეს აღარ იყო ადვილი, რადგან სოსოს მამამისი უკვე ებრალებოდა კიდეც.

ის აღარ ელაპარაკებოდა მამას და მხოლოდ პასუხობდა ხოლმე მის შეკითხვებს და როცა ამერიკაში, სამეცნიერო სემინარზე გამგზავრების წინ მამამ ჰკითხა, რა ჩამოგიტანოო, საპასუხოდ სოსოს მხოლოდ გაეღიმა.

– არაფერი, – თქვა ძალიან მშვიდად, მაგრამ მამა, რომელიც გაგიჟებით უყვარდა ბავშვობიდან, ახლა მართლა ძალიან საბრალო იყო და ამიტომაც დაამატა კიდევ ორი, აუცილებელი სიტყვა:

– დიდი მადლობა...

მამამ აღარაფერი უთხრა ერთადერთ შვილს, მაგრამ უკვე იცოდა, რა უნდა ჩამოეტანა სოსოსთვის, რადგან მასაც ჰყავდა სტუდენტები და იცოდა, რომ ნებისმიერი ქართველი ახალგაზრდის ოცნება მაშინ ნამდვილი, ამერიკული ჯინსები იყო. და სოსოს მამამ გადაწყვიტა, რომ პირველად ყოფილიყო გულადი და გაბედული შვილის გამო და ამერიკაში, როგორც კი მოთვალთვალე კაგებეს თანამგზავრი-თანამშრომელი, ოდნავ მაინც მოადუნებდა ყურადღებას, ნამდვილი ჯინსები ეყიდა სოსოსთვის, მიუხედავად იმისა, რომ ეშინოდა.

ყველაზე მეტად მას გაურკვევლობის ეშინოდა, რადგან დანამდვილებით არც იცოდა რა ელოდა ამერიკული ჯინსების შემოტანისათვის საბჭოთა საქართველოში: შეიძლება არანაირი გართულება არ მოჰყოლოდა ამ ლირიულ გადახვევას, მაგრამ შეიძლება ძალიან მკაცრადაც დაესაჯათ საბჭოთა აკადემიკოსი – საყვედური გამოეცხადებინათ მისთვის (პირად საქმეში შეტანით) ან ინსტიტუტის დირექტორობიდან გაეთავისუფლებინათ და პარტიიდან გაერიცხათ. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად გაატელევიზორებდნენ კიდეც და პრესაშიც შეიძლება გაჩენილიყო ანონიმური წერილები იმის შესახებ, რომ საბჭოთა აკადემიკოსმა ვერ გაუძლო დასავლურ ცდუნებას, წამოეგო კაპიტალისტების პროვოკაციას და შვილს ამერიკული ჯინსები უყიდა. წერილის ბოლოს იქნებოდა დასკვნაც ან ამ დასკვნას გადაცემის ბოლოს წაიკითხავდა

ტელედიქტორი მოგონილი ნიშნისმოგებით – აი, ასე დააფასა ქართველმა მეცნიერმა საბჭოთა ხელისუფლების ამაგი, ასე გაცვალა სახელმწიფოს ინტერესები იაფფასიან კაპიტალისტურ შარვალზე.

როცა ქართველი მეცნიერი (საბჭოთა დელეგაციის დანარჩენი წევრებისაგან მალულად) ჯინსებს ყიდულობდა ამერიკაში, ყურებში სწორედ იმ ტელედიქტორის ხმა ჩაესმოდა, მაგრამ მაინც ბედნიერი იყო, რომ პირველად თავის სიცოცხლეში, პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო და თავისუფალი არჩევანი გააკეთა. თუმცა მის მიერ შეძენილი ჯინსები არც ისე იაფი იყო, როგორც მას ეგონა. საბჭოთა ხელისუფლება უცხოეთში მიმავალ მეცნიერებსა თუ კულტურის მოღვაწეებს მხოლოდ მცირე, შეზღუდულ თანხას უხურდავებდა, მათი უცხოური ჰონორარები კი ხელისუფლებას რჩებოდა. თუმცა მთავარი მაინც ყიდვა არ იყო, რადგან ქართველ მეცნიერს უკან დაბრუნებისას ელოდა საბჭოთა საზღვარი, რომელიც შვილის გამო ჯინსებთან ერთად უნდა გადაელახა. აეროპორტში, უკანა გზაზე, სასაზღვრო კონტროლის გავლისას უკვე რამდენიმე ტელედიქტორის ხმა ჩაესმოდა ერთდროულად და ერთი წამით ისიც კი გაიფიქრა, რომ თვითონვე ამოეღო ბარგიდან ჯინსის შარვალი და ხელისუფლებას ჩაბარებოდა, მაგრამ მაინც მოიკრიბა უკანასკნელი ძალები და ოფლიანი ხელისგულები გაიმშრალა (პირველად გაუოფლიანდა ხელები თავის სიცოცხლეში). თუმცა რუსი მესაზღვრის შეკითხვაზე – რამე აკრძალული ხომ არ შემოჰქონდა, ქართველ მეცნიერს საპასუხოდ ტირილი მოუნდა, მაგრამ წვეთი, რომელიც მის გადაშლილ პასპორტს უხმაუროდ დაეცა, არ იყო ცრემლი. ეს იყო ოფლის წვეთი და სოსოს მამამ მესაზღვრეს გაუღიმა:

– ცხელა, – თქვა ქართველმა მეცნიერმა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ახლა შუბლი შეიმშრალა.

მესაზღვრეს პასპორტზე დაცემული ოფლის წვეთი არ დაუნახავს და შეკითხვა გაიმეორა.

– არაფერი, – თქვა ჯერ გაუბედავად მეცნიერმა და მერე კი უფრო დამაჯერებლად – რასაკვირველია, არაფერი აკრძალული.

მესაზღვრე ისეთი გამომცდელი სახით დააკვირდა სახელოვან ქართველ მეცნიერს, რომ მას თავისი სტუდენტები და გამოცდები გაახსენდა.

– ვნახოთ? – ჰკითხა მესაზღვრემ და მეცნიერის ჩემოდანს დახედა. სოსოს მამას პასუხის გაცემა უკვე აღარ შეეძლო და თავი დაუქნია მესაზღვრეს და ერთადერთი, რაზეც ახლა ფიქრობდა, საგულე აბი იყო, რომელიც ჯიბეში ედო, მაგრამ წამალი ისე უნდა ამოედო ენის ქვეშ, რომ მესაზღვრეს არ შეემჩნია. ეს კი არც ისეთი ადვილი იყო და ტკივილიც, რომელიც გულიდან დაიწყო და მერე მთელ სხეულს მოედო, აღარ გაჩერდა.

როცა სოსოს მამამ თვალი გაახილა, უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო, თეთრხალათიან ქალს მისი მაჯა ეჭირა ხელში და სინანულით აქნევდა თავს:

– ძალიან გრძელი გზა გამოგივლიათ და გადაიღლებოდით, აბა რა იქნებოდა, თანაც არ გეწყინოთ, მაგრამ პატარა ბიჭიც აღარ ხართ და ანი შორს მგზავრობასაც უნდა მოერიდოთ ხოლმე.

სოსოს მამას ბარგი არც აეროპორტში გაუხსნია და არც გზაში და მხოლოდ შინ მისვლის შემდეგ

ამოალაგა ჩემოდანი, რომელშიც ამერიკაში ნაყიდი ჯინსები ხელუხლებლად იდო.

ამიტომაც მან არ იცოდა სინამდვილეში რა მოხდა – შეამოწმეს თუ არა მისი ბარგი აეროპორტში. შეიძლება ჯინსებიც ნახეს, მაგრამ არც გაიკვირვეს და არც აღშფოთდნენ, რისიც ქართველ მეცნიერს ასე ეშინოდა, რადგან მან მართლა არ იცოდა დანამდვილებით რა ხდებოდა ახლა საბჭოთა კავშირში, თუმცა ზუსტად იცოდა, რაც ხდებოდა ბაბილონში რამდენიმე ათასი წლის წინ და იგი ახლაც იქ ცხოვრობდა – გილგამეშის მესოპოტამიაში, უძველეს შუმერებთან ერთად.

არც ცოლისთვის და არც შვილისთვის არაფერი უთქვამს აეროპორტთან დაკავშირებით და უხმოდ, მაგრამ ამაყად გადასცა სოსოს ამერიკიდან ჩამოტანილი ნამდვილი ჯინსები. სოსოს გაეღიმა და მადლობის გარდა არაფერი უთქვამს მამისთვის, მაგრამ ძალიან ადვილად მიხვდა, რამდენი ნერვიულობა მოუწევდა მამა-მეცნიერს საბჭოთა საზღვრის გადმოლახვისას.

სოსო უკვე აღარ იყო პატარა, მაგრამ რადგანაც დედამისი მაინც ქართველი დედა იყო, მაინც სთხოვა შვილს ჯინსები მოეზომა, ჩაეცვა და დედას ჩვენებოდა, რაზეც სოსოს მხოლოდ გაეღიმა, დედას აკოცა და თავის ოთახში ჩაიკეტა.

ხატავდა მთელი ღამე და უსმენდა ლედ ზეპელინს. მხოლოდ ზოგჯერ გახედავდა ხოლმე სკამზე გადაკიდებულ ახალ ჯინსებს და კედელზე გაკრულ მიკ ჯეგერის პლაკატს. რამდენჯერმე დაიღალა და სიგარეტი მოწია. ასეთ დროს განსაკუთრებით სიამოვნებდა მოწევა და ჯინსები კი მაინც არ ჩაიცვა, არც მოიზომა. უკვე თენდებოდა, როცა დაწვა. მალე ჩაეძინა კიდეც.

დილით არც უსაუზმია. ჯინსები ამოიიღლიავა და ირაკლი კოსტავასთან წავიდა.

ირაკლი კოსტავა სოსოს ძმაკაცი იყო – ცნობილი ქართველი დისიდენტის მერაბ კოსტავას შვილი. მერაბ კოსტავა, სრულიად გაუტეხელი კაცი, უკვე მეოთხე წელიწადი იყო, რაც სასჯელს იხდიდა ციმბირის რომელიღაც შორეულ ბანაკში ანტისაბჭოური მოღვაწეობისთვის. სოსომ ზუსტად იცოდა, რომ ირაკლი კოსტავას მამამისი ვერც ნამდვილ ამერიკულ ჯინსებს ჩამოუტანდა (როგორც არ უნდა მოენდომებინა) და ვერც დაბრუნდებოდა საქართველოში კიდევ კარგა ხანს. ამიტომაც სოსოს დიდხანს არც უფიქრია, დილით მხოლოდ პირი დაიბანა და ირაკლისთან წავიდა.

ირაკლი ლექსებს წერდა, ღამენათევი იყო და ახალგაღვიძებულზე კარგა ხანს იფშვნეტდა თვალებს, სანამ დაიჯერებდა, რომ ეს ნამდვილი ჯინსები უკვე მისი იყო. როცა დაიჯერა და მიხვდა, რასაც ჩუქნიდნენ, გაეღიმა, სოსოს გადაეხვია და ჩუმად, მაგრამ ძალიან დამაჯერებლად უთხრა:

– ვერ გამოგართმევ.

სოსომ იცოდა, რომ ასეც იქნებოდა (ირაკლის თავმოყვარეობის გამო) და ამიტომ პასუხიც მზად ჰქონდა:

– თუ არ გამომართმევ, დავხევ.

– ნამდვილი ჯინსებია? – ჰკითხა ირაკლიმ და გაეცინა.

– ნამდვილი ამერიკულია, – სოსოს ხმაში ცოტა წყენა დაეტყო.

– ესე იგი ვერ დახევ, ნამდვილი ჯინსი არ იხევა.

– მაშინ დავწვავ!

– ნამდვილი ჯინსი არც იწვება და წყალსაც არ ატარებს, – თქვა ირაკლიმ სიცილით და სოსოსაც გაეცინა.

ირაკლი კოსტავას ძმაკაცის ნაჩუქარი ნამდვილი ჯინსები, რომელსაც მაშინდელი თბილისის ქუჩებში უფროსები თვალს აყოლებდნენ, ხოლო უფრო პატარები ახლოსაც მოდიოდნენ დასაკვირვებლად, თითქმის ერთი წელიწადი ეცვა. თვითმკვლელობამდე ერთი დღით ადრე, გარეცხილი დაუბრუნა პატრონს და სოსოს გაკვირვებული სახის დანახვისას, ყველაფერი ერთი ფრაზით ახსნა:

– მაგრად დავიღალე და თანაც ძალიან მომბეზრდა.

თქვა და ძმაკაცს ბოდიში მოუხადა.

სოსოს ეგონა, რომ ირაკლი ნაჩუქარ ჯინსებს გულისხმობდა, მაგრამ მეორე დღეს, მისი თვითმკვლელობის ამბავი რომ გაიგო, ყველაფერს მიხვდა. სოსომ ჯერ იფიქრა, რომ ირაკლიმ მათ ყველას აჯობა, მერე კი საკუთარ თავზე გაბრაზდა, რომ ვერაფერი იგრძნო თუნდაც ერთი დღით ადრე და ბავშვივით იტირა.

ირაკლი კოსტავას დაკრძალვის შემდეგ სოსომ ირაკლის ნაქონ ჯინსებს მარჯვენა მუხლის ზემოთ ცხრათვალა მზე დაახატა და ჩაიცვა. სიკვდილამდე არც გაუხდია.

იმ ჯინსებით დაკრძალეს კიდეც ყველასაგან მალულად და იმ ჯინსებით ამოიცნო კიდეც მისი ცხედარი ნათია მეგრელიშვილმა თხუთმეტი წლის შემდეგ...

გეგა

გეგას მამაც ცნობილი და წარმატებული ქართველი იყო – კინორეჟისორი, რომელმაც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ კინოსთვის, საოცარი ფილმები გადაიღო და ერთ-ერთმა პირველმა ქართველებს შორის (ჯერ კიდევ სამოციან წლებში), პრესტიჟულ საერთაშორისო კინოფესტივალებზე გაიმარჯვა. თუმცა ის მაშინაც (ძალიან ახალგაზრდაც) უკვე ნამდვილი ხელოვანი იყო და მისთვის შემოქმედებითი პროცესი იყო მთავარი ვნება და არა პრიზებითა და ჯილდოებით ტკბობა. ამიტომაც (განსხვავებით უფროსი თაობის ბევრი ქართველი რეჟისორისაგან), გეგას მამამ უარი თქვა საბჭოური ინტელიგენციის წევრობასა და რეჟიმის მხარდაჭერაზე და მხოლოდ კინოთი ცხოვრება გადაწყვიტა, მაგრამ ასეთი პრეცედენტის დაშვება საბჭოთა ხელისუფლებას სულაც არ აწყობდა. კომუნისტებს რასაკვირველია არ სურდათ დაუმორჩილებელი რეჟისორის არსებობა საბჭოთა საქართველოში და ეს პრობლემა მარტივად გადაწყვიტეს – გეგას მამას ფილმების გადაღება აუკრძალეს. ოფიციალურად ამ აკრძალვის შესახებ ცეკას რაიმე დადგენილება (რასაკვირველია) არ მიუღია, მაგრამ გეგას მამას არაოფიციალურად აუხსნეს, რომ ფილმების გადაღების საშუალებას აღარ მისცემდნენ. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება მშვენივრად იცნობდა ქართული ინტელიგენციის კონფორმისტულ ხასიათს და ამ შემთხვევაშიც მისი სისუსტის იმედი ჰქონდა, მაგრამ გეგას მამა ძალიან მაგარი კაცი გამოდგა – მან დურგლობა ისწავლა და იატაკის დაგება დაიწყო, როგორც რიგითმა მუშამ. მაშინდელი ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი (უკვე დადებილებული და დეგრადირებული), რომელიც შრომას სათაკილოდ და სამარცხვინოდ მიიჩნევდა, აღშფოთებული შეხვდა ქართველი კინორეჟისორის პრინციპულობას. მათ დაუყონებლივ შეიძულეს განსხვავებული ადამიანი, რომელსაც არ სურდა, საკუთარი ფილმების სანაცვლოდ, სხვებივით დიდ ტყუილში მიეღო მონაწილეობა და მთავრობისა და კომუნისტური პარტიის მლიქვნელობით მისი კეთილგანწყობა მოეპოვებინა. გეგას მამა დარწმუნებული იყო, რომ სათაკილო და სამარცხვინო სწორედ ის იყო, რასაც ქართველი საბჭოთა ინტელიგენტები აკეთებდნენ და არა შრომა, დურგლობა და იატაკის დაგება. მაშინ მთელი თბილისი და საქართველო ამ (მათთვის) უცნაური პროტესტის გამო, გაუთავებლად ლაპარაკობდა (უფრო სწორად – კამათობდა, მათ შორის ისინიც, ვისაც მისი ფილმები ნანახი არ ჰქონდა), მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მართლა აგებდა თუ არა იატაკს გეგას მამა, არავინ იცოდა. შეიძლება ეს მართლა ლეგენდა იყო ან უბრალოდ იმ ხალხის მიერ მოგონილი კეთილი ამბავი, ვისაც ძალიან უნდოდა, რომ თუნდაც ერთი ნამდვილი პროტესტანტი ჰყოლოდა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას იმ ადამიანებს შორის, ვისაც მაშინ ინტელიგენტებს უწოდებდნენ.

გეგას მამა კი ძალიან მაგარი კაცი გამოდგა და არაფერი დათმო, თუმცა ისიც არავინ იცოდა დანამდვილებით, მართლა გამოიყვანა თუ არა პროტესტის ნიშნად საბჭოთა სკოლიდან თავისი შვილები და მათ შორის გეგაც, მაგრამ მაშინდელ თბილისში ზემოთქმულის შესახებაც უფრო მეტს ლაპარაკობდნენ, ვიდრე რუსეთ-ავღანეთის ომზე.

რაც დანამდვილებით ყველამ იცოდა (ხედავდა მაინც) და რაზეც ნამდვილად არავინ კამათობდა, გეგას ნიჭი იყო. ამ ნიჭისა და უკვე წარმატებული როლების გამო, იგი თენგიზ აბულაძემ მიიწვია თავის ახალ ფილმში მთავარ როლზე, მაგრამ გეგას ცხოვრებაში გაჩნდა ადამიანი, რომელიც მისი მთავარი კინო გახდა. ეს იყო თინა – ცხრამეტი წლის ულამაზესი მხატვარი, რომელიც გეგას თავდავიწყებით შეუყვარდა. მათი გაცნობა იყო უცნაური და მათი ურთიერთობა ჩხუბით დაიწყო, მაგრამ როცა თინა შეურიგდა გეგას და თინამაც იგრძნო და მიხვდა, რომ ეს არ იყო შემთხვევითი ადამიანი მის ცხოვრებაში, პირველი ნამდვილი პაემანის დღეც დადგა. თინას უნდოდა, რომ ამ

ქალაქში და ამ სამყაროში არავინ ყოფილიყო მათ გარდა, სურდა რომ ყოფილიყვნენ მხოლოდ ორნი და ისინი ერთმანეთს გამთენიისას, რუსთაველზე შეხვდნენ. ქუჩა იყო სრულიად ცარიელი და გაკვირვებული გეგა ცოტა ბრაზდებოდა კიდეც თინას ამ უცნაური ახირების გამო, რადგან მას მართლა ძალიან ეძინებოდა (არც არასოდეს ამდგარა ასე ადრე), თინა კი პირიქით, ძალიან კმაყოფილი ჩანდა. იჯდა გეგას გვერდით გრძელ, ზურგიან სკამზე და ღიმილით უყურებდა ერთადერთ მეეზოვეს, რომელიც დიდი ცოცხით ხელში ზანტად მიუყვებოდა რუსთაველის ქუჩას. ის გვიდა ჩუმად, უხმაუროდ, მაგრამ შემოდგომის ფოთლების ხმა მაინც არღვევდა ამ სიჩუმეს. თუმცა ვერ არღვევდა დილის სიმშვიდეს, რომელიც გეგამაც იგრძნო და თინას შეხედა. თინამ კი თავდახრილმა, თითქოს მთელი ქალაქის გაღვიძების ეშინიაო, გეგას ჩურჩულით უთხრა:

– ამ ქალაქში ახლა მხოლოდ ორნი ვართ: მე და შენ და მეტი არავინ.

– სამნი ვართ, – თქვა გეგამ ღიმილით და მეეზოვეს გახედა, თინამ კი მის ხუმრობას ყურადღება არ მიაქცია და ისევ ჩურჩულით თქვა:

– ამ ქალაქში და მთელ სამყაროშიც მხოლოდ ორნი...

გეგას გაახსენდა ფრანგული ფილმი „ორნი ქალაქში“, რომელიც მაშინდელი თბილისის ყველა კინოთეატრში გადიოდა, მაგრამ გეგას აღარ უხუმრია, აღარც გაღიმებია და მიხვდა, რომ თუ კიდევ იხუმრებდა, ამ გოგოს ძალიან ადვილად, სამუდამოდ დაკარგავდა. ამიტომაც სერიოზულად დაფიქრდა (მაგრამ არა ჩუმად) და თინას გასაგონად იკითხა:

– მხოლოდ ორნი?

– მხოლოდ ორნი: მე და შენ. გინდა?

– მინდა.

– შეგიძლია?

– შემიძლია.

– შეგიძლია რომ ხვალ დილით უფრო ადრე გამომიარო?

– უფრო ადრე? ამაზე ადრე ჯერ ისევ ბნელა...

– სანამ გათენდება, მანამდე შევხვდეთ და მთაწმინდაზე ავიდეთ.

– ფეხით?

– ჰო... და მზის ამოსვლა ვნახოთ. გინდა?

– მინდა, – თქვა გაუბედავად გეგამ, თუმცა ზუსტად იცოდა, რომ მზის ამოსვლის სანახავად მთაწმინდაზე ფეხით ასვლა ნამდვილად არ უნდოდა.

ქუჩაზე კი დილის პირველმა მანქანამ გაიარა და გაკვირვებულმა მძღოლმა ზურგიან სკამზე დილაუთენია ჩამომჯდარ წყვილს თვალი გააყოლა.

– წავედით, – თქვა თინამ და წამოდგა.

გეგას შუადღისას დათომ გამოუარა და გააღვიძა. დედამისს დათოს მოსვლა ძალიან გაუხარდა, რადგან გეგას მთელი დღე ეძინა და საღამოსთვის თეატრში უნდა წასულიყო (ქართველ დედას კი შვილის გაღვიძება მაშინაც განსაკუთრებით უჭირდა).

– დილით გამთენიისას წავიდა, მერე მოვიდა, ჩაი დალია და იმის მერე ძინავს, – უთხრა ქალბატონმა ნათელამ დათოს და გაიღიმა. გეგას დედამ რასაკვირველია უკვე ზუსტად იცოდა, რომ მისი შვილი შეყვარებული იყო და გეგას ოთახის კარი დათოს ხმაურით გაუღო.

დათომ ტაში დაუკრა ხმამაღლა და დემონსტრაციულად და როცა ქალბატონი ნათელა ოთახიდან გავიდა, ღიმილით ჰკითხა ახალგაღვიძებულ ძმაკაცს:

– შეყვარებული ხარ, ბიჭო?

– ვინ გითხრა? – თვალები მოიფშვნიტა გეგამ და ზმორებით წამოჯდა.

– „ამერიკის ხმამ“ უკვე გადმოსცა, – თქვა მხიარულად დათომ და ხელი კედელზე გაკრული ამერიკის დროშისკენ გაიშვირა.

– ხვალ დილითაც ადრე უნდა ავდგე.

– დედაშენმა მითხრა, დღეს გამთენიისას ადგაო...

– ხვალ უფრო ადრე მომიწევს ადგომა. გათენებამდე მთაწმინდაზე უნდა ავიდეთ.

– კეკეს საფლავს უნდა დახედოთ?

– მზის ამოსვლა უნდა ვნახოთ.

– არც კი დავკვირვებივარ თბილისში მზე საიდან ამოდის

– საერთოდ ცას თუ დაკვირვებიხარ თბილისში?

– ალბათ...

– გახსოვს ბოლოს ცაში როდის აიხედე?

– არა...

– ქალაქების მთავარი მინუსიც ეგაა, ცა არ ჩანს...

დათო გაკვირვებული მიუახლოვდა ფანჯარას, ზემოთ აიხედა, ცას დააკვირდა და გეგას ღიმილით ჰკითხა:

– ეგ იმან გითხრა?

– მე თვითონ მივხვდი, – გეგამაც გაიღიმა და ისიც ფანჯარასთან მივიდა.

– აქედან ცა მართლა არ ჩანს.

– იმიტომ, რომ წინა კორპუსი ჩვენსაზე მაღალია.

– ვინც ნიუ-იორკში ცხოვრობს, იმან რაღა უნდა ქნას?

– ნიუ-იორკში ვიცხოვრო და ცას საერთოდ არ ავხედავ.

– სანამ ნიუ-იორკამდე ჩააღწევ, იქნებ ერთხელ მაინც ჩამოხვიდე მონასტერში, შაბათს სოსოც მოგვყვება. ცას მაინც ნახავ, თუ ეგრე გენატრება. ძალიან მაგარი ადგილია.

– ხვალ ხომ გითხარი, სადაც მივდივარ. შემდეგ კვირას წამოგყვებით...

რამდენიმე წამის განმავლობაში ორივენი დუმდნენ და მერე სიჩუმე ისევ დათომ დაარღვია და საუბრის თემაც შეცვალა:

– მილიცია რომელ მხარესაა?

– მილიცია იქით არის, ეზოსკენ. ეს ოთახიც რომ იქით იყოს, ღამე ვერც დავიძინებდი.

– რატომ?

– ხალხს ღამე ცემენ ხოლმე და ისეთი ხმები ისმის, რომ ვისაც საძინებლები ეზოს მხარეს ჰქონდა, ბინები გაყიდეს და გადავიდნენ.

– როგორ თუ ცემენ?

– აწამებენ.

– ვის?

– დამნაშავეებს. აბა უდანაშაულო ადამიანებს ჩვენთან არ იჭერენ და...

დათომ ისეთი სერიოზული და შეშფოთებული სახე მიიღო, რომ გეგამ ფრაზა აღარ დაამთავრა და მეგობარს გაულიმა:

– გეხუმრე, არ ინერვიულო.

– ვიცი, რომ მეხუმრე.

– მაგრამ მილიციაში მოხვედრას მაინც არ გირჩევ, – თქვა გეგამ და დედამისს გასძახა:

– ჩვენ წავედით.

ქალბატონი ნათელა ოთახიდან გამოვიდა, დათოს დაემშვიდობა და გეგას პიჯაკის საყელო გაუსწორა. გეგამ, როგორც ამას ყოველთვის აკეთებდა ხოლმე, სახლიდან გასვლისას დედას აკოცა. ქალბატონმა ნათელამ კი კარი ჩაკეტა და ჩვეულებისამებრ ფანჯრიდან გახედა სადარბაზოდან გასულ შვილს. გეგამ იცოდა, რომ ამ დროს დედა ფანჯრიდან უყურებდა,

როგორც ყოველთვის, და ახლაც მხიარულად ასწია მარცხენა ფეხი დამშვიდობების ნიშნად, ისე რომ უკან, ფანჯრისკენ არც მოუხედავს...

ჯერ ისევ ბნელოდა, როცა გეგამ თინას ოთახის ფანჯარას ახედა მესამე სართულზე, სადაც სინათლე ენთო და ერთი წამით იმ ფანჯარაში თინას სილუეტი გამოჩნდა. მერე სინათლე ჩაქრა, გეგამ სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. სადარბაზოს კიბეზე აჩქარებული ფეხის ხმა გაისმა. სადარბაზოდან გამოსვლისას თინამ გეგას გაუღიმა და მადლობა უთხრა.

– მადლობა რისთვის? – გულწრფელად გაუკვირდა გეგას.

– გაღვიძებისთვის. ასე ადრე ადგომა არც ისე ადვილია, – თქვა თინამ და ქუჩის ტროტუარსაც ღიმილით გაუყვა.

– გააჩნია რა შემთხვევაში, უფრო სწორად, გააჩნია ვის გამო, – თქვა გეგამ, თუმცა თვითონაც მშვენივრად იცოდა, რომ ასე ადრე ადგომა მართლა ძალიან ძნელი იყო მისთვის და მართლა ძალიან გაუჭირდა.

თინამ საპასუხოდ არაფერი თქვა და ისე გაუღიმა გეგას, თითქოს ღამის სიჩუმეს უფრთხილდებაო. როცა თბილისის ძველ, ქვებით მოკირწყლულ ქუჩას აუყვნენ, ამ ღამის სიჩუმეს მხოლოდ მათი ფეხის ხმა არღვევდა. აღმართი იყო გრძელი და გეგა დარწმუნებული იყო, რომ დაიღლებოდა, მაგრამ დაღლა არ უგრძვნია და ესიამოვნა კიდეც სიცივე, გათენებამ რომ მოიტანა, როცა ზემოდან გადმოჰყურებდნენ ქალაქს, რომელსაც ჯერ კიდევ ეძინა.

მზე კი ნელა, ტაატით ამოცურდა თბილისის ცაზე და გეგას მადლობის თქმა მოუნდა თინასთვის, რომ ამ დროს აქ მოიყვანა, მაგრამ თინას ისეთი ბედნიერი სახე ჰქონდა ამ სიმშვიდის გამო, რომ გეგა მიხვდა – ახლა სიტყვებზე ფასეული დუმილი იყო და ეს დუმილი გეგამ მხოლოდ უკანა გზაზე, მთაწმინდიდან ჩამოსვლისას დაარღვია:

– მზის ჩასვლასაც აქედან უნდა ვუყუროთ?

– მზის ჩასვლა აქედან არ ჩანს.

– აბა რა უნდა ვქნათ?

– ზღვაზე უნდა წავიდეთ.

– ახლა ზღვაზე?

– ახლა ყველაზე კარგია ზღვა, შემოდგომის ზღვა.

– არავინ იქნება?

– მხოლოდ მე და შენ და ზღვა, გინდა?

– მინდა, – თქვა გეგამ და თინას თითებს გაუბედავად შეეხო მარჯვენა ხელით.

უკვე დილა იყო და ქუჩაშიც ადამიანები უკვე მოძრაობდნენ. სკოლისაკენ მიმავალმა რამდენიმე ფორმიანმა გოგონამაც თვალი ულამაზეს წყვილს გააყოლა. თუმცა მათ არ იცოდნენ, რომ თინა

და გეგა იყვნენ ყველაზე ლამაზები სამყაროში სწორედ იმიტომ, რომ ამ დილით მათი თითები პირველად შეეხნენ ერთმანეთს...

www.ChiaturaINFO.GE

ბერი

– ბოლომდე მინდოდა თქვენი პატივისცემა, მაგრამ ამის ზემოთ უკვე ვეღარ წავალ, მანქანაც ცოდოა, – უთხრა ბიჭებს მძღოლმა და ძრავა გამორთო. ბიჭები მანქანიდან გადმოვიდნენ და ზურგჩანთებიც გადმოიტანეს.

– აქედან შორსაა? – იკითხა სოსომ და მთის წვერს გახედა.

– ფეხით ერთ საათში ავალთ. თუ ჩქარა ვივლით, უფრო მალეც, – თქვა დათომ.

– მაშინ გავუშვათ ეს კაცი, ახალი თოვლია და მართლა ტყუილად უნდა გააწვალოს მანქანა, – თქვა პაატამ.

– ჯაჭვები რომ მქონდეს, აგიყვანდით, მაგრამ ჯაჭვების გარეშე ვერ ავა, ნაღდი ვიცი, სავეცკი მანქანაა...

მძღოლს აშკარად კმაყოფილი სახე ჰქონდა, ბიჭები რომ ასე ადვილად დაითანხმა და ფულიც სიხარულით გამოართვა დათოს, რომელიც დათოვლილ აღმართს, ნაჩქარევად აუყვა. დანარჩენებიც დათოს მიყვნენ, მაგრამ უფრო ნელა და სოსო კი რამდენჯერმე გაჩერდა გზაში და ყურადღებით დააკვირდა მართლა ძალიან ლამაზ, გადათეთრებულ ხეობას.

– დაჯექი და ხატე, რამდენიც გინდა, – უთხრა ღიმილით კახაბერმა სოსოს და კიდევ ერთხელ გაიკვირვა ნაადრევი თოვლი.

– მართლა ძალიან ადრე ჩამოთოვა აქ, – დაეთანხმა სოსოც და მეტი აღარ ულაპარაკიათ, რადგან იცოდნენ, რომ თოვლიან აღმართზე მიმავალ ადამიანს ყველაზე მეტად ლაპარაკი ღლის.

მალე მონასტერიც გამოჩნდა, რომელიც ისეთი ლამაზი იყო თეთრი მთების ფონზე, რომ ყველანი შეჩერდნენ. სოსოს გაეღიმა კიდეც და უფრო თავისთვის თქვა საყვარელი ფრაზა:

– მაინც ყველაზე მაგარი მხატვარია...

– ვინ? – ჰკითხა პაატამ, მაგრამ სოსოს არ უპასუხია და მხოლოდ ხელი გაიშვირა მონასტრისკენ, რომლის შესასვლელთან ანაფორაში შემოსილი ბერი იდგა პატარა გოგოსთან ერთად და სტუმრებს აკვირდებოდა. მერე ბერი და გოგონა ქვემოთ დაეშვნენ და ბიჭებს გზაზე შეეგებნენ. დათოს და ძმებს მასპინძელი, მისალმების ნიშნად, ბერულად გადაეხვია და სოსოს კი მაგრად ჩამოართვა ხელი.

– ეს სოსოა, ჩვენი ძმაკაცი, მხატვარი, რომ გეუბნებოდი ამოსვლა უნდა-მეთქი, – უთხრა დათომ ბერს და ყველამ თავისი ზურგჩანთა ჩამოდგა.

– ღმერთმა სულ სიკეთის გზებზე გატაროთ, – თქვა ბერმა ყველაზე მეტად სოსოს გასაგონად და სოსოს ზურგჩანთის მხარზე მოკიდებას შეეცადა. რაღა დარჩაო, და სოსომ არ დაანება – მაინც თვითონვე აიტანა თავისი ზურგჩანთა მონასტრამდე, რომლის თეთრი ეზოც მართლაც საოცარი სანახავი იყო. მონასტერში მხოლოდ რამდენიმე პატარა სენაკი იყო დარჩენილი და უფრო მოზრდილი სატრაპეზო, სადაც ბიჭებმა პროდუქტი დააბინავეს და ტრაპეზის სამზადისსაც შეუდგნენ.

ტრაპეზის წინ ბერმა „მამაო ჩვენო“ თქვა და პირჯვარი გადაიწერა. ბიჭებმაც ბერს მიბაძეს, მაგრამ ყველაზე მონდომებული პატარა ეკა იყო, რომელიც მამასთან ერთად ამბობდა „მამაო ჩვენოს“, მერე კი კმაყოფილმა ახედა მამას და მისი შექებით ძალიან კმაყოფილი დარჩა. ტრაპეზის დროსაც დიდი დიასახლისივით იქცეოდა პატარა ეკა და ისე უმასპინძლდებოდა სტუმრებს, რომ ბიჭებს რამდენჯერმე გაეღიმათ კიდეც. მამა ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი იყო თავისი პატარა ქალბატონით და ტრაპეზის დროს რამდენჯერმე კიდეც შეაქო ეკა. პატარა ქალბატონმა კი დიდი სიყვარულით აკოცა ძვირფას მამას, რომელიც ამ ბიჭებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანი იყო და ეს ერთი შეხედვითაც ეტყობოდათ.

ტრაპეზისას სიჩუმე დათომ დაარღვია და ის თქვა, რასაც ალბათ სხვებიც ფიქრობდნენ:

– რა ადრე ჩამოუთოვია აქ, თბილისში ჯერ ისევ თბილი შემოდგომაა.

– ასეთი ქვეყანა გვაქვს, – თქვა მამა თევდორემ, – პატარაა, მაგრამ საოცარი. აქ უკვე თოვლია, ზღვაზე კი ალბათ ჯერ ისევ ბანაობენ.

ღმერთმა ყველაფერი მისცა ამ პატარა ქვეყანას, ადამიანებმა კი ამ ქვეყანაში მადლიერების გრძნობა დაკარგეს და თვითონ ღმერთიც დაივიწყეს.

– რატომ? – გააწყვეტინა უცებ სოსომ, – ადამიანებს ამ ქვეყანაში მაინც ახსოვთ ღმერთი, მიუხედავად იმისა, რომ მათ ეკლესიაში სიარულსაც კი უკრძალავენ. თუ ამ ქვეყანას ცუდი მთავრობა ჰყავს, ეს ადამიანების ბრალი სულაც არ არის.

– მთავრობაც ადამიანებისაგან შედგება, – ახლა ბერმა გააწყვეტინა სოსოს, – და მთავრობაც იმ ხალხის ნაწილია, ვისაც ახლა თქვენ აქებთ

– მე არავის ვაქებ, უბრალოდ იმ ადამიანებს ვიცავ, ვისაც არჩევანის უფლება არა აქვს და შესაბამისად, არც პასუხისმგებელია იმ ცუდი ადამიანების გამო, ვინც მთავრობაში ხვდება. ხალხს არჩევანის უფლება წართმეული აქვს და ამიტომაც ამ ადამიანებს პასუხი არც მოეთხოვებათ იმის გამო, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, – თქვა სოსომ, მაგრამ ნაკლებად მშვიდად და ბიჭებს გადახედა. ბიჭებს უფრო მშვიდი სახეები ჰქონდათ, რადგან იცოდნენ, რომ სოსოს კამათი ყოველთვის უყვარდა, მაგრამ არა ჩხუბი და თანაც არასოდეს აყენებდა შეურაცხყოფას მოწინააღმდეგეს და ყოველთვის ცდილობდა მისი პოზიცია არგუმენტირებული ყოფილიყო.

– თქვენ გგონიათ, თუ ამ ქვეყანას ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება ეყოლება და არა კრემლიდან დანიშნული მთავრობა, როგორც ახლა ჰყავს, ის ნაკლებად ათეისტური იქნება და ნაკლებად ცუდი? – მამა თევდორემ ძალიან მშვიდად ჰკითხა სოსოს და ცარიელი ღვინის ჭიქაც თავისი ხელით შეუვსო. ბერის სიმშვიდე გადამდები აღმოჩნდა სოსოსთვის, რომელიც უცებ დაწყნარდა, გაეღიმა კიდეც და ღიმილითვე თქვა:

– ან ცუდი იქნება ან კარგი, მაგრამ რადგან ხალხი თვითონ აირჩევს თავის მთავრობას, პასუხსაც ხალხი აგებს და არა რომელიმე მკვდარი ან ცოცხალი ბელადი. შეიძლება პირიქითაც მოხდეს და იმ არჩეულმა მთავრობამ მორწმუნეებს კი არ დაუწყოს დევნა, როგორც ახლა ხდება, არამედ ათეისტებს.

– ვერც წარმომიდგენია ასეთი საქართველო, – თქვა უცებ დათომ.

– სულ არ არის, სხვათა შორის, ძნელი წარმოსადგენი! და ის ხალხი, ახლა რომ პარადებზე დადის, ეკლესიაშიც მასიურად ივლის და პირჯვარსაც ყველგან გადაიწერს, სადაც ხალხს და ეკლესიას დაინახავს...

– მერე რა არის ამაში ცუდი? – ახლა პაატამ ჰკითხა სოსოს აშკარად გაკვირვებულმა.

– ერთმანეთის დასანახად და მოსატყუებლად, პარადებზე სიარულიც ცუდია და ეკლესიაშიც.

– მგონი, მაინც ეკლესიაში ჯობია, – თქვა პაატას ძმამ და მამა თევდორეს გადახედა.

ბერმა ყველას ერთად უპასუხა, მაგრამ განსაკუთრებით სოსოს გასაგონად ახსნა თუ რატომ ჯობდა მაინც ეკლესიაში სიარული ათეისტურ ცხოვრებას:

– თუ ადამიანი თუნდაც სხვების დასანახად მივა ეკლესიაში, მაინც უკეთესია, რადგან იქ უფრო მეტი დრო ექნება იმისათვის, რომ სიყვარულზე, ღმერთსა და ჭეშმარიტებაზე იფიქროს.

– კოლექტიური ფიქრი ყოველთვის სიძულვილით მთავრდება და არა სიყვარულით, – ისევ გააწყვეტინა სოსომ ბერს, მაგრამ მამა თევდორე არ გაბრაზებულა და ისევ მშვიდად განაგრძო საუბარი:

– კოლექტიურ აზროვნებას ყოველთვის რეჟიმები მოაქვს შედეგად და არა თავისუფლება და ეს მართალია, მაგრამ შენი თავისუფლების გზა შეგიძლია ეკლესიაში დაიწყო.

– და მერე მარტომ გავაგრძელო, როგორც თქვენ? – სოსომ ისევ გააწყვეტინა ბერს და მამა თევდორემ მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ უპასუხა სტუმარს:

– მე აქ მირჩევნია ჩემი თავისუფლების ძებნა, ქალაქისგან შორს, სადაც ნაკლები ხმაურია და ბევრი დრო ღმერთზე ფიქრისთვის.

– და აქ როდემდე აპირებ დარჩენას? – დათომ ყველას დაასწრო და მამა თევდორეს ჰკითხა ის, რაც ყველაზე მეტად აინტერესებდათ მის მეგობრებსაც.

– გაისად ოცდაცამეტის გავხდები და მინდა აქ ვიყო, თუ მანამდე არ ამიკრძალეს.

– ვინ?

– იყვნენ უკვე, სამი დღის წინ ამოვიდნენ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი აუკრძალავთ, წიგნები ნახეს და წავიდნენ.

– როდის აგიკრძალავენ?

– როცა ჩათვლიან, რომ ჩემი აქ ყოფნა მათთვის საშიშია.

– რატომ?

– იმიტომ, რომ შიშს დიდი თვალები აქვს და ურწმუნო ადამიანი კი ძალიან მშიშარაა.

ბერს გაეღიმა და ბიჭებსაც ღიმილით დაანახა, როგორ ეძინა პატარა ეკას მამის გვერდით,

პირდაპირ მაგიდაზე.

– დაიღალა, – თქვა პაატამ და პატარა ეკა ხელში აიყვანა.

– მგონი თქვენც დაგღალეთ, – თქვა მამა თევდორემ და ფეხზე წამოდგა. დანარჩენებიც წამოიშალნენ და მადლობა თქვეს.

– ეკა ხვალ თქვენ უნდა წაიყვანოთ, სკოლა ეწყება, მე კვირის ბოლოს ჩამოვალ და თბილისში გნახავთ, – უთხრა უკვე მონასტრის ეზოში გამოსულ დათოს მამა თევდორემ.

– ერთი კვირის პროდუქტი მგონი კი ამოვიტანეთ, – თქვა დათომ და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ახედა.

– ვიმყოფინებ. მთავარია, თაფლი ამოიტანეთ.

– თაფლი გიყვართ? – ჰკითხა სოსომ ბერს.

– ირემი მოდის აქ და იმას ვაჭმევ ხოლმე.

– როგორ? – გულწრფელად გაკვირვებულმა ჰკითხა დათომ და მამა თევდორემ ღიმილით უპასუხა:

– ხელით.

– მე მეგონა, რომ ირმებს მარილი და მჟავე უყვარდათ და არა ტკბილი, – თქვა სოსომ.

– მეც ეგრე მეგონა. შეიძლება ასეც არის და მხოლოდ ამ ირემს უყვარს თაფლი, მუჭში ჩავისხამ ხოლმე და ლოკავს.

– რა ნათელი ღამეა, – თქვა ეზოში გამოსულმა პაატამ და ცას ახედა.

– ალბათ ასეთი, ამდენი ვარსკვლავებით მოჭედილი ცა თუ ნახა კანტმა და იმიტომაც გაიკვირვა.

– რაღაც მინდა გკითხოთ, – უთხრა უცებ სოსომ ბერს.

– კი ბატონო, – თქვა მამა თევდორემ, – მაგრამ თქვენობით ნუ მომმართავ.

– კარგი, – თქვა სოსომ, – აქ ყოფნა თუ აგიკრძალეს, სად წახვალ?

– სხვა მონასტერში წავალ.

– სხვა მონასტერშიც თუ არ შეგიშვეს?

– მაშინ სხვა ქვეყანაში წავალ და იქ მოვძებნი ჩემს წილ სიმშვიდეს, – თქვა ღიმილით მამა თევდორემ და სოსომაც ღიმილით ჰკითხა კიდევ ერთხელ:

– სხვა ქვეყანაში რომ არ გაგიშვან?

– გავიპარები, – თქვა ბერმა უკვე სიცილით და მერე დანარჩენებსაც გადახედა, – ახლა, თქვენის ნებართვით, გავიპარები დასაძინებლად, დილით ადრე უნდა ავდგე. თანაც, ეკა მარტოა და რომ გაეღვიძოს, არ შეეშინდეს.

– ეკას მგონი არასდროს არაფრის შეეშინდება, – თქვა სიცილით დათომ და სხვებთან ერთად მამა თევდორეს დაემშვიდობა.

როცა ბიჭები მარტო დარჩნენ მონასტრის ეზოში, კარგახანს დუმდნენ და ჩუმად, უხმაუროდ ეწეოდნენ. მერე დუმილი კახაბერმა დაარღვია და სოსოს ჰკითხა:

– რას იტყვი?

– რა ვთქვა?

– დაგვთანხმდება?

– არ ვიცი, არა მგონია და ჯერჯერობით ნურაფერს ვეტყვით, – თქვა სოსომ და საუბრის თემაც სასწრაფოდ შეცვალა:

– კანტი როგორ ამბობდა, რა მაკვირვებსო?

– ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემ ზემოთ და მორალი ჩემში, – თქვა რომელიღაცამ და ბიჭებმა ისევ ცას ახედეს, რომელიც მართლა მოჭედილი იყო დიდი, კაშკაშა ვარსკვლავებით; მთვარე კი იყო უჩვეულოდ თეთრი.

– გზაზე რამეს გააჩერებთ, თუ არა და სამზე თბილისის ავტობუსი ჩამოივლის, – უთხრა ყველას ერთად მამა თევდორემ დილით და ბიჭებს სათითაოდ გადაეხვია. მერე თავის პატარა ეკას ბევრი აკოცა და უკვე დაღმართზე დაშვებულებს, ყველას შორიდან კიდევ ერთხელ პირჯვარიც გადასწერა. პატარა ეკამ გზიდანაც კიდევ რამდენჯერმე დაუქნია ხელი მონასტრის კართან დარჩენილ ძვირფას მამას და კოცნაც კიდევ რამდენჯერმე გაუგზავნა ადამიანს, რომელიც ყველაზე მეტად უყვარდა...

თოვლიანი მონასტრის სიჩუმე იმ საღამოსვე შეცვალა საშინელმა ხმაურმა, რომელიც სოსოს თავისი მეგობრის სახლში დახვდა, სადაც მასპინძლის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ განსხვავებულებით და ამიტომაც ხალხი უკვე მთვრალი იყო. თუმცა, ყველაზე მეტად მთვრალი თამადა მაინც ითხოვდა ყანწების შევსებას და მოსმენას, მაგრამ მას აღარავინ უსმენდა სოსოს გარდა. გოგოები ცეკვავდნენ ყიჟინით. სოსოს სინამდვილეში დალევა უნდოდა და არა თამადის მოსმენა, როგორც ეს თამადას სურდა, რომელიც უკვე მერამდენედ უხდიდა მადლობას სოსოს ამ ერთგულებისათვის. სოსო კი, გარდა იმისა, რომ მთვრალი იყო, დაღლილიც იყო და როცა საბოლოოდ მობეზრდა სადღეგრძელოების მოსმენა, თამადას მეგობრულად სთხოვა:

– დალიე, რა...

თამადამ ყანწი მოიყუდა, მაგრამ მალევე ჩამოდგა და ამოიოხრა:

– აღარ შემიძლია, ამის დედა ვატირე, – თქვა ძალიან გულწრფელად, დაჯდა, თავი თეფშზე დადო და ტკბილად დაიძინა.

სოსოს გაელიმა და თამადას ჩახუტებული ყანწი გამოართვა, ჯერ შიგ ჩაიხედა, მერე ღრმად ამოისუნთქა და მოიყუდა. გეგა ღიმილით მიუახლოვდა სოსოს და ხელი გადახვია, უთქმელად გამოართვა ყანწი და შიგ ჩარჩენილი ღვინო ცარიელ ჭიქაში ჩაასხა.

– რა გინდა? – ჰკითხა სოსომ და გეგას ხელით ანიშნა, სიგარეტი მომეციო.

– საქმე მაქვს, აივანზე მოვწიოთ.

სოსოს ეზარებოდა აივანზე გასვლა, მაგრამ მაინც გაჰყვა გეგას და გემრიელად გააბოლა. ოთახიდან ხმაური შემოდიოდა ცეკვისა და ყიჟინის და გეგამ კარი გამოიხურა.

– ნახე? – ჰკითხა სოსოს და თვითონაც მოუკიდა სიგარეტს.

– ვინ?

– ის მამა თევდორე.

– ბერი?

– ჰო.

– ჰო, ვნახე.

– მერე?

– რა მერე?

– ილაპარაკეთ?

– კი, ვილაპარაკეთ.

– რაზე ილაპარაკეთ?

– კანტზე.

– კანტზე სალაპარაკოდ იყავი წასული?

– ხვალ მოგიყვები, რა...

– შენი პახმელიის ამბავი რომ ვიცი, ხვალ მკვდარი იქნები.

– ხვალ შვიდი ნოემბერია, ამ დღეს ყველა პატიოსანი ადამიანი ჩემსავით მკვდარი უნდა იყოს.

– რატომ?

– ეგ დღე რომ გამოტოვოს.

– ამიტომ დალიე ამდენი?

– არც მახსოვდა. დალევასაც არ ვაპირებდი, მაგრამ აქ რომ მოვდიოდი, დავინახე წითელ დროშებს როგორ კიდებდნენ.

– სად?

– ყველგან.

– სახლში წავიდეთ, მე და თინა მიგაცილებთ.

– კიდევ უნდა დავლიო.

– აღარ გინდა. კიდევ რომ დალიო, შეიძლება მთელი ნოემბერი გამოტოვო...

სოსოს გაეღიმა და გეგა მიხვდა, რომ ძმაკაცი სახლში წასვლაზე დაითანხმა.

სადარბაზოს კიბეს სამივენი ერთად, ღიღინით ჩამოუყვნენ. სოსოს მაინც აერია ფეხი. თინა და გეგა აქეთ-იქიდან, მხრებში ამოუდგნენ სოსოს. სოსომ ღიმილით იკითხა:

– ეგეთი მთვრალი ვარ?

მაგრამ ხელი მაინც ორივეს გადახვია და იგრძნო, რომ ძალიან ბედნიერი იყო შეყვარებული ძმაკაცის გამო. მერე ტაქსი გააჩერეს. სოსო სახლამდე ღიღინებდა. მანქანიდან გადმოსვლისას, მძღოლს გადაეხვია და სერიოზული სახით ჰკითხა:

– ნიუიორკელ ტაქსის მძღოლებს რამე ხომ არ გადავცე თქვენი სახელით?

მძღოლს გაეღიმა და ღიმილითვე უპასუხა:

– მოკითხვა...

– მე თვითონ ავალ, – უთხრა სადარბაზოს წინ სოსომ თინას და გეგას და მადლობაც გადაუხადა.

– ჩვენ ზღვაზე წასვლას ვაპირებთ ერთი კვირით, – უთხრა გეგამ სოსოს.

– ახლა? არ გაიყინოთ, – გაუკვირდა სოსოს.

– რა გაგვყინავს ერთად, – თქვა გეგამ და თინას ხელი მოჰხვია.

– ძალიან ლამაზები ხართ ამ მთავრობისთვის, ფრთხილად იყავით, – თქვა სოსომ.

– რა?

– ძალიან ლამაზები ხართ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, – გაიმეორა სოსომ და სადარბაზოს კიბეს აუყვა.

თინას და გეგას ტაქსი აღარ გაუჩერებიათ, ფეხით გაუყვნენ ქუჩას. ქუჩის ორივე მხარეს, მაღალ ბოძებზე, მართლა წითელი, საბჭოთა დროშები ფრიალებდა. უკვე გვიანი იყო და ცარიელ ქუჩას უსიტყვოდ მიუყვებოდნენ შეყვარებულები, როცა მოულოდნელად გეგა გაჩერდა, წითელ დროშას

ახედა ღიმილით და თინაც მაშინვე მიხვდა, რასაც აპირებდა. თინასაც გაეღიმა. გეგა სწრაფად აძვრა ერთ-ერთ ბოძზე დროშის ჩამოსაგლეჯად. წითელ დროშას ხელი მოჰკიდა, ჯერ მსუბუქად მოქაჩა და როცა მეორედაც დააპირა, სრულიად მოულოდნელად ბოძის ქვეშ სამთვლიან მოტოციკლზე ამხედრებული მილიციელები გაჩერდნენ. თინა და გეგა ვერც კი მიხვდნენ, საიდან გაჩნდა ასე უცებ და უხმაუროდ ცარიელ ქუჩაზე მილიციის პატრული და შიშისა თუ დაბნეულობისაგან ორივენი დამუნჯდნენ.

– ჩამოდი, ბიჭო, ძირს! – ასძახა იმან, რომელიც საჭესთან იჯდა – ულვაშიანმა და მოტოციკლის ძრავა გამორთო. მეორე უფრო მსუქანი იყო და თან ისეთი მსუქანი, რომ თინამ გაიფიქრა კიდეც, ეს მსუქანი კაცი ამ სკამში როგორ ეტევაო, მაგრამ მიხვდა, რომ ახლა ამაზე ფიქრის დრო სულაც არ იყო. ულვაშიანმა მეტი დამაჯერებლობისთვის, თითითაც ანიშნა გეგას, ჩამოძვერიო. მსუქანმა მჟავე კიტრით სავსე ქილა ამოდგა საიდანღაც და ერთი ცალი კიტრი საშინელი ხმაურით ჩაკბიჩა. გეგა ჩამოვიდა, დადუმებულ თინას ნაძალადევად გაუღიმა და ულვაშიანს დააკვირდა. ულვაშიანი მილიციელი კი, თავის მხრივ, უფრო ყურადღებით დააკვირდა გეგას და ომახიანად ჰკითხა:

– რას აკეთებდი ზევით?

– დროშას ვკოცნიდი, უფროსო, – თქვა გეგამ და უცებ მოეჩვენა, რომ ამ ხალხთან ლაზღანდარობაც შეიძლებოდა.

– დაგვცინი? – იკითხა მკაცრად ულვაშიანმა და კოლეგას გადახედა. მსუქანი კოლეგა ისევ მჟავე კიტრს ახრამუნებდა, მაგრამ თან გეგას თვალს არ აშორებდა, თითქოს რაღაცას იხსენებსო და უცებ წამოიყვირა კიდეც:

– შენა, ბიჯო, არტისტი არა ხარ? კინოში მყავხარ ნანახი, ცოლის მოყვანა რო გინდა, მაგრამ ძმები რო არ გაცლიან, ხო ეგა ხარ?!

– კი, – თავი დაუქნია გეგამ მსუქან მილიციელს, – მე ვარ, მსახიობი.

– მეც ენგრე ვიყავი, ჩემი უმფროსი ძმა რო ცოლის მოყვანას არ მაცლიდა, ჯერ მე უნდა მოვიყვანოო. მაგისთვინ რო დამეჯერებინა, ეხლაც უცოლო ვიქნებოდი, – მსუქანმა ისევ ჩაკბიჩა მჟავე კიტრი და ულვაშიანს გადახედა:

– გაუშვათ კაცო, კაი ბიჭია ეგა...

ულვაშიანმა, სანამ მოტოციკლს თავიდან დაქოქავდა, ჯერ თინას გადახედა, მერე ზევით წითელ დროშას ახედა, მერე კი გეგას გასაგონად ხმამაღლა თქვა:

– მაგ დროშას ნუ ეხუმრები, შვილო, მაგათ ეგეთები არ უყვართ და არ დაგინდობენ...

– მადლობთ, – თქვა თინამ, მაგრამ მილიციელებს მისი მადლობა აღარ გაუგიათ, რადგან მათი სამთვლიანი მოტოციკლი უკვე შორს იყო და თანაც ცარიელ ქუჩაზე მხოლოდ საბჭოთა ძრავის გრუხუნი ისმოდა...

გია

– ცოტა ხნით გამომართვი, –უთხრა მანანამ ქმარს ძალიან დაღლილი ხმით და გიამ ცოლს ბავშვი გამოართვა, რომელიც უკვე ერთი საათი იყო, შეუჩერებლად ტიროდა.

მანანამ საძინებლის კარი გამოიხურა და სამზარეულოში სკამზე ჩამოჯდა. სიგარეტის მოკიდება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან ბავშვმა ტირილს მოუმატა და მანანაც ოთახში შებრუნდა. გიორგი კი ერქვა, მაგრამ ყველანი გიას ეძახდნენ და ახლა ისეთი შეწუხებული სახე ჰქონდა, რომ ცოლს სხვა დროს, ალბათ გაეღიმებოდა კიდეც, მაგრამ მკლავები ისე სტკიოდა დაღლილობისაგან, ღიმილის ძალაც არ ჰქონდა.

– მომეცი, – უთხრა გიას და ბავშვი ისევ გამოართვა.

– მე რა ვქნა? – ჰკითხა ცოლს გიორგიმ გაუბედავად, მაგრამ მანანამ ზუსტად ის უპასუხა, რასაც ელოდა:

– არაფერი.

ეს უფრო დაღლილი ქალის ხმა იყო, ვიდრე გაბრაზებული ცოლის, მაგრამ გია მაინც სამზარეულოში გავიდა, სარკმელი გამოაღო და სიგარეტს მოუკიდა. მოწია სწრაფად და ნერვიულად, რადგან როგორც ყველა ახალგაზრდა მამას, მასაც ყველაზე მეტად ბავშვის ტირილის ხმა აგიჟებდა, მიუხედავად იმისა, რომ მშვიდი ხასიათის იყო და ბევრი რამის მოთმენაც შეეძლო.

სიგარეტი ბოლომდე მოწია და მერე მაცივარი გამოაღო. მაცივარი ცარიელი იყო და კარი ისე ცივად მიხურა, რომ თვითონაც ეგონა, შეიგინებოდა, მაგრამ უცებ დამშვიდდა, სახეზეც ღიმილისმაგვარი გაუჩნდა უცებ და საძინებლის კარს ფრთხილად მიუახლოვდა. ბავშვის ტირილის ხმა აღარ ისმოდა ოთახიდან, რომლის კარზეც აკრული ნაჭრის ფარდა გიამ ძალიან ფრთხილად გადაწია – დედას და შვილს, ორივეს ეძინათ.

გიამ ისევ სიგარეტს მოუკიდა, მაგრამ უკვე გახარებულმა და ფანჯრის სარკმელიც ისევ გამოაღო. ახლა ნელა გააბოლა და გემრიელად მოწია, დარჩენილი სიგარეტიც გარეთ არ გადაუგდია, როგორც ამას აკეთებდა ხოლმე და ონკანის წყლით დაასველა. მერე ნაგვის ყუთს თავსახური ახადა ძალიან ფრთხილად და შიგ ჩააგდო. მერე ისევ ცარიელი მაცივარი გამოაღო და ისევ მიხურა.

– გაგიკვირდა, რომ ცარიელია? – ჰკითხა ცოლმა და გია სწრაფად შემოტრიალდა.

– მეგონა რომ გეძინა, – უთხრა ცოლს და სკამზე ჩამოჯდა.

– მეძინა, მაგრამ ბავშვს საჭმელი უნდა გავუკეთო.

– შეიძლება ისევ ყური ტკივა.

– შეიძლება.

– ის წამალი აღარ გაქვს?

– აღარ მაქვს და მეზობლებსაც ველარ გამოვართმევ.

– ხვალ ვიყიდი.

– რითი იყიდი?

– ვიყიდი.

– ისევ ისესხებ?

– ვიყიდი.

– არც იშოვება.

– ჩაშკასგან ვიყიდი.

– ჩაშკასთან ძალიან ძვირი იქნება.

– ვიყიდი.

– ჩაი დავლიოთ. სამსახურზე რა ქენი?

– ხვალ მეტყვიან პასუხს.

– მიგიღებენ?

– ალბათ.

– არსად გიღებენ და მაგათი იმედი რატომ გაქვს?

– არ იციან, რომ ნასამართლევი ვარ.

– რომც იცოდნენ, ოფიციალურად ხომ გაგამართლეს, რეაბილიტაციის ფურცელიც ხომ საქმეში დევს.

– მაგ ფურცელს არავინ კითხულობს ხოლმე.

– და შენც, რა თქმა უნდა, აღარ ეუბნები ხოლმე, რომ საბუთები ბოლომდე წაიკითხონ.

– რა თქმა უნდა.

– შენი სიამაყე და თავმოყვარეობა ამის უფლებას არ გაძლევს.

– ხვეწნა არ შემიძლია.

– მაშინ ამათი იმედი რატომ გაქვს?

– ზედმეტი რაც იყო, საბუთებიდან ამოვიღე და ისე ჩავაბარე კადრების განყოფილებას.

ცოლმაც და ქმარმაც ორივემ გაიცინეს, მაგრამ მაშინვე გაახსენდათ ძლივს ჩაძინებული შვილი და ერთდროულად აიფარეს პირზე ხელები.

– კარტოფილს შეგიწვავ უცებ, – უთხრა მანანამ გიას, – ცოტა კიდევ არის დარჩენილი და არ მეზარება.

– არ მშია, – თქვა გიამ, სიგარეტს მოუკიდა გაზზე და ჩაკეტილი სარკმელი ისევ გამოაღო.

დილით სახლიდან ადრე გავიდა.

იღლიაში ამოჩრილ შეკვრას დახედა კიდევ ერთხელ და ლენინის მოედნისკენ მიმავალ ტროლეიბუსს გაჰყვა. მოედნიდან ლესელიძის ქუჩას ფეხით ჩაუყვა და სინაგოგისკენ შეუხვია. რამდენიმე ებრაელი სინაგოგის წინ იდგა და გიამ სწორედ მათ ჰკითხა, ჩაშკა ხომ არ გინახავთო, მაგრამ უცხო კაცის გამოჩენამ ებრაელები ცოტა დააფრთხო. გიას ჩაშკასთან რა საქმე უნდა ჰქონოდა მანამდე და ნანახიც არ ჰყავდა, მაგრამ დანარჩენი თბილისელებივით იცოდა, რომ ჩაშკა უცხოურ და დეფიციტურ წამლებს ყიდდა. სახეზე არც იცოდა რომელი იყო, მაგრამ გია ინტუიციით მიხვდა, რომ ის ჩაშკა ახლა აქ, ამ ებრაელებს შორის იდგა და პირდაპირ, დაუფარავად თქვა აქ მოსვლის მიზეზი:

– წამალი მინდა ბავშვისთვის...

ჩაშკაც გენეტიკური ინტუიციითა და გამოცდილებით მიხვდა, რომ ეს კაცი მისი კლიენტი იყო და არა კაგებე ან ობეხე.

– წამო, – უთხრა გიას და იქვე მდგარი სახლის პირველ სართულზე შეუძღვა. ჩაშკამ რაღაც ბლოკნოტი გადაშალა და კლიენტს სკამზე დაჯდომა შესთავაზა. გიორგი ოთახის დათვალიერებას შეეცადა უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო, მაგრამ ჩაშკას, აბა, ამდენი დრო საიდან ექნებოდა:

– რა წამალი გინდა? – ჰკითხა გიას და იმ გადაშლილ ბლოკნოტს ჩახედა.

– ყურის ტკივილის წამალია გერმანული, ბავშვისთვის მინდა, სამი ღამეა არ უძინია, ბულგარული მოგვცა მეზობელმა და გაგვითავდა.

– ეგ ბულგარული არც შველის, შენ ან გერმანული გინდა ან ავსტრიული, – გააწყვეტინა ჩაშკამ და ძალიან პროფესიონალურად გაშალა ხელები.

– გაქვთ? – ჰკითხა გიამ და პასუხის მოლოდინში ისე აღელდა, მოწევაც კი დააპირა.

– საერთოდ ეგ წამალი ძალიან იშვიათობაა და თანაც ძალიან ძვირია, – დაიწყო ჩაშკამ, მაგრამ ახლა გიამ გააწყვეტინა:

– ამაზე ძვირი ხომ არ იქნება?! – თქვა და გიამ და ამოიღლიავებული შეკვრა მაგიდაზე დადო, აჩქარებით გახსნა და ჩაშკას აჩვენა – ეს იყო ახალთახალი, ნამდვილი ამერიკული ჯინსები, რომელმაც ჩაშკაც კი გააკვირვა. ჯერ თვითონ ათვალიერა კარგა ხანს და მერე ეზოში მდგარ მოშეს დაუძახა. მოშე შემოსვლისთანავე უსიტყვოდ მიხვდა, რაშიც იყო საქმე და ჯინსები საგულდაგულოდ გასინჯა, მერე გიორგის გადახედა და კმაყოფილი სახით ჩაშკას გასაგონად

თქვა:

– ბავშვებს გეფიცები, ნაღდი „ლევისია“! სინაგოგასთან ვდგავართ და ღმერთი ტყუილს არ მაპატიებს, – მერე ისევ გიასკენ გაიხედა და საქმიანი იერით უთხრა:

– ამის კლიენტი სამსეა, თუ დატოვებ. მაგრამ ფასი უნდა მითხრა, დაგენაცვლე.

– ბავშვის წამალი მჭირდება და ამიტომ ვყიდი ამ ჯინსებს, ფასების კი საერთოდ არაფერი გამეგება, პირველად ვყიდი რაღაცას, – თქვა გიამ და ჩაშკამ და მოშემ ერთმანეთს გადახედეს. მერე ჩაშკა შეტრიალდა, კარადიდან წამალი გამოიღო და გიას გაუწოდა:

– ამის ფულს იქიდან ავიღებ, დანარჩენს ხვალ მოაკითხე და მოშეს გამოართვი.

გიას აღარაფერი უთქვამს, წამალი ჯიბეში ჩაიდო და ებრაელებს დაემშვიდობა.

სამსახურში მიღებაზე რომ ამჯერადაც უარს ეტყოდნენ, რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ მაინც შეიარა კვლევით ინსტიტუტში, სადაც ოფიციალური პასუხი იმ დღეს უნდა ეთქვათ და კადრების განყოფილებაში ბოდიში მოუხადეს:

– თქვენი საკითხი განიხილეს, მაგრამ ვაკანსიები აღარ არის და გაისამდე ალბათ აღარც იქნება. მომავალ წელსაც შემოიტანეთ საბუთები და იქნებ გაგიმართლოთ.

– მომავალ წელს უკვე ძალიან შორს ვიქნები, – უთხრა გიამ პომადით ტუჩებდაწითლებულ ქალს და საბუთები თავაზიანად გამოართვა. ფურცლები იღლიაში ამოიდო და ქუჩაში გავიდა თუ არა, სიგარეტს მოუკიდა. მერე ქუჩა გადაკვეთა და ხიდზე გადასვლისას ერთი წუთით შეჩერდა, საბუთები მშვიდად გადაყარა მტკვარში და გზა განაგრძო. მერე საათი ჰკითხა ვიღაც გამვლელს და ტროლეიბუსში ავიდა. ძმები უნდა ენახა და იცოდა, რომ ამ დროს სახლში იქნებოდნენ, რადგან უკვე სადილის დრო იყო, ძმები კი ყოველთვის შინ სადილობდნენ ხოლმე ოჯახის დანარჩენ წევრებთან ერთად.

კარი პაატამ გაუღო და გიას დიდ სასადილო ოთახში შეუძღვა, სადაც მასპინძლები მრგვალი მაგიდის გარშემო ისხდნენ. გიას ყველანი ფეხზე ადგომით მიესალმნენ. რატომღაც არ შიოდა, მაგრამ ძმების მამას უარი მაინც ვერ უთხრა და სუფრასთან აღმოჩნდა. მამა სადილის დროსაც გაზეთს კითხულობდა, რომელსაც დიდი, განსხვავებული ასოებით ეწერა სახელი „პრავდა“, მაგრამ ამ გაზეთს არანაირ სიმართლესთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა სინამდვილეში. უფროსმა შვილმაც ღიმილით უთხრა მამას:

– ამ გაზეთებში რომ სიმართლე ეწეროს, ხუთი კაპიკი ხომ არ ეღირებოდა?!

– საბჭოთა გაზეთებში მხოლოდ უცხოეთის ამბებს ვკითხულობ, – სათვალე მოიხსნა ბატონმა ვაჟამ და ღიმილითვე უპასუხა შვილს. შვილი კი მაინც არ მოეშვა მამას:

– საბჭოთა ამბები არ გაინტერესებს?

– საბჭოთა კავშირის ამბებს ამერიკის ხმაზე ვუსმენ ხოლმე, – თქვა ისევ ღიმილით ბატონმა ვაჟამ და ყველას გაეცინა, – ასე უფრო ადვილია სიმართლის დადგენა..

ცოტა ხანს სიჩუმე არავის დაურღვევია, სანამ ისევ ოჯახის უფროსმა არ იკითხა შვილების გასაგონად:

– სტუმარს არაფერი დავალევინოთ? მერე არ თქვას მშრალ სადილზე გადამატარესო.

– დიდი მადლობა, მაგრამ ძალიან მეჩქარება, – თქვა გიამ და ძმებს გადახედა.

– თუ გეჩქარება, ჩქარ-ჩქარა დავლიოთ, ჩვენი ნება არაა?! – გაუხარდა ბატონ ვაჟას.

– მართლა წასასვლელი ვარ, – თქვა გიამ, წამოიწია და ისევ ძმებს გადახედა, – ბიჭებს ცოტა ხნით გამოვუარე.

– აი, ეგა ხართ დღევანდელი ახალგაზრდები, – თქვა ისევ ღიმილით ბატონმა ვაჟამ, – კიდევ კარგი, ამერიკაში არ ვცხოვრობთ და აქ კი არ იყიდება, თორემ ღვინის ნაცვლად ალბათ კოკა-კოლას დალევდით ხილმე.

ბატონმა ვაჟამ ღიმილით ჩაიქნია ხელი და ფეხზე წამოდგა. გიამ კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა მასპინძლებს და ძმებთან ერთად მათ ოთახში განმარტოვდა.

– მე უკვე მზად ვარ, ჩემი საბუთებიც დღეს მდინარეს გავატანე, – თქვა გიამ მშვიდად, მაგრამ ძალიან დამაჯერებლად და ბიჭების რეაქციას დაელოდა.

– ალბათ მტკვარს გულისხმობ, – გაეხუმრა კახაბერი, პაატამ კი ძალიან სერიოზული სახით ჰკითხა გიორგის:

– პასპორტი ხომ დაიტოვე?

– დავიტოვე. თქვენ რა ჰქენით?

– რა უნდა გვექნა?

– ის ბერი ხომ უნდა გენახათ.

– ვნახეთ.

– მერე?

– ჯერ არაფერი გვითქვამს. რამდენიმე დღეში ჩამოვა და აქ ვეტყვით.

– დაგვთანხმდება?

– ჯერ არ ვიცით.

– უნდა დავითანხმოთ. ბერი ძალიან გვჭირდება. იარაღი მაგან უნდა შეიტანოს თვითმფრინავში.

– ვიცით. ჩვენ ყველას გაგვჩხრეკენ.

– ამ ზაფხულს მოსკოვში რომ მივდიოდით, ვიღაც მღვდელი მიფრინავდა ჩვენი რეისით და

სპეციალურად დავაკვირდით, საერთოდ არ გაუჩხრეკიათ და ზედმეტად პატივისცემითაც კი ექცეოდნენ ხალხის დასანახად...

– ვიცი. ახლა ასე აწყობთ და ამიტომაც ის ბერი ძალიან გვჭირდება. მე უკვე საბოლოოდ გადავწყვიტე და ყველა ვარიანტში მივდივარ. უკვე ნაღდად ვიცი, რომ აქ სამსახური არასდროს მექნება.

– მე რომ სამსახური მექნება, რა ხეირი?! მეჩვიდმეტე წელია ვსწავლობ და თვეში ას ოცი მანეთს მომცემენ და იმასაც დამიქვითავენ ხოლმე.

– წავედი, – გააწყვეტინა გიამ პაატას და ფეხზე წამოდგა. მერე ორივეს დაემშვიდობა და სიგარეტი ამოიღო:

– ბარემ გარეთ მოვწევ.

– კვირის ბოლოს იმ ბერის პასუხი გვეცოდინება და გაგაგებინებთ.

– გელოდებით.

გია ძმებს კიდევ ერთხელ ხელის აწევით დაემშვიდობა და წავიდა.

სახლის კარი ცოლმა გაულო. გიამ ჯერ მანანას აკოცა ლოყაზე და მერე ჯიბიდან ბავშვის წამალი ამოიღო, ცოლს გაუწოდა კმაყოფილი სახით და სკამზე ჩამოჯდა:

– როგორ არის?

– ძინავს.

– ხვალ ფულიც მექნება.

– ალბათ სამსახურში ისეთი სიხარულით მიგიღეს, რომ პირველ ხელფასს ხვალვე გაძლევენ.

გიას გაეღიმა.

– უარი მითხრეს.

– საბუთები უკან გამოიტანე?

გიამ თავი დაუქნია მანანას თანხმობის ნიშნად.

– მომეცი, შევინახავ. იქნებ ოდესმე გამოგადგეს.

– სად შეინახავ?

– შენი „ლევისების“ ქვეშ ამოვდებ.

გია ცოლს დააკვირდა გამომცდელად და იმის ამოცნობას შეეცადა, უკვე იცოდა თუ არა მანანამ, რა ბედი ეწია მის ჯინსებს, მაგრამ ცოლს ვერაფერი შეატყო და თამამად უპასუხა:

– აღარ მაქვს საბუთები.

– სად არი?

– ალბათ უკვე ბაქოში.

ახლა მანანას გაელიმა:

– მტკვარს თუ გაატანე, ჯერ რუსთავამდეც ვერ ჩააღწევდნენ შენი საბუთები და თუ გადაიფიქრებ, იქ უნდა დახვდე.

– აღარ გადავიფიქრებ. უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია.

– ჩვენ რას გვიპირებ?

– თქვენს გამო მივდივარ და აქ ხომ არ დაგტოვებთ? ჯერ მე გავაღწიო აქედან და მერე, რა თქმა უნდა, თქვენც წაგიყვანთ...

– როგორ?

– ჯერ არ ვიცი.

– მაგრამ წასვლა უკვე საბოლოოდ გადაწყვიტე?

– გადავწყვიტე.

– ალბათ იმ ახალი „ლევისებით“ წახვალ.

მანანას არ გაღიმებია, მაგრამ გიორგი მაინც ძალიან გაბრაზდა ამ ხუმრობის გამო, როგორც კაცებმა იციან ხოლმე და ადგა. სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა, მერე ისევ ჩააქრო და სახლის კარი გაიჯახუნა – გაბრაზებულს უბრალოდ გადაავიწყდა, რომ ბავშვს ეძინა.

მერე, 1983 წლის 18 ნოემბერს წარუმატებლად გატაცებულ თვითმფრინავში, როცა გიამ რამდენიმე ტყვია მიიღო და მათ შორის ერთი სასიკვდილოც, ალბათ სულ ბოლო წამს ის ღამე მაინც გაახსენდა, პატარა გიორგის ვარსკვლავი რომ დაანახა, როცა მოგენატრები, ეს ვარსკვლავი მოძებნე და ხელი დამიქნიეო...

ზღვა

ზღვა იყო ძალიან წყნარი და ისეთი მშვიდი, რომ გაუნძრევლად იდგა. შავი ზღვა იდგა, როგორც იცის ხოლმე შემოდგომაზე, ზამთრის ყველაზე ბობოქარი და მღელვარე დღეების წინ და მზის ჩასვლისას მზე იყო ძალიან დიდი, წითელი და ლამაზი.

თინა და გეგა იმ სახლის აივნიდან უყურებდნენ ხოლმე მზის ჩასვლას, საიდანაც ხელისგულივით ჩანდა მთელი სანაპირო ზოლი, რომელსაც ავტომატიანი რუსი მესაზღვრეები საგულდაგულოდ აკონტროლებდნენ, რადგან ორი სოფლის იქით უკვე თურქეთი იწყებოდა. საზღვართან მიახლოება, რამდენიმე კილომეტრითაც კი, რა თქმა უნდა, აკრძალული იყო და თინამ და გეგამ იმ სახლში იქირავეს ოთახი, რომელიც ზემოთ, მთის წვერზე იდგა და მშვენიერი აივანიც ჰქონდა. მასპინძლები ლაზები იყვნენ და როგორც ყველა ლაზს, მათაც ხშირად ჰქონდათ შავი ზღვის უგემრიელესი თევზი და თინას და გეგასაც ხშირად ეპატიჟებოდნენ ვახშმად თუ სადილად. სტუმრებიც ძალიან დაუახლოვდნენ მასპინძლებს, მაგრამ გეგა მაინც ჩუმად მეცადინეობდა ინგლისურს, რადგან არ უნდოდა, რომ საზღვართან ასე ახლოს მცხოვრებ ოჯახს საეჭვოდ მოსჩვენებოდა მისი მონდომება და სიბეჯითე. ამიტომაც ცოტა კომიკურიც კი იყო ღამღამობით ახალი სიტყვების ჩურჩულით შესწავლა თინასთან ერთად, რომელიც კოცნით აჯილდოებდა ხოლმე გეგას, როცა შეკითხვებს სწორად პასუხობდა.

წამოსვლის წინა დღეს თინამ და გეგამ ისევ გაისეირნეს სანაპიროზე და გადაწყვიტეს, რომ მზის ჩასვლაც ნაპირიდან ენახათ და მხოლოდ ამის შემდეგ, მოგვიანებით ასულიყვნენ სახლში.

უკვე შემოდგომა იყო და ციოდა, მაგრამ ეს არ იყო გაუსაძლისი, აუტანელი სიცივე. თინას ათბობდა გეგას სიახლოვეც, რომელსაც იგი გრძნობდა ყოველთვის და განსაკუთრებით მაშინ, როცა გეგა მის გვერდით იჯდა, უსმენდა ზღვის ხმაურს და ელოდებოდა მზის ჩასვლას.

ზღვა იყო წყნარი, მზე კი იყო დიდი და წითელი.

გეგამ თინას ხელი გადახვია და ლოყაზე აკოცა. თინამ თავი დაადო მხარზე და კიდევ ერთხელ იგრძნო, რომ ამ სამყაროში გეგაზე ახლობელი არავინ ჰყავდა.

– ზღვის გადაცურვა თუ შეუძლია ადამიანს?

– თუ მოინდომებს, ადამიანს ყველაფერი შეუძლია.

– თეორიულად არ გეკითხები, რეალურად თუ შეუძლია ადამიანს ამ ზღვის გადაცურვა?

– სიგანეში?

– ჰო, თურქეთამდე.

– შეუძლია. ჩვენთან იყო კინოსტუდიაში ერთი რეჟისორი თუ ოპერატორი, გვარად ალექსანდრია და იმან გადაცურა.

– შავი ზღვა გადაცურა?

– ჰო, აქედან თურქეთამდე.

– როგორ?

– ნელ-ნელა.

– მართლა გეკითხები.

– მართლა გადაცურა.

– როგორ?

– ივარჯიშა და გადაცურა.

– ბოლომდე?

– თურქეთს რომ მიუახლოვდა, გემზე აიყვანეს.

– ესე იგი, ბოლომდე მაინც ვერ გადაცურა.

– რაღად უნდოდა, რეკორდს კი არ ამყარებდა, აქედან გაქცევა უნდოდა.

– ახლა სად არის?

– ამერიკაშია...

მერე ისინი ჩუმად ისხდნენ თეთრი ქვებით სავსე ზღვის ნაპირზე და ამიტომაც გაუკვირდათ, რომ ვერც კი გაიგეს თუ როგორ წამოადგნენ თავზე რუსი ავტომატიანი მესაზღვრეები. მათ ჯერ საბუთები მოსთხოვეს თინას და გეგას, მერე კი აუხსნეს, რომ ისინი საზოგადოებრივ წესრიგს არღვევდნენ თავიანთი ამორალური საქციელით. თინამ წამოდგომისთანავე გაკვირვებულმა მიმოიხედა იმაში დასარწმუნებლად, რომ ცარიელი ნაპირი ნამდვილად არ იყო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი, მაგრამ ამაზე მეტად იმან გააკვირვა, რომ შეყვარებულის მხარზე თავის ჩამოდება, თურმე ამორალური საქციელი ყოფილა.

თინა გაკვირვებული იყო, გეგა კი გაბრაზებული და შეურაცხყოფილი და თინას შეეშინდა, რომ გეგა შეეპასუხებოდა შეიარაღებულ ადამიანებს და თვალებით სთხოვა, არაფერი ეთქვა მესაზღვრეებისთვის. გეგამ სიმწრისაგან ტუჩზე იკბინა, მაგრამ თინას მაინც უსიტყვოდ და მორჩილად გაჰყვა სახლისკენ და კარგა ხანს ხმა არც ამოუღია.

გეგა იწვა ჩუმად და თინა ძალიან ფრთხილად, ბავშვივით ეფერებოდა თავზე, სანამ სიჩუმე ისევ გეგამ არ დაარღვია:

– ამიტომაც აღარ მინდა აქ ცხოვრება...

– ჯარი და პოლიცია ყველგან უხეშია და მოძალადე.

– მაგრამ სიყვარული არსად არ არის აკრძალული.

– თავისუფალ ქვეყანაში ალბათ ასეა.

– ჰოდა, მეც თავისუფალ ქვეყანაში მინდა ცხოვრება, შენ არ გინდა?

– მე შენთან ერთად მინდა.

– თავისუფლება არ გინდა?

– შენთან ერთად ჩემთვის ყველგან თავისუფლებაა.

– რომ წავიდე, წამომყვები?

– მე ვერ გადავცურავ ზღვას.

– ვერც მე, ასე კარგად ცურვა არ ვიცი.

– აბა, რას აპირებ?

– გადავაფრინდები.

– ფრენა უკეთესად იცი?

– შენ ხომ ანგელოზი ხარ, მთავარია, შენი ფრთები ორივეს გვეყოს.

– სერიოზულად გეკითხები, რას აპირებ?

– მეც სერიოზულად გეუბნები, რომ ანგელოზი ხარ.

– მართლა გეკითხები.

– მეც მართლა გავფრინდები, ოღონდ შენთან ერთად...

თინა ადგა, ფანჯარა გააღო და ზღვას გახედა. შავი ზღვა მართლა შავი იყო.

დათო ძმებთან ერთად, ყურადღებით უსმენდა მამა თევდორეს, რომელიც ძალიან მშვიდად საუბრობდა ძალიან მარტივ, მაგრამ იმავდროულად ძალიან მნიშვნელოვან თემებზე დათოს ოთახში, რომელიც ერთი შეხედვით ძალიან უდარდელი ახალგაზრდა ადამიანის ოთახს ჰგავდა.

– თქვენ რომ წამოხვედით, მეორე დღეს ისევ ამომაკითხეს მონასტერში.

– რა უნდოდათ? – ჰკითხა პაატამ და პასუხის მოლოდინში სიგარეტი ამოიღო.

– ალბათ იმის გაგება უნდოდათ, თქვენ რა საქმე გქონდათ ჩემთან.

– და რა უპასუხე?

– ის ვუთხარი, რაზეც ვლაპარაკობდით მაშინ.

– რაზე ვლაპარაკობდით?

– ღმერთზე, სიკეთეზე და სიყვარულზე.

– მერე ამის ეშინიათ?

– ყველაზე მეტად სწორედ ამის ეშინიათ, მაგრამ ხმამაღლა ამას არ ამბობენ და ხალხის დასანახად ეკლესიას არ ებრძვიან. პირიქით – სტრატეგია შეცვალეს და ხალხის დასანახად მღვდლებს და ბერებს მოკრძალებით ექცევიან, კაგებე კი ჩუმად ყველა მათგანს უთვალთვალებს.

– და რას აპირებ?

– იგივეს, რასაც ვაპირებდი და ვაკეთებდი. წინააღმდეგობა მხოლოდ აძლიერებს ჩემს რწმენას და პირველი ქრისტიანების გზაც ხომ ასე იწყებოდა. განსაცდელი რწმენისათვის საზრდოა...

– შენ ბერი ხარ და შენი არჩევანი უკვე გააკეთე.

– ადამიანმა არჩევანი ყველგან და ყოველთვის უნდა გააკეთოს და მნიშვნელობა არა აქვს, საერო პირია ის თუ სასულიერო. არჩევანი მაინც უნდა გააკეთოს სიკეთესა და ბოროტებას, სინათლესა და სიბნელეს, მონობასა და თავისუფლებას შორის...

– ჩვენც გავაკეთეთ არჩევანი, – თქვა კახაბერმა, ჯერ დანარჩენებს გადახედა, მერე ბერს და ეს ფრაზა ისევ გაიმეორა.

– რა არჩევანი? – ყველას ერთად ჰკითხა მამა თევდორემ.

ბიჭებმა ერთმანეთს კიდევ ერთხელ გადახედეს, თითქოს ყოყმანობენო. პაატამ ამ პაუზის შემდეგ მამა თევდორეს შეხედა პირდაპირ თვალებში და ძალიან მშვიდად თქვა:

– ჩვენ მივდივართ.

– როგორ?

– თვითმფრინავით.

– როგორ?

– თურქეთში ამერიკულ სამხედრო ბაზაზე დავსხდებით, იქიდან უკვე თვითონ იზრუნებენ ჩვენზე.

– როგორ?

– როგორც ლიტველები, შარშან ხომ გახსოვს, გმირებივით რომ მიიღეს ამერიკელებმა.

– ლიტველებს უბრალოდ გაუმართლათ.

– ჩვენც გაგვიმართლებს, ცოტას შევაშინებთ მფრინავებს და გზიდან გადაუხვევენ.

– როგორ შეაშინებთ?

– იარაღით.

– იარაღს როგორ შეიტანთ თვითმფრინავში, ყველას საგულდაგულოდ ჩხრეკენ.

– მღვდლების და ბერების გარდა, – თქვა დათომ და მამა თევდორეს რეაქციას დაელოდა ბიჭებთან ერთად. ბერიც მიხვდა რას ითხოვდნენ მისგან და ამიტომაც იკითხა:

– მსხვერპლი რომ იყოს?

– არ იქნება.

– რომ იყოს?

– არ იქნება.

– გამორიცხულია?

– გამორიცხული არაფერია.

– ესე იგი, შეიძლება იყოს.

– მხოლოდ თეორიულად.

– თეორიულადაც არ ღირს.

– რა არ ღირს?

– არაფერი არ ღირს თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლის ფასად – არანაირი თავისუფლება და არანაირი მიზანი. ყოველი ადამიანის სიცოცხლე მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის და მხოლოდ ღმერთის გადასაწყვეტია მისი სიკვდილიც...

– მაგრამ ჩვენ არავის მოკვლას არ ვაპირებთ, – გააწყვეტინა პაატამ და გაბრაზებული სახით დათოს გადახედა, – იარაღი მხოლოდ მფრინავების შესაშინებლად გვჭირდება და მეტი არაფერი.

– მსხვერპლი ყოველთვის შიშს მოჰყვება ხოლმე. მფრინავებს იმის უფლებას არ მისცემენ, რომ თვითმფრინავი თურქეთში დასვან.

– ლიტველებმა თუ აიძულეს მფრინავები? – ისევ გააწყვეტინა პაატამ.

– სწორედ ამიტომ თქვენ ველარ აიძულებთ. რუსები იმ შეცდომას აღარ გაიმეორებენ...

ძმები წამოდგნენ, უსიტყვოდ წამოავლეს ხელი ქურთუკებს და დამშვიდობების გარეშე წავიდნენ.

დათო და ბერი მარტონი დარჩნენ ოთახში და კარგა ხნის პაუზის შემდეგ მამა თევდორემ ღიმილით თქვა:

– ალბათ მაინც იფიქრეს, რომ შემეშინდა...

გიორგი ქუჩაში, ყველაზე ხალხმრავალ ადგილას შეხვდა სოსოს და სათქმელიც პირდაპირ უთხრა:

– ის მღვდელი არ მოდის.

– ვიცი.

– ერთადერთი ვარიანტი რჩება.

– რა ვარიანტი, გია?

– იარაღი იმ გოგომ უნდა შეიტანოს თვითმფრინავში, გეგას შეყვარებულმა.

– როგორ?

– მუცლით, როგორც ფეხმძიმემ.

– ჯერ ცოლი არც არის.

– ცოლად რომ მოიყვანს, ქორწილის მერე პირდაპირ წავალთ.

– დაგვთანხმდება?

– არ ვიცი, მაგრამ შენ უნდა უთხრა გეგას და თანაც ისე უნდა უთხრა, რომ დაგვთანხმდეს.

– გეგა კი, მაგრამ თინა?

– თინა ჰქვია?

– ჰო, თინა ჰქვია.

– თინას გეგა დაითანხმებს. სხვა გზა აღარ გვაქვს. არც ბევრი დრო, – თქვა ბოლოს გიორგიმ და წავიდა.

სოსო ცოტა ხანს კიდევ იდგა ტროტუარზე, მერე ქუჩა გადაჭრა და ისიც წავიდა.

– თოვლი უკვე გაქრა? – ჰკითხა გაკვირვებულმა დათომ მამა თევდორეს მონასტრის ეზოში და სიჩუმე დაარღვია.

– შემოდგომის მზეა, მაგრამ მაინც მზეა და ერთ კვირაში ისევ ჩამოთოვს.

– რა სიწყნარეა აქ.

– აქ სიმშვიდეა და სიმშვიდე უფრო მეტად სჭირდება ადამიანს, ვიდრე სიწყნარე.

– ამ სიმშვიდისთვის დამიბარე?

– არა. გეგა რატომ არ წამოიყვანე?

– რაღაც გადაღება აქვს და იქით კვირაში აუცილებლად ამოვალო.

– მინდოდა გეგაც ყოფილიყო დღეს და ორივესთვის მეთქვა.

– რა?

– ვიცი, რომ უკვე გადაწყვიტეთ წასვლა.

– ჯერ არაფერი გადაგვიწყვეტია.

– შენ იმიტომ გეუბნები, რომ ვიცი, თუ გეგამ გადაწყვიტა, შენც გაყვები.

– ჯერ არაფერი გადაუწყვეტიათ, ხომ გითხარი.

– მე კი ის გითხარი, რასაც ვგრძნობ და გეგაც იმიტომ არ მოდის აქ, რომ უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია.

– არა-მეთქი.

– შენ შეგიძლია არაფერი მითხრა. ამიტომ კი არ მინდოდა შენი ნახვა, პირიქით – მინდოდა მეთქვა ის, რაც სხვებს უკვე ვუთხარი, მაგრამ ისინი სხვები არიან და მათ არა აქვთ ის, რაც ღმერთმა სხვებზე მეტად შენ მოგცა.

– მაინც რა?

– კეთილგონიერება. სხვა ენაზე ასეთი ზუსტი სიტყვა შეიძლება არც არსებობდეს, როცა ადამიანის გონი და სული ერთად წარმართავენ მის ქმედებას.

– ხომ იცი, რომ ამ შემთხვევაში მე არ ვიღებ გადაწყვეტილებებს.

– ამიტომაც გეუბნები, რომ შენ თუ უარს ეტყვი და მათ არ გაყვები, სხვაც დაფიქრდება იმაზე, რომ ადამიანის სიცოცხლე მაინც უფრო მეტია, ვიდრე ნებისმიერი დიადი მიზანი.

– მსხვერპლი არ იქნება. შენ ხომ გჯერა ჩემი, რომ არასოდეს არავის მოვკლავ. მირჩევნია მე ვიყო მსხვერპლი, ვიდრე სხვა. მართლა მირჩევნია.

– თქვენ არ მოკლავთ, მაგრამ ისინი მოკლავენ და მოკლავენ თავისივე მგზავრებს, უდანაშაულო ადამიანებს და...

– და ჩვენ დაგვაბრალებენ?

– რა თქმა უნდა, თქვენ დაგაბრალებენ, მაგრამ ამაზე უარესი ის იქნება, რომ იმათი მოკლული ხალხის გამო მართლა თქვენ იქნებით პასუხისმგებლები...

– ჩვენ რატომ?

– იმიტომ, რომ იმ ხალხს თქვენს გამო მოკლავენ.

– მსხვერპლი არ იქნება.

– იქნება! თქვენ ცუდად იცნობთ იმ ხალხს, ვისაც სილა უნდა გააწნათ და გეგას ალბათ ჰგონია, რომ იქაც სპექტაკლი ან ფილმი ელოდება, სადაც რომელიმე როლი უნდა შეასრულოს ან ითამაშოს.

– რამდენიმე ადამიანი თუ აქედან გაიქცევა, ამხელა იმპერიას ამით რა უნდა დააკლდეს?..

– რამდენიმე კი არა, ასობით და ათასობითაც კი მათთვის არაფერს ნიშნავს, ადამიანი საერთოდ არაფერს ნიშნავს მათთვის...

– მით უმეტეს.

– მაგრამ მათ სხვისი სპექტაკლები ეზიზღებათ, მხოლოდ თავისანთი დადგმული სპექტაკლები უყვართ. შეურაცხყოფას კი არ გაპატიებენ.

– არავის შეურაცხყოფას არ ვაპირებთ.

– თქვენ არ იცით, როგორ ბოროტდებიან ამპარტავნები, როცა ისინი ხელისუფლებაში ხვდებიან.

– მაგ ხელისუფლებამ ვერაფერი მოუხერხა თვითმფრინავის გამტაცებელ ლიტველებს და გაუშვა.

– ამიტომაც მაგ შეცდომას საბჭოთა ხელისუფლება აღარ გაიმეორებს, თქვენ აღარ გაგიშვებენ!..

– ჯერ არაფერი გადაგვიწყვეტია.

– ვიცი, რომ უკვე გადაწყვიტეთ და შენ თუ უარს იტყვი, რომელიმე მათგანიც გაბედავს უარის თქმას, მერე კიდევ ერთი, მერე კიდევ სხვა და ყველანი გადარჩებიან. ყველაფერი ჩაიშლება და ყველანი გადარჩებიან.

– ჯერ არაფერი არ არის გადაწყვეტილი...

– მერე გვიან იქნება. ამიტომაც მინდა გეგას ნახვა. მას ალბათ ჰგონია, რომ უკანდახევა ახლა სირცხვილია და მინდა იცოდეს რომ ღმერთზე ფიქრი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იმათზე, ვისაც მისი გამოყენება სურს...

– გეგას თუ თვითონ არ სურს, მას ვერავინ გამოიყენებს და ვერც აიძულებს ის გააკეთოს, რაც თვითონ არ უნდა.

– ამიტომაც მინდა გეგას ნახვა, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის. ამიტომაც დაველოდები გეგას და ვეტყვი, ყველაფერს ვეტყვი. გადაეცი, რომ ველოდები...

– გადავცემ.

– ყოველდღე ველოდები.

– გადავცემ.

როცა დათო დაღმართს ჩამოუყვა და უკვე საკმაო მანძილით დაშორდა მონასტერს, კიდევ ერთხელ მიიხედა უკან, სადაც მისი მეგობარი ბერი გაუნძრევლად იდგა მონასტრის შესასვლელთან და ხელის აწევით კიდევ ერთხელ დაემშვიდობა მას. მერე შემობრუნდა, გზა გააგრძელა და წავიდა...

ქორწილი

ქორწილი თან ჰგავდა ტრადიციულ ქართულ ქორწილს და თანაც არ ჰგავდა. თითქოს ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო, მაგრამ რამდენიმე ადამიანს მაინც ეტყობოდა რაღაც უჩვეულოსა და განსაკუთრებულის მოლოდინი და ნერვიულობაც ამ მოლოდინის გამო. თუმცა დანარჩენები, ვისთვისაც ეს მხოლოდ ბედნიერი წყვილის ქორწინება იყო, რასაკვირველია, მხიარულობდნენ და ზოგიერთი მათგანი თავდავიწყებითაც ილხენდა. პატარძალი, რომელსაც უკვე ეტყობოდა მომატებული მუცელი ფეხმძიმობის გამო, დაღლილს უფრო ჰგავდა. გეგას დედა, ალბათ მხოლოდ დედებისათვის დამახასიათებელი ინტუიციით, რაღაცას გრძნობდა. მან არ იცოდა ზუსტად, რა ხდებოდა, მაგრამ ამ მხიარულებას, ცეკვასა და სიმღერას რომ რაღაც სევდისმაგვარი ახლდა თან, გეგას დედამ აშკარად იგრძნო.

ქალბატონ ნათელას განსაკუთრებით უცნაურად მოეჩვენა ერთი მისთვის უცნობი სტუმარი, რომელიც რესტორანში შემოსვლაზე გეგამ ვერ დაითანხმა. ისინი იდგნენ კარებში და საკმაოდ დიდხანს, საკმაოდ ემოციურად საუბრობდნენ. ქალბატონ ნათელას, რა თქმა უნდა, არ ესმოდა მათი ხმა, მაგრამ გრძნობდა, რომ მისი შვილი იმ ვიღაცას თითქოს ეკამათებოდა, თითქოს რაღაცას უხსნიდა, მაგრამ უცნობი სტუმარი არ ეთანხმებოდა სიძეს და ბოლოს ისევე წავიდა, როგორც მოვიდა – რესტორანში შემოუსვლელად.

თუმცა წასვლის წინ გეგას დედას მოეჩვენა, რომ იმ უცნობმა, რომელიც ასაკით აშკარად უფროსი იყო გეგაზე (და იყო გიორგი), თითი დაუქნია გეგას, რომელიც ამ დროს თავდახრილი იდგა და მერე სუფრაზე დაბრუნებულს, აღარც გაღიმებია. ქალბატონმა ნათელამ არც მაშინ იცოდა დანამდვილებით და არც მერე, ეს ყველაფერი მოეჩვენა თუ მართლა ისე მოხდა, როგორც მას ახსოვდა.

ერთადერთი, რაც მას ზუსტად ახსოვდა, სტუმრებზე ზრუნვა იყო. სტუმრები საკმაოდ ბევრნი იყვნენ და ის ცდილობდა, როგორც მასპინძელი, არავინ გამორჩენოდა, არავინ დაეტოვებინა უყურადღებოდ და ამიტომაც შვილისათვის, უბრალოდ, არ ეცალა. მაგრამ თვალებით მაინც ეძებდა, მთელი ქორწილის მანძილზე მაინც ცდილობდა გეგას მოძებნას, განსაკუთრებით კი მტრედების შემოყვანის შემდეგ. მაშინდელ საქართველოში ასეთი ტრადიცია ნამდვილად იყო და ქორწილში ორი მტრედი შემოჰყავდათ ხოლმე სიმბოლურად და ახლადშეუღლებულებს ჩუქნიდნენ, მაგრამ მერე, იმის მერე რაც მოხდა, ვერავინ გაიხსენა საიდან გაჩნდა ამ ქორწილში ორი მტრედი. შეიძლება ვინმემ იხუმრა და ამ მიზნითაც მოიყვანა გეგასა და თინას ქორწილში და როცა დარბაზში ის მტრედები გაუშვეს, ამას მართლა სიცილი და მხიარულება მოჰყვა. მაგრამ მოულოდნელად ისეთი რაღაც მოხდა, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა ალბათ, და იმ ორი აფრენილი მტრედიდან ერთ-ერთი მოცელილივით დაეცა იატაკზე და სამარისებურ სიჩუმეში, ვიღაცამ შიშით, მაგრამ ხმამაღლა თქვა:

– ერთი მტრედი მოკვდა.

მექორწილეებმა, შეშინებულებმა და გაოგნებულებმა გადახედეს ერთმანეთს. ზოგიერთმა მათგანმა თინასა და გეგასკენაც გააპარა თვალი ამ საშინელ სიჩუმეში. სიჩუმე ისევ გეგამ დაარღვია, რომელმაც მუსიკოსებს სიმღერა შეუკვეთა და ქორწილიც გაგრძელდა.

ქორწილი გაგრძელდა, მაგრამ ყველანი გრძნობდნენ, რომ რაღაც განსაკუთრებული თუ არა, რაღაც ძალიან უჩვეულო და უცნაური მაინც მოხდა. ერთადერთი, ვინც ამდენ ადამიანს შორის

გრძნობდა, რომ მთავარი მოსახდენი, რაღაც სხვა, ჯერ კიდევ წინ იყო, გეგას დედა იყო და ქალბატონი ნათელა ამიტომაც ეძებდა, სულ ეძებდა, თვალებით მაინც ეძებდა გეგას, რომელიც ბოლოს, ღვინისა თუ დაღლილობისაგან სევდიანად იჯდა ირაკლი ჩარკვიანის გვერდით.

გეგას ირაკლისთვის ხელი ჰქონდა გადახვეული და რაღაცას ეჩურჩულებოდა. ირაკლის ეღიმებოდა, თუმცა ქალბატონ ნათელას მოეჩვენა, რომ ეს ღიმილიც მალავდა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს და ისიც მოეჩვენა, თითქოს გეგა ირაკლის უბრალოდ ემშვიდობებოდა. ყოველ შემთხვევაში, გეგა არ ჰგავდა მხოლოდ სიმთვრალისაგან გულაჩუყებულ ქართველს, რომელიც ასეთ დროს თავის ძმაკაცს სიყვარულს უმტკიცებს ხოლმე, მაგრამ ქალბატონმა ნათელამ სინამდვილეში არ იცოდა, რა ხდებოდა შვილის ქორწილში და თავისი ეჭვები დედის გადამეტებულ ცნობისმოყვარეობას დააბრალა.

ამიტომაც, როცა გეგა დათო ევგენიძეს ემშვიდებებოდა, ქალბატონმა ნათელამ სიგარეტის იმ კოლოფს ყურადღება აღარ მიაქცია, რომელიც გეგამ დათოს აჩუქა და მხოლოდ მერე გაიხსენა მათი დიალოგი. ეს იყო თურქეთში დამზადებული ამერიკული „ქემელის“ კოლოფი, რომელიც მაშინ საკმაო იშვიათობა გახლდათ თბილისში და ევგენიძე არც ართმევდა საჩუქარს:

–ეს აიღე, ჩემგან სამახსოვროდ დაგრჩება, – უთხრა გეგამ და სიგარეტის კოლოფი ჯიბეში ჩაუდო დათოს.

– არ მინდა, მაქვს, – თქვა ევგენიძემ და ჯიბიდან გეგას „ქემელი“ ამოიღო.

– სამახსოვროდ გჩუქნი, – გაუმეორა გეგამ ისეთი სახით, რომ დათოს გაეღიმა და კოლოფს დახედა. კოლოფს გარკვევით ეწერა „თურქიშ“.

– ამერიკული მეგონა, – უთხრა გეგას და ერთი ღერი კოლოფიდან ამოაძვრინა.

– ამერიკულია, ოღონდ თურქეთშია დამზადებული, სამსუნის თამბაქოთი...

– ვიცი სამსუნი, მანდ ამერიკელებს სამხედრო ბაზა აქვთ, ახლოს არის ბათუმთან, ოღონდ საზღვრის მეორე მხარეს...

– ჩემგან სახსოვრად გქონდეს, – შეაწყვეტინა გეგამ და თითქოს შეცბუნდა კიდეც, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და უკანასკნელად გადაეხვია დათო ევგენიძეს...

როცა სტუმრები დაიშალნენ, უკვე ძალიან გვიანი იყო და რესტორნის დაღლილი თანამშრომლები ზლაზვნით ალაგებდნენ არეულ სუფრას. სიძისა და პატარძლის მაგიდა განცალკევებით, შემაღლებულ ადგილას იდგა და ცარიელ დარბაზში მხოლოდ ორნი ისხდნენ – თინა და გეგა. ისინი მარტო დარჩნენ ხმაურიანი ქორწილის შემდეგ და ამ სიჩუმეში, გეგა მაინც ჩურჩულით ელაპარაკებოდა თინას, რომელიც ძალიან, ძალიან ლამაზი იყო:

– დილით უკვე მივდივართ.

– ვიცი.

– რამდენიმე საათი გვრჩება.

– ვიცი.

– უნდა გადაწყვიტო. აქ აღარ დავბრუნდებით.

– უკვე გადაწყვეტილი მაქვს.

– სხვა რამეს გეუბნები.

– ყველაფერი გადაწყვეტილი მაქვს.

– მაგრამ შენ ხომ არ გინდოდა.

– არც ახლა მინდა, მაგრამ მოვდივარ.

– რატომ?

– რატომ რა? რატომ არ მინდა თუ რატომ მოვდივარ?

– არ გინდა, მაგრამ მაინც მოდიხარ.

– არ მინდა, მაგრამ შენთან ერთად მოვდივარ.

– რატომ არ გინდა?

– იმიტომ, რომ რასაც აპირებთ, იმას გამართლება არა აქვს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ყველაფერი გაუმართლებელია, რასაც შეიძლება რომელიმე ადამიანის მსხვერპლი მოჰყვეს...

– მსხვერპლი არ იქნება, იარაღი მხოლოდ მფრინავების შესაშინებლად მიგვაქვს...

– მსხვერპლი ყველგან არის, სადაც იარაღია და იმ ადამიანებს კი, ვინც შეიძლება მოკვდეს, არაფერი დაუშავებიათ ჩვენთვის.

– პატარა თვითმფრინავით მივდივართ, ჩვენს გარდა მხოლოდ რამდენიმე მგზავრი იქნება...

– ერთიც რომ იყოს, ის მხოლოდ უდანაშაულო მგზავრია...

– თუ გეშინია, ჯობია ახლავე თქვა და ყველაფერი ჩაიშლება.

– არ მეშინია.

– მგონი ცოტათი მაინც გეშინია.

– არ მეშინია არაფრის, არც გაფრენის, არც სიკვდილის და არც იმის, რის თქმასაც აპირებ და ჯერ ვერც მეუბნები.

– რას გულისხმობ?

– იარაღი რომ მე უნდა შევიტანო თვითმფრინავში...

თინამ წამოზრდილ მუცელზე დაიდო ხელი და სიყვარულით, ძალიან ფრთხილად მოეფერა მომავალ შვილს. გეგა ძალიან დიდხანს იყო ჩუმად და ბოლოს მაინც ჰკითხა თინას:

– მაინც რატომ არ გეშინია არაფრის?

– იმიტომ, რომ სიყვარულის არ მეშინია...

დილით გეგა ძალიან მხიარული იყო და ქალბატონმა ნათელამ იფიქრა, რომ მას იმდენად საქორწინო მოგზაურობა არ ახარებდა, რამდენადაც საყვარელ ბათუმში წასვლა, სადაც გეგას ელოდებოდა გვიანი შემოდგომის ზღვა და სიმშვიდე ხმაურიანი თბილისისა და ქორწილის შემდეგ. ერთადერთი, რამაც ქალბატონი ნათელა გააკვირვა, გეგას უცნაური დამშვიდობება იყო – გეგა სახლიდან გასვლისას ყოველთვის კოცნიდა დედას და მერე უკვე ქუჩაში მიმავალი უკანმოუხედავად სწევდა ხოლმე ფეხს დედამისის დასანახად, რომელიც ამ დროს ყოველთვის ფანჯარაში იდგა და თვალებით მიაცილებდა ერთადერთ შვილს.

იმ დილითაც ქალბატონი ნათელა ფანჯარასთან იდგა, მაგრამ გეგას ჩვეული ჟესტი არ გაუკეთებია – ფეხი არ აუწევია და არც მოუხედავს. წავიდა და წავიდა...

აეროპორტში ხალხმრავლობა იყო, როგორც ყოველთვის, მაგრამ საერთო ხმაურში მაინც გამოირჩეოდა ლამაზი წყვილი, რომელსაც საქორწინო მოგზაურობაში მეგობრებიც მიჰყვებოდნენ, როგორც ეს მაშინდელ თბილისში ხშირად ხდებოდა ხოლმე და ეს არავის აკვირვებდა. თუმცა თვითონ მექორწილეები ძალიან გააკვირვა რეისის გამოცხადებამ ბათუმის მიმართულებით, რადგან ნაცვლად პატარა თვითმფრინავისა, რომელიც როგორც წესი თბილისსა და ბათუმს შორის დაფრინავდა, ამ დილით ამ რეისს რატომღაც დიდი თვითმფრინავი შეასრულებდა ბათუმისკენ და მერე იქიდან ლენინგრადისკენ გააგრძელებდა გზას. ამ ცვლილებამ რამდენიმე მომლოდინე ადამიანი, მგზავრებს შორის, ისე შეაშფოთა, რომ სახეებზეც კი შეეტყოთ ყოყმანი, მაგრამ ბოლოს მაინც გადაწყვიტეს, რომ ეს მხოლოდ შემთხვევითობა იყო და რეგისტრაციაც დანარჩენებივით გაიარეს. ერთადერთი, ვისაც ტიპური რეგისტრაცია არ გაუვლია, ფეხმძიმე თინა იყო, რომლისთვისაც უკვე სახიფათო იყო მაგნიტურ თაღქვეშ გავლა დასხივების გამო და გეგას ეს თხოვნა აეროპორტის თანამშრომლებმა არათუ სიამოვნებით შეასრულეს, გეგასა და თინას, ადმინისტრაციის სახელით, დაქორწინებაც მიულოცეს. მერე ვიღაცამ შამპანურიც გახსნა და ყველაზე მეტი მონდომებით შამპანურს ნაბახუსევზე მყოფი ადამიანები დაეწაფნენ და ახალშეუღლებულები ისე მხურვალედ ადღეგრძელეს რამდენჯერმე, რომ კინაღამ თვითმფრინავზეც დააგვიანდათ. მერე ყველამ თავისი ადგილი დაიკავა თვითმფრინავის სალონში და სტიუარდესამაც უსაფრთხოების წესები აუხსნა უყურადღებო ქართველ მგზავრებს, რომლებიც ამ დროს არასოდეს უსმენენ სტიუარდესებს.

მერე თვითმფრინავიც აფრინდა.

თუმცა მანამდე, აფრენამდე, მართლა იყო ერთი დაუგეგმავი შეფერხება და რეისი იმიტომ გადაიდო, რომ ერთი მართლა ძალიან მთვრალი კაცი ისეთი უკონტროლო გახდა, რომ ეკიპაჟმა მილიცია გამოიძახა და მილიციამაც ორმოცდამეცხრამეტე მგზავრი გაკავებული ჩაიყვანა

თვითმფრინავიდან.

იმ მთვრალმა ორმოცდამეცხრამეტემ არ იცოდა, რომ იმ დარჩენილ ორმოცდათვრამეტივე მგზავრს აფრენიდან ძალიან მალე, სწორედ მისი შეშურდებოდა, რადგან ის იყო ერთადერთი მგზავრი, რომელიც სალონში აღარ იჯდა, როცა თვითმფრინავი ღრუბლებს ასცდა……

უკვე შუადღე იყო, მაგრამ ქალბატონ ნათელას ეძინა, რადგან მთელი ღამე სახლს ალაგებდა, დილით კი შვილი და რძალი საქორწინო მოგზაურობაში გააცილა და თეფშების რეცხვაც დაიწყო, მაგრამ ძალიან ეძინებოდა, ფეხზეც ველარ იდგა დაღლილობისაგან და თეფშებს თავი დაანება. უბრალოდ ცოტა ხნით ჩავთვლემო, – გადაწყვიტა და იქვე, შუშაბანდში, სავარძელში მოკალათდა. ქართულად ამას თვალის მოტყუება უფრო ჰქვია და ქალბატონი ნათელა მერეც ვერ ამბობდა დარწმუნებით, ეძინა თუ მხოლოდ თვალები ჰქონდა დახუჭული, როცა ფანჯარაზე ვიღაცამ მორიდებულად მიუკაკუნა. ფანჯარა იქვე იყო და პირველი, რაც ქალბატონ ნათელას დაეუფლა – შიში იყო.

თავიდან უბრალოდ შეეშინდა, რადგან ფანჯრის ქვემოთ ბერულად შემოსილი, წვერმოშვებული ადამიანი იდგა მწვანე, ძალიან მეტყველი თვალებით.

– გამარჯობათ, – თქვა ბერმა და ბოდიში მოუხადა ქალბატონ ნათელას შეწუხებისთვის.

– გამარჯობათ, – უთხრა ქალბატონმა ნათელამაც და ვერაფრით მიხვდა, რა საქმე ჰქონდა მასთან ამ ბერსა თუ მღვდელს.

– გეგა ხომ აქ ცხოვრობს? – ჰკითხა უცხომ მასპინძელს და ქალი, შვილის სახელის ხსენებამ, ცოტა დაამშვიდა.

– დიახ.

– თუ სახლშია, ერთი წუთით თხოვეთ.

– გეგა არ არის, დღეს წავიდნენ.

– სად?

– საქორწინო მოგზაურობაში.

– თქვენ ალბათ გეგას დედა ბრძანდებით.

– დიახ.

– სად წავიდნენ?

– ბათუმში.

– რითი წავიდნენ?

– ბოდიში, მაგრამ თქვენ ვინ ბრძანდებით?

– მე გეგას მოძღვარი ვარ.

– არ ვიცოდი, თუ ჩემს შვილს მოძღვარი ჰყავდა.

– თვითონ გეგამაც არ იცოდა.

– ბოდიში, მაგრამ მგონი ვერ გავიგე.

– მე მისი მეგობრების მოძღვარი ვარ და გეგასაც ველოდებოდი.

– სად ელოდებოდით?

– ჩემთან, მონასტერში, ყოველდღე ველოდებოდი და რომ აღარ გამოჩნდა, მე თვითონ ჩამოვედი.

– ალბათ დარეკავს დღეს და რამე ხომ არ გადავცე?

– რითი წავიდნენ?

– თვითმფრინავით.

– უკვე გაფრინდნენ?

– უკვე ჰაერში იქნებიან, – ქალბატონმა ნათელამ ინსტინქტურად კედლის საათს გახედა, – ალბათ ერთი საათია.

– სხვებიც გაჰყვნენ?

– დიახ, ბიჭებიც გაჰყვნენ.

– მეც უნდა გავყოლოდი, დავაგვიანე.

– იცოდნენ, რომ თქვენც მიყვებოდით?

– არ იცოდნენ. არც მე ვიცოდი.

– ბოდიში, მაგრამ მგონი ვერ გაგიგეთ.

– მე მათი მოძღვარი ვარ და ახლა მათთან ერთად უნდა ვიყო იმ თვითმფრინავში.

– ველარ ჩამოუსწარით?

– არ ვიცოდი, თუ დღეს მიდიოდნენ.

– მაგრამ მათთან ერთად გინდოდათ წასვლა?

– საერთოდ არ მინდოდა წასვლა და არც ის მინდოდა, რომ ისინი წასულიყვნენ.

– კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს, მაგრამ ახლაც ვერ გაგიგეთ.

– მეც ვერ გავიგე, რატომ იჩქარეს...

ქალმა აღარაფერი უთხრა ბერს, თუმცა ახლაც ვერ გაიგო, რას გულისხმობდა ეს კაცი და მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება იმას, რომ ამდენ ხანს ფანჯრიდან ელაპარაკებოდა სტუმარს, გარეთ კი ციოდა.

– სახლში შემობრძანდით, – მხოლოდ ახლა შეიპატიჟა შინ ქალბატონმა ნათელამ სტუმარი და ბერს გაეღიმა:

– დიდი მადლობა, მაგრამ წავალ. უკვე გვიანია. ყველაფერი გვიანია...

– გეგას რა გადავცე, როცა დარეკავს?

– საიდან?

– ბათუმიდან, – თქვა ქალბატონმა ნათელამ და საკუთარ თავს უკვე გაბრაზებაც შეატყო.

– თუ დარეკავს, უთხარით, რომ ვლოცულობ მათთვის და ყოველთვის ვილოცებ...

ბერი გატრიალდა. მერე ისევ მოიხედა, ქალს დაემშვიდობა და წავიდა.

ქალბატონი ნათელა მხოლოდ ახლა დაფიქრდა იმაზე, თუ რატომ დააკაკუნა ბერმა ფანჯარაზე და არა კარზე და ახსნა რომ ვერ მოძებნა, მისი სიტყვების გახსენება დაიწყო. ფიქრი ხან საით გაექცა და ხან საით. ამიტომაც გეგას რამდენიმე მეგობართან სახლში გადარეკა იმის გასაგებად, რამე ხომ არ იცოდნენ. დარეკა მათთან, ვინც დანამდვილებით ეგულებოდა გეგასა და თინასთან ერთად, მაგრამ ყველგან ერთი და იგივე პასუხი მიიღო – ბათუმიდან ჯერ არ რეკავდნენ, რაც იმას ნიშნავდა რომ თვითმფრინავი ჯერ ისევ ჰაერში იყო.

მერე კი ქალბატონმა ნათელამ მართლა დაიძინა, ძალიან დაღლილმა, ძალიან ღრმა ძილით და ეძინა საღამომდე. ეძინა მანამ, სანამ არ გააღვიძეს...

თვითმფრინავი

გატაცება დაარქვეს, თორემ სინამდვილეში სასოწარკვეთილი ადამიანების თვითმკვლელობას უფრო ჰგავდა.

გამტაცებლებს ეცვათ ჩვეულებრივად – ყველას ეცვა ისე, როგორც ჯინსების თაობას ეცვა ხოლმე მაშინ და მხოლოდ გია ტაბიძეს მოუჩანდა ჰალსტუხი კოსტუმის შიგნით, ხელში კი გლობუსი ეჭირა. გიას ხელში ეკავა ბიბლიაც და მერე ის ბიბლია თვითმფრინავში გეგა კობახიძეს გადასცა. რაც შეეხება გლობუსს, მერე ის გლობუსი გაქრა, მაგრამ გაჩნდა ვერსია, რომ იარაღი თვითმფრინავში სწორედ იმ გლობუსით შეიტანეს, თუმცა ეს არ იყო სწორი, რადგან სინამდვილეში იარაღი თინა ფეტვიაშვილის მეგობარმა გოგონამ შეიტანა ჩანთით, ისე რომ თვითონ არც იცოდა.

გია ტაბიძემ სამშობლოდან მხოლოდ ქართული ბიბლია და გლობუსი წაიღო, მეუღლეს კი დაუტოვა საოცარი წერილი შვილისთვის და იმ წერილში პატარა გიორგის იმ ვარსკვლავის ამოცნობაც ასწავლა, რომელიც მონატრებულ მამას გაახსენებდა.

რეისმა ჯერ უამინდობის გამო დაიგვიანა, მერე კი ვიღაც მგზავრი, გვარად გალოგრე, ისე დათვრა, რომ მილიცია გამოიძახეს.

გატაცების მცდელობა კი იმიტომ დაგვიანდა, რომ კახა ივერიელმა იარაღის ხმარება არ იცოდა. როცა ბათუმამდე ცოტაღა რჩებოდა (ოფიციალური ვერსიით), მფრინავებმა მიიღეს ინფორმაცია ბათუმში ამინდის მკვეთრი გაუარესების შესახებ და თვითმფრინავმა კურსი შეიცვალა. არსებობს ვერსია, რომ სწორედ ეს მოეჩვენათ საეჭვოდ გამტაცებლებს და მათ მოქმედება დაიწყეს. თუმცა იმავე ოფიციალური ვერსიით (შავი ყუთის თანახმად), მფრინავებს დისპეტჩერები კი არ კარნახობდნენ ინსტრუქციებს მიწიდან, არამედ ვიღაც ვოიაკები, რაც წინასწარ დაგეგმილ ვერსიაზე მეტყველებს.

თვითმფრინავში ორმოცდათვრამეტი მგზავრი იჯდა, მაგრამ მათ შორის იყო ერთი, რომელსაც ბათუმში არანაირი საქმე არ ჰქონდა, თუმცა დანარჩენებთან ერთად მაინც ბათუმისკენ მიფრინავდა. მისი საქმე სწორედ რომ თვითმფრინავში ჯდომა იყო, როგორც იმ სხვა კაგებეს თანამშრომლებისა, რომლებიც სხვა რეისებს აცილებდნენ. მთელს საბჭოთა ავიასივრცეში არ არსებობდა რეისი და თვითმფრინავი, რომელსაც თუნდაც ერთი კაგებეს თანამშრომელი არ აცილებდა, როგორც რიგითი მგზავრი და ეს იცოდა ნებისმიერმა საბჭოთა მოქალაქემ. ეს იცოდნენ გეგას მეგობრებმაც, რომლებიც თინას და გეგას საქორწინო მოგზაურობაში მიჰყვებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში მათი მიზანი ამ თვითმფრინავის გატაცება იყო და ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ პირველ რიგში, სწორედ ის კაგებეშნიკი უნდა ამოეცნოთ, რომელიც მათ თვითმფრინავს აცილებდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ კაგებეშნიკის მოშორება აუცილებელი იყო იმისათვის, რომ გაცილებით იოლად ეიძულებინათ ეკიპაჟი, რომელსაც ბათუმთან საზღვარი უნდა გადაეკვეთა და თვითმფრინავი თურქეთში, ერთ-ერთ ამერიკულ სამხედრო ბაზაზე უნდა დაესვა. თუმცა მათ არ იცოდნენ დანამდვილებით, ამ ორმოცდათვრამეტ მგზავრს შორის რომელი იყო კაგებეს თანამშრომელი და მათი ვერსიები მხოლოდ ვარაუდები იყო. მათი გადაწყვეტილება კი ძალიან ჰგავდა ბავშვობისდროინდელ თამაშს, როცა პატარები შპიონებს ჩაცმულობის მიხედვით ეძებდნენ და არჩევდნენ. სწორედ ასე, ნაცრისფერი პლაშის (თუ ლაბადის) გამო გადაწყვიტეს, რომ პირველ რიგში მჯდომი შუახნის მამაკაცი იყო სწორედ ის

კაგებეშნიკი, რომელიც ამ რეისს უშიშროების სამსახურიდან მოჰყვებოდა. მართალია, გეგამ მაინც იკითხა, – იქნებ ეგ ის არ არისო, მაგრამ შეთქმულების უმრავლესობას სხვა აზრი ჰქონდა ამასთან დაკავშირებით და „ძალიან მყარი“ არგუმენტიც ჯერ რომელიღაცამ თქვა და მერე სხვებმაც გაიმეორეს:

– ნაღდად ეგ არი და თანაც სახეზე სუფთა კაგებეშნიკია!..

– კი ჰგავს, მაგრამ იქნებ ჩვეულებრივი მგზავრია? – მაინც გამოთქვა განსხვავებული აზრი გეგამ, მაგრამ უშედეგოდ:

– თუ ეგ არ არის, მაშინ სხვა მოძებნე, მერე მე მაჩვენე და მე მივხედავ, – ურჩია უფროსმა ძმამ გეგას, უმცროს ძმას კი გულწრფელად გაეცინა.

– მე სად მოვძებნო? – გულწრფელად გაუკვირდა გეგასაც.

– აქ, თვითმფრინავში, – თქვა გიამ, მაგრამ ღიმილის გარეშე და გეგასთვისაც გასაგები გახდა, რომ არჩევანი უკვე გაკეთებული იყო.

უმცროსმა ძმამ უფროსს დაასწრო და წამოდგა, სალონის წინა ნაწილისკენ შამპანურით ხელში დაიძრა და ბოთლში ჩარჩენილი სითხე გზაში გამოცალა. როცა სალონის პირველ რიგს მიუახლოვდა, ამორჩეული მგზავრისთვის სრულიად მოულოდნელად, შამპანურის ბოთლი თავში ჩაარტყა და თვითმფრინავის გატაცების მცდელობაც დაიწყო.

კარგა ხნის მერე, როცა ყველაფერი დამთავრდა, მხოლოდ მაშინ გაირკვა, რომ გამტაცებლები შეცდნენ და ის შუახნის კაცი, რომელმაც ბოთლის თავში ჩარტყმისაგან მაშინვე გრძნობა დაკარგა, სინამდვილეში ჩვეულებრივი მგზავრი იყო და არა კაგებეს თანამშრომელი. პაატა ივერიელი, რომელიც შეცდა, მერე თვითონვე უხვევდა თავს დაზარალებულ სოლომონიას. თუმცა ამას მაშინ, იმ ადამიანისათვის, არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან უკვე უგონოდ, თავგაპობილი იწვა სავარძელზე და მის გვერდით მჯდომი ქალი შიშისა და გაოგნებისაგან ხმამაღლა, მთელი თვითმფრინავის გასაგონად კიოდა.

უცნაური იყო, რომ კივილმა და ხმაურმა გამტაცებლებზე პანიკურად სულაც არ იმოქმედა. როგორც ჩანს, ამისთვის ყველაზე მეტად იყვნენ მზად და გეგმის განხორციელებასაც ენერგიულად შეუდგნენ.

როგორც კი უმცროსი ძმა შამპანურის ბოთლით სკამიდან წამოდგა, დანარჩენებმაც მაშინვე დაიკავეს თავიანთი ადგილები და პირველი, ვინც იარაღით ხელში მფრინავებთან აღმოჩნდა, გიორგი იყო, რომელსაც უფროსი ძმა კახაბერი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. მაგრამ გიორგიმ იმის თქმაც ვერ მოასწრო ეკიპაჟისთვის, რა მოთხოვნა ჰქონდათ გამტაცებლებს, რადგან ვიღაც შეიარაღებულმა ადამიანმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ესროლა გიას და ადგილზევე მოკლა. ის შეიარაღებული სამოქალაქოტანსაცმლიანი კაცი იჯდა სახით შემოსასვლელისკენ და ზურგით ცისკენ, იარაღი უკვე მომარჯვებული ჰქონდა კარის მიმართულებით და გამტაცებლებისთვის ამ ადამიანის არსებობაც კი ეკიპაჟის კაბინაში სრული მოულოდნელობა იყო. მათ შესწავლილი ჰქონდათ იმ პატარა თვითმფრინავის გეგმა, რომლის გატაცებასაც სინამდვილეში აპირებდნენ, რომელიც შეცვალეს და მათ აღარ გადაიფიქრეს გაფრენა, რადგან ჩათვალეს, რომ ეს უფრო საეჭვო იქნებოდა კაგებესთვის, თუ ისინი ჩაშვებულები იყვნენ ან მათი

განზრახვა რომელიმე სხვა გზით უკვე იცოდა საბჭოთა ხელისუფლებამ.

იმ პატარა თვითმფრინავის კაბინაში, მფრინავების გარდა, სხვა ვერც დაეტეოდა, მით უმეტეს, ვერ მოკალათდებოდა ისე, როგორც ის შეიარაღებული პირი იჯდა, რომელიც კაბინაში შესვლისას ვერც კი შეამჩნიეს გიორგიმ და კახაბერმა.

გიორგი უკვე მკვდარი იყო და გამტაცებლებს იმის დრო ნამდვილად არ ჰქონდათ, დაშვებულ შეცდომებზე ახლა ეფიქრათ, მით უმეტეს, ფიქრის დრო საერთოდ არ იყო, რადგან შეიარაღებული ადამიანი მფრინავების კაბინიდან უკვე პირდაპირ თვითმფრინავის სალონისკენ ისროდა. სალონში ორმოცდაათზე მეტი მგზავრი იჯდა, სროლის ხმაზე თავდაღუნული. მათ შორის იყვნენ გამტაცებლებიც, მაგრამ ტყვიას როგორ უნდა გაერჩია ბრალიანი და უბრალო, როგორც ჩანს, ამაზე დასაფიქრებლად დრო არც იმ უცნაურ კაცს ჰქონდა. იმ კაცმა კახაც დაჭრა და კიდევ ერთი მგზავრიც და ამიტომ სტიუარდესამ, შეიძლება ინსტინქტურად, მფრინავების კარის მიხურვა გადაწყვიტა, თუმცა ეს არც ისე იოლი იყო პირველი მსხვერპლის გამო, რომელიც შესასვლელში გაუნძრევლად იწვა და შესაძლოა სტიუარდესას კარის მიხურვით, გამტაცებლებისთვის ხელის შეშლა სურდა, რომ მათ მფრინავებამდე ველარ მიეღწიათ (გასოიანმა, რომელმაც მფრინავების სალონიდან გახსნა ცეცხლი, მერე იმ სტიუარდესას, რომელიც მას გია ტაბიძის გვამის გადაადგილებაში დაეხმარა, ცხვირწინ მიუხურა კარი). მიუხედავად საყოველთაო პანიკისა თვითმფრინავში და მიუხედავად ასეთი წარუმატებელი და ტრაგიკული დასაწყისისა, გამტაცებლები მაინც შეეცადნენ ჩანაფიქრის განხორციელებას და ახლა მათ სხვა გზა, უბრალოდ აღარც ჰქონდათ.

სხვებს სასროლები ჰქონდათ, გეგა კი სკამებს შორის გასასვლელში იდგა ლიმონკით ხელში, რომელიც არ იყო ნამდვილი, მაგრამ ეს მხოლოდ გიორგიმ იცოდა, რომელიც უკვე მკვდარი იყო.

გეგა აფეთქებით ემუქრებოდა ეკიპაჟს, თუ ისინი თვითმფრინავს თურქეთის მიმართულებით არ წაიყვანდნენ, მაგრამ მფრინავებს მიწიდან უკვე ბრძანება ჰქონდათ მიღებული, არავითარ შემთხვევაში არ შეესრულებინათ გამტაცებლების მოთხოვნა. პილოტებმა გამტაცებლების დეზორგანიზაციის მიზნით, თვითმფრინავის ხელოვნური ვარდნა დაიწყეს. თუმცა ეს სრულიად ზედმეტი იყო, რადგან გამტაცებლები უკვე ისედაც სრულიად ქაოტურად მოქმედებდნენ და ამ ხელოვნურმა ვარდნამ ყველაზე მეტად ისევ უდანაშაულო მგზავრები დააზიანა. ვარდნა ისეთი ვერტიკალური და მოულოდნელი იყო, რომ მგზავრები თავიანთ ადგილებს მოსწყდნენ განწირული კივილით და რაც ყველაზე საშინელი იყო, ეს მანევრი მფრინავებმა რამდენჯერმე გაიმეორეს.

თუმცა, როცა ყველაფერი შედარებით დაწყნარდა, გამტაცებლებმაც გაიმეორეს თავიანთი მოთხოვნა და უფრო კატეგორიულად, რადგან ყველაფერმა ერთად უფრო მეტად იმოქმედა იმაზე, რომ ისინი თავგანწირულ შახიდებად ქცეულიყვნენ. მფრინავები იძულებული გახდნენ ტყუილი მოეგონებინათ დროის გასაყვანად და დროებით მაინც მათ დასაშოშმინებლად. სოსოს უთხრეს, რომ საწვავი მხოლოდ ბათუმამდე იყო განსაზღვრული და თურქეთის რომელიმე აეროპორტამდე, უბრალოდ ვერც მიაღწევდნენ. სოსოსთვის ან ნებისმიერი სხვა გამტაცებლისთვის, ზემოთქმული, რასაკვირველია, საეჭვო იყო, მაგრამ ისინი იძულებულები იყვნენ, მფრინავებისთვის დაეჯერებინათ და საწვავის მარაგი სოხუმის აეროპორტში შეევსოთ. სოხუმი ყველაზე ახლოს იყო ბათუმთან და ეს იყო უახლოესი გამოსავალი ამ სიტუაციაში, მაგრამ მფრინავებს ნაბრძანები ჰქონდათ თბილისში დაბრუნება, რადგან სწორედ თბილისის აეროპორტში გამტაცებლებს უკვე ელოდებოდათ რუსული შეიარაღებული სამხედრო ნაწილი,

რომელსაც ბაზა იქვე, თბილისში ჰქონდა. მფრინავებმა მაინც გააკეთეს ერთგვარი საჰაერო მანევრი გამტაცებლების მოსატყუებლად, თითქოს თვითმფრინავს კურსი მართლაც სოხუმისკენ ჰქონდა აღებული, მაგრამ ესეც ზედმეტი იყო, რადგან საჰაერო მარშრუტებში, რა თქმა უნდა, ვერავინ ერკვეოდა. გამტაცებლებმა ბოლომდე ისიც ვერ გაარკვიეს, მართლა მოჰყვებოდა თუ არა მათ თვითმფრინავს ორი რეაქტიული სამხედრო თვითმფრინავი აქეთ-იქიდან, მაინც, ყოველი შემთხვევისათვის, თუ ისინი თურქეთისაკენ გადაუხვევდნენ. თუ ასეთი ესკორტი მართლაც გაჩნდა უკვე ბათუმის ცაზე, უპირველესად მფრინავებზე ზემოქმედების მიზნით, რათა მათ ზუსტად შეესრულებინათ თბილისიდან მიღებული ბრძანება, თუ არა და, წინააღმდეგ შემთხვევაში, თურქეთის საზღვართან მიახლოებისთანავე, თვითმფრინავს ჩამოაგდებდნენ.

გამტაცებლები თვითმფრინავის ნამდვილ მარშრუტს მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, როცა მინა გამოჩნდა, კონტურებიც გამოიკვეთა და თვითმფრინავმა დაშვება დაიწყო. სწორედ მაშინ დათომ გადაწყვიტა, რომ ყველაფერი დამთავრდა, თავის მართლებას არც აზრი ჰქონდა, არც დათოს სურდა ამის გაკეთება და თავი მოიკლა. როგორც კი დარწმუნდა, რომ თვითმფრინავი ისევ თბილისის აეროპორტში დაჯდა, მან თავი მოიკლა.

დათომ თავი მოიკლა და ამ გასროლის ხმამ სალონში დროებით დასადგურებული სიჩუმე დაარღვია და ახლოს მსხდომმა მგზავრებმა ინსტინქტურად შეჰკივლეს, თუმცა ვერცერთი მათგანი ვერ წარმოიდგენდა იმ საშინელებას, რაც მათ ჯერ კიდევ წინ ელოდათ.

თვითმფრინავის გაჩერებისთანავე რამდენიმე ათეულმა ავტომატებით შეიარაღებულმა სამხედრო პირმა ალყა შემოარტყა თვითმფრინავს და ყოველგვარი გაფრთხილებისა და ულტიმატუმის გარეშე, ცეცხლი გაუხსნა თვითმფრინავს, სადაც ორმოცდაათზე მეტი მგზავრი იჯდა.

ახლაც გაურკვეველია, ვინ გასცა ბრძანება, რომელსაც ყველაზე მეტი სისხლი მოჰყვა და ეს მაშინ, როცა მგზავრების უმრავლესობას ეგონა, რომ უკვე თითქმის გადარჩენილები იყვნენ. ყველაფრის მიუხედავად, მაინც ძნელი წარმოსადგენია, რა მოჰყვებოდა თვითმფრინავის გარედან დაცხრილვას ავტომატური იარაღით რამდენიმე ათეული საბჭოთა ჯარისკაცის მიერ.

როცა ეს ჯოჯოხეთი, როგორც იქნა, შეწყდა, თვითმფრინავში მხოლოდ დაჭრილების კვნესის ხმა ისმოდა, ხოლო ცოცხლად გადარჩენილები შოკისა და გაოგნებისაგან, ხმას ვერ იღებდნენ და უბრალოდ დუმდნენ.

სოსო იმიტომ დუმდა, რომ ყელში იყო დაჭრილი და ლაპარაკი უჭირდა, მაგრამ მაინც კარგად დაინახა, როგორ გახსნეს სტიუარდესებმა თვითმფრინავის დაჯდომისთანავე სათადარიგო გასასვლელი და მათ თვალებით სთხოვეს ჩასვლის ნებართვა სოსოს, რომელმაც თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად. მათ ეგონათ, რომ ეს იყო გადარჩენის ერთადერთი გზა, მაგრამ ისინი მინაზე ჩამოსვლისთანავე დაცხრილეს. შემთხვევით ცოცხლად გადარჩენილი ირინა ხიმიჩი იმდენად პატიოსანი ადამიანი აღმოჩნდა, რომ ვერაფრით შეაცვლევინეს ჩვენება, რომელშიც მან თქვა ის, რაც დიანახა და ზუსტად იცოდა. საბჭოთა ჯარისკაცები ესროდნენ არა მხოლოდ ნებისმიერ მგზავრსა თუ ეკიპაჟის წევრს, რომელიც თვითმფრინავიდან ხტებოდა, არამედ თვითმფრინავში მსხდომ მგზავრებსაც.

ამიტომაც უყვიროდნენ გამტაცებლები მგზავრებს, უიარაღო ხელები ილუმინატორებზე აეფარებინათ, რომ გარედან სროლა შეეწყვიტათ, მაგრამ ამის შედეგი მხოლოდ ის იყო, რომ (როგორც მერე გაირკვა) მგზავრების უმრავლესობას ავტომატის ტყვიები თითებში მოხვდა.

თბილისის აეროპორტში თვითმფრინავის დაჯდომის შემდეგ ყველაზე მხნედ მაინც პაატა იყო, რომელიც სხვების გამხნევებასაც შეეცადა. შეიძლება პაატა იმანაც აამოძრავა, რომ დაჭრილი ძმა დახმარებას სთხოვდა და მესროლეო, – ეხვეწებოდა (სოსო წერეთელმაც პაატას სთხოვა, მაშინვე მოეკლა, როგორც კი სპეცნაზი თვითმფრინავის შტურმს დაიწყებდა). პაატა თვითონაც დაჭრილი იყო, მაგრამ მხოლოდ ფეხში და ალბათ შედარებით მსუბუქად, რადგან ამდენი მოძრაობის უნარი და ძალა მაინც ჰქონდა (სხვათა შორის, ჩვენებების მიხედვით, პაატა ივერიელს თვითონ მგზავრებმა შეუხვიეს ფეხი და ერთმა შუახნის ქალბატონმა თავის კაბას ბოლოც კი შემოახია პაატასთვის ფეხზე გადასაჭერად). ფაქტია, რომ პაატა თვითმფრინავში ყველაზე მეტს მოძრაობდა (თითქმის ბოლომდე) და ყველაზე მეტსაც ყვიროდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მგზავრებს გარედან ესროდნენ – ჩვენ კი ვიცით, რომ თავისუფლებისათვის გვხოცავენ, მაგრამ თქვენ რაღას გერჩიანო...

პაატა ივერიელი არამხოლოდ ყვიროდა, ხმამაღლა აგინებდა ყველას და თვითმფრინავში საკმაოდ აგრესიულად იქცეოდა. ჩვენებებში მან ასეთი საქციელი ახსნა იმით, რომ მგზავრებს თუ არ შეეშინდებოდათ გამტაცებლების, ისინი სპეცნაზის გამოჩენამდე თვითონვე გაუსწორდებოდნენ პაატასა და მის მეგობრებს. გარდა ამისა, პაატა ივერიელს, აგრესიულობა სჭირდებოდა ხელისუფლებაზე ზემოქმედებისთვისაც – ისინი უნდა დაერწმუნებინა, რომ თვითმფრინავის გამტაცებლები იყვნენ ნამდვილი ბანდიტები და არა რომანტიკოსი სტუდენტები (მოგვიანებით, ამიტომაც მხოლოდ ჩუმად ეკითხებოდა რჩევებს დარჩენილ მგზავრებს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ და ჰქონდათ თუ არა ცოცხლად გადარჩენის შანსი, თუ ხელისუფლებას ჩაბარდებოდნენ).

შეიძლება, დანარჩენებისაგან განსხვავებით, პაატა მაინც ფიქრობდა, რომ ჯერ ყველაფერი არ იყო დამთავრებული და საწვავი უნდა მოეთხოვათ, დაღუპულებისა და დაჭრილებისაგან თვითმფრინავი უნდა გაეთავისუფლებინათ და თურქეთში გაფრენილიყვნენ. ასეც მოიქცნენ და როგორც კი ხელისუფლების წარმომადგენლები დაცხრილულ თვითმფრინავს მიუახლოვდნენ და მოლაპარაკება დაიწყეს, გამტაცებლებმა თავიანთი ულტიმატუმი წაუყენეს მათ. თუმცა, მოლაპარაკება მხოლოდ დროის გაყვანის მცდელობა იყო ხელისუფლების მხრიდან და გამტაცებლების მოთხოვნების შესრულებაზე მათ, რასაკვირველია არც უფიქრიათ. ხელისუფლებას დროის გაყვანა იმიტომ სჭირდებოდა, რომ რუსეთიდან სპეციალური დანაყოფი უნდა ჩამოფრენილიყო, რომელიც მსგავს ოპერაციებს ასრულებდა შეიარაღებული ტერორისტების წინააღმდეგ. მანამდე კი ხელისუფლებამ გამტაცებლების მშობლების გამოყენებაც სცადა მათთან მოლაპარაკების მიზნით.

გამტაცებლების მშობლები მიიყვანეს კიდეც აეროპორტში, მაგრამ მერე რატომღაც გადაიფიქრეს და ჩათვალეს, რომ ეს გზასაცდენილი ახალგაზრდები ცეკას პირველ მდივანს უფრო დაუჯერებდნენ, ვიდრე საკუთარ მშობლებს და პირველმა მდივანმაც „მამაშვილურად“ მიმართა გამტაცებლებს, იარაღი დაეყარათ და ხელისუფლებას ჩაბარებოდნენ.

ერთ-ერთი გავრცელებული ვერსიით, სწორედ ეს მიმართვა გამოდგა საბედისწერო სოსოსთვის, რომელმაც თვითმფრინავის ღია კარში გადმომდგარმა, უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და საპასუხოდ დედა შეაგინა ცეკას პირველ მდივანს. ამბობენ, რომ სწორედ ამ შეურაცხყოფის გამო, მერე, როცა უკვე ყველაფერი მორჩა, დაჭრილ სოსოსთან არცერთი ექიმი არ მიუშვეს და იგი სისხლისაგან დაიცალა და რამდენიმე საათში გარდაიცვალა კიდეც (სოსო წერეთელი ამბობდა, ამერიკაში ჩასვლისთანავე რეიგანთან თეთრი ჩოხით შევალ და ყველაფერს მოვუყვები, რაც აქ ხდება და რასაც ესენი კადრულობენო)...

მანამდე კი სისხლისაგან სხვებიც იცლებოდნენ თვითმფრინავში, მაგრამ დაჭრილები მაინც არ გაჰყავდათ სასწრაფოებს, მიუხედავად გამტაცებლების კატეგორიული მოთხოვნისა. გამტაცებლებს ეგონათ, რომ ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან მათი ცივსისხლიანობის დემონსტრაციული გამოვლინება და გულწრფელად უკვირდათ, როგორ არ ეცოდებოდა ხელისუფლებას თავისი უდანაშაულო მოქალაქეები.

ხელისუფლების გათვლა კი იყო ზუსტი და სასტიკი, მაგრამ სხვა – ისინი ფიქრობდნენ, რომ რაც მეტი დაჭრილი იქნებოდა თვითმფრინავში, უკეთესი იყო მათთვის, რადგან დაჭრილების კვნესის ხმა, პანიკა და აგონია უფრო შეუშლიდა ხელს გამტაცებლებს ლოგიკურ აზროვნებაში.

თუმცა, სადღა იყო ლოგიკისა და აზროვნების დრო, მიუხედავად იმისა, რომ შტურმის ოპერაცია თვითმფრინავის დაჯდომიდან მხოლოდ თოთხმეტი საათის შემდეგ დაიწყო. მთელი ამ თოთხმეტი საათის განმავლობაში, ადვილი წარმოსადგენია, რა ხდებოდა თვითმფრინავში, მაგრამ ზოგიერთები მაინც ცდილობდნენ სხვების დამშვიდებას და რამდენიმე მათგანმა თვითმფრინავიდან გადმოხტომაც კი შეძლო, შესაძლოა, გამტაცებლების თანხმობით. გამტაცებლებმა თვითმფრინავიდან ჩახტომის უფლება მისცეს თინას ორ მეგობარ გოგონას და ასევე თვითონ თინასა და გეგასაც შესთავაზეს თამაშიდან გასვლა, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკვე აღარ იყო თამაში. თუმცა, თამაშის ატრიბუტი თვითმფრინავში ნამდვილად არსებობდა – ის მოგვიანებით ხელისუფლებამ სასამართლოზე არ გამოაჩინა – ერთ-ერთი გამტაცებელი „ნუნჩაკოთი“ იყო შეიარაღებული და ქართველმა კომუნისტებმაც სამართლიანად იფიქრეს, რომ ეს დეტალი გამტაცებლების გულუბრყვილობაზე იმეტყველებდა. საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებას კი დაგეგმილი ჰქონდა საყოველთაო ზიზღისა და აგრესიის შექმნა თვითმფრინავის გამტაცებლების მიმართ, „ნუნჩაკოს“ კი ისეთი ბავშვური იმიჯი ჰქონდა, რომ იმ დაგეგმილ აგრესიას საგრძნობლად შეანელებდა (მერე, უკვე სასამართლო პროცესზე, მათ მიმართ ზიზღის გამოსაწვევად ისიც კი თქვეს, რომ გამტაცებლები მგზავრებს შორის ბავშვიან დედებს იმიტომ ეძებდნენ, რომ მათი შვილებისთვის ყურები მოეჭრათ და იქვე, დედების თვალწინ შეეჭამათო). ახლა კი გულუბრყვილოდ ჟღერს, მაგრამ მაშინ მოლაპარაკებებზე თვითმფრინავიდან მგზავრებს აგზავნიდნენ, რომლებიც თვითმფრინავიდან ჩადიოდნენ და უკან აღარ ბრუნდებოდნენ, მაგრამ გამტაცებლებს მაინც სჯეროდათ, რომ მათი არდაბრუნება გაუგებრობის ბრალი იყო და ახლა სხვა მგზავრებს უშვებდნენ ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად.

იქნებ არც სჯეროდათ, მაგრამ სხვა გზაც არ ჰქონდათ გამტაცებლებს და ბოლოს ხომ მაინც დაიჯერებდნენ, რომ ატყუებდნენ, როცა მგზავრებს შორის მყოფი ძმებიდან ერთ-ერთი ჩაუშვეს თვითმფრინავიდან, რომელსაც არდაბრუნების შემთხვევაში, თვითმფრინავში დარჩენილი ძმის მოკვლით დაემუქრნენ და ის მაინც არ დაბრუნდა.

ერთადერთი, ვინც გამტაცებლებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა (რასაკვირველია მხოლოდ დროის გაყვანის მიზნით), აეროპორტის თანამშრომელი იყო (ან რაღაცის თანამშრომელი), რომელიც ძალიან სასაცილო ფრაზებს ეუბნებოდა მათ, გამტაცებლებს კი მაინც სჯეროდათ, რომ (მაგალითად) თურქეთი უარს ამბობდა, მაგრამ ირანი თანახმა იყო ამ თვითმფრინავის მიღებაზე, ოღონდ საწვავის ავზი უნდა შეევსოთ. გამტაცებლები კი თანახმა იყვნენ მხოლოდ ისრაელში გაფრენაზე, ოღონდ საწვავის შესავსებად ტექნიკური პერსონალი ტრუსების ამარა უნდა ამოსულიყო თვითმფრინავში. ხელისუფლებას დრო გაჰყავდა ბევრი მიზეზისა და მიზნის გამო და იმ რამდენიმე საათის განმავლობაში რუსეთიდან ჩამოფრენილი სპეცდანიშნულების რაზმის წევრები თვითმფრინავის თავზე იწვნენ შტურმის ბრძანების მოლოდინში და მთელი ამ ხნის

განმავლობაში გადაუღებლად წვიმდა. სიცივისა და სისველისაგან შეწუხებულები, ისინი მოუთმენლად ელოდნენ უფროსების ბრძანებას, რომ ოპერაცია დაეწყოთ, მაგრამ ბრძანება იგვიანებდა. ბრძანება მიიღეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა თვითმფრინავის ღია კარში თინიკო გამოჩნდა ლიმონკით ხელში და ოპერაციის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, რომ ქალი ხელყუმბარით იყო ყველაზე რეალური საშიშროება, მიუხედავად იმისა, რომ სხვა გამტაცებლებმა მანამდე რამდენჯერმე გააკეთეს იგივე ცალ-ცალკე და ერთად.

ისიც გასაგებია, რომ მერე, ოპერაციის დამთავრების შემდეგ, როცა ყველაფერი მორჩა, ველარავინ გაიხსენა კადრი, რომელშიც თინა ლიმონკით ხელში იდგა თვითმფრინავის შესასვლელში და შესაძლოა, ეს სცენა თინამ უბრალოდ გაიფიქრა იმისათვის, რომ ეს ჯოჯოხეთი მალე დასრულებულიყო, რადგან სანამ ყველაფერი მორჩებოდა, მოლოდინი მორჩა და თინიკომ გეგას ლიმონკა სთხოვა.

– არ არის ნამდვილი, – უთხრა გეგამ თინას, მაგრამ ვერ გაუღიმა, რადგან ღიმილის ძალა გეგას აღარ ჰქონდა.

– ვიცი, – თქვა თინიკომ, გეგას აკოცა, ლიმონკა გამოართვა და ღია კარისკენ დაიძრა.

ოპერაცია შტურმის დაწყებიდან შვიდ წუთში დამთავრდა: ჯერ რაღაც გაზი შეუშვეს თვითმფრინავში და მერე იმ თვითმფრინავიდან, გამტაცებლებიცა და მგზავრებიც, უბრალოდ მიწაზე გადმოყარეს.

როცა დაპატიმრებულები აეროპორტის იმ შენობაში ჩაატარეს, რომელშიც ხელისუფლების წევრები და კაგებეს გენერლები იყვნენ მობილიზებულები, ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა სოსოს წიხლი ჩააზილა.

სოსო დაეცა და ჩინოვნიკმა კიდევ ერთხელ დაარტყა პირველი მდივნის დასანახად, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ახლა შევარდნაძის საამებლად, საუკეთესო შანსი ჰქონდა, რომელსაც ვერაფრით დაკარგავდა.

თბილისში ისევ წვიმდა, იყო გვიანი შემოდგომა და საქართველოს დედაქალაქში უკვე იცოდნენ, რომ ქართველმა სტუდენტებმა თვითმფრინავი ვერ გაიტაცეს...

პაემანი

თბილისი და საქართველო რამდენიმე ნაწილად გაიყო: ხალხის ნაწილი გულწრფელად იყო აღშფოთებული იმით, რაც მოხდა, თუმცა დეტალების შესახებ არავინ იცოდა ზუსტად და ხელისუფლებამ სასწრაფოდ დაიწყო პრესითა და ტელევიზიით მისთვის სასურველი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. ხელისუფლებამ, რომელიც მთლიანად აკონტროლებდა მასმედიას, გადაწყვიტა თვითმფრინავის გამტაცებლებისაგან მონსტრებისა და ბანდიტების იმიჯის შექმნა მანამ, სანამ გამოძიება დაიწყებოდა, რადგან საქართველოში მაშინაც არსებობდა ანტისაბჭოური განწყობილება და საზოგადოების ნაწილმა გამტაცებლების დაცვა და გამართლებაც კი დაიწყო. ამიტომაც, გარდა სატელევიზიო აგიტაციისა, ხელისუფლებამ მისთვის ჩვეულ, ძველ ბოლშევიკურ ხერხსაც მიმართა და თითქმის ყველა დაწესებულებასა და სამსახურში იმართებოდა კრებები, სადაც მშრომელები და მოსამსახურეები გმობდნენ მომხდარს და იღებდნენ კრების რეზოლუციებს ბანდიტებისა და მოღალატეების უმკაცრესად დასჯის მოთხოვნით. ხელისუფლების მთავარი მზაკვრული ჩანაფიქრიც სწორედ ეს იყო, რომ პასუხისმგებელი მომავალი სისხლიანი განაჩენის გამო, თვითონ ხალხი ყოფილიყო და არა მთავრობა. თუმცა მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა იმას, რომ საბჭოთა სასამართლო უკიდურესად სასტიკი იქნებოდა ახალგაზრდა ადამიანების მიმართ, მაგრამ საზოგადოების ნაწილმა უკვე მაშინვე იცოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არავის დაინდობდა ასეთი საქციელის გამო და თვითმფრინავის გამტაცებლებს, თუნდაც სხვების დასაშინებლად, სამაგალითოდ დასჯიდნენ.

რასაკვირველია, ამისათვის სულაც არ იყო საჭირო შესაბამისი სამხილების მოძიება, რადგან საბჭოთა სასამართლოსთვის მთავარი ხელისუფლების გადაწყვეტილება იყო და არა ფაქტები და არგუმენტები, მაგრამ ზოგიერთ საკითხზე მსჯელობა და ფიქრი მაინც საჭირო გახდა. მაგალითად, ცეკაში დიდხანს ფიქრობდნენ იმაზე, თუ ვის უნდა დაბრალებოდა ამ ტერორისტული ბანდის მეთაურობა. განიხილავდნენ რამდენიმე ვარიანტს და მათ შორის გამტაცებლების მშობლების კანდიდატურებსაც, მაგრამ შემდეგ მაინც ხელისუფლებისთვის ყველაზე ოპტიმალური არჩევანი გააკეთეს. ბანდის მეთაურის ბრალდებით, თვითმფრინავის გატაცების მცდელობიდან ორი კვირის შემდეგ, დააპატიმრეს ბერი თეოდორე, რომელიც იმ თვითმფრინავში საერთოდ არ მჯდარა, მაგრამ გამოძიებისა და ხელისუფლებისათვის ეს არაფერს ნიშნავდა. საქართველოს მთავრობისათვის მთავარი ის იყო, რომ ბანდიტების ხელმძღვანელად სასამართლოზე დაასახელებდნენ ბერს, სასულიერო პირს და ამით ქართველ ახალგაზრდებსა და მთლიანად საზოგადოებას იმასაც აჩვენებდნენ, თუ როგორ მთავრდება ადამიანების დაინტერესება რელიგიური საკითხებით.

დღიდან თვითმფრინავის გატაცების წარუმატებელი მცდელობისა, ბერი თევდორე მხურვალედ და განმარტოებით ლოცულობდა მონასტერში თვითმფრინავში დაღუპულთა და გადარჩენილთათვის და როცა მისი დაპატიმრება გადაწყდა, იგი არსად დამალულა და სწორედ ასე, მუხლებზე მლოცველი დახვდა კაგებესა და მილიციის თანამშრომლებს თოვლით გადათეთრებულ მონასტერში.

– დაპატიმრებული ხართ! – უთხრეს ბერს, რომელსაც მხოლოდ გაეღიმა ამ სიტყვების გაგონებისას. ერთ-ერთმა მონდომებულმა კაგებეს თანამშრომელმა გადაწყვიტა, რომ ეს ღიმილი შეურაცხმყოფელი იყო საბჭოთა ხელისუფლებისთვის და მან სხვების გასაგონად, რაც შეიძლება მკაცრად მიმართა გაღიმებულ ბერს:

– რა გაცინებს, ბიჭო?!

მამა თეოდორემ არაფერი უპასუხა ახალგაზრდა მონდომებულ კაგებეშნიკს და მხოლოდ სენაკისკენ გაიშვირა მარჯვენა ხელი:

– იქ წიგნები და პირადი ნივთები მაქვს, წამოვიღებ.

– არ დაგჭირდება, – ურჩია ახლა სხვამ.

როცა მონასტრის ეზოდან გამოჰყავდათ, ბერს დათო გაახსენდა, უფრო სწორად, ის დღე, როცა უკანასკნელად ნახა მეგობარი, რომელმაც თავი მოიკლა და რომელსაც ახლა ყველაზე მეტად სჭირდებოდა მისი ლოცვა...

ბერი, რომელმაც იცოდა, რომ აღსარების საიდუმლო არ უნდა გაეცა, პირდაპირ კაგებეს ციხეში მიიყვანეს, პირდაპირ დაკითხვაზე, მაგრამ ის ოთახი, სადაც მას გამომძიებელი ელოდა, იყო ძალიან დაბლა და შორს. ამიტომაც მამა თევდორე ძალიან დიდხანს მიჰყავდათ გრძელ მიწისქვეშა დერეფნებში და იმ ოთახში შეყვანისთანავე, სადაც გამომძიებელი დახვდა, დაღლილობისმაგვარი რაღაც იგრძნო. თუმცა ისიც იფიქრა, რომ კაცი, რომელმაც მაშინვე დაჯდომა შესთავაზა ბერს, სულაც არ იყო გამომძიებელი. მისი პირველივე ფრაზაც სულ არ ჰგავდა გამომძიებლის შეკითხვას:

– ალბათ იმ ნაბიჭვრებმა ყველაზე მაგრად მაინც შენ გაწყენინეს...

– ბოდიში, მაგრამ ვერ გაგიგეთ.

– მეც ვერ გავიგე, უფროსის საქმიდან მოტეხვა რას ნიშნავდა.

– მე მათი უფროსი არ ვყოფილვარ, მე მათი მოძღვარი ვარ...

– რა მნიშვნელობა აქვს, მოძღვარი ხარ თუ პირადი მღვდელი, ბანდის მეთაურად ყველანი შენ გასახელებენ...

– საკვირველია.

– მეც ეგ არ მიკვირს, რომ მეთაური მოგტეხეს?

– ბოდიში, მაგრამ მართლა ვერ გაგიგეთ.

– ხომ გითხარი, ძმაო, რო ვერც მე გავიგე მეთაურის გადაგდება რა პონტია. კაცმა იწვალე, ყველაფერი ხუთიანზე მოამზადე და მაგ ნაბიჭვრებმა, საქმე საქმეზე რო მიდგა, უშენოდ წასვლა გადაწყვიტეს...

– მე არსად არ ვაპირებდი წასვლას.

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მაგ ნაბიჭვრებს ერთი სიტყვა მაინც ხომ უნდა ეთქვათ შენთვის, ბოლო-ბოლო მეთაური და ბანდის მთავარი მოზგი შენ იყავი.

– მე ბერი ვარ.

– მეც მაგას გეუბნები, ძმაო, ბერი რომ ხარ და ბავშვივით რომ გადაგაგდეს. მაგათ, აი, მარტო მაგის გამო მაგრა მოეთხოვებათ შენგან...

– მე არ ვიცი, რაზე მელაპარაკებით.

– პასუხი უნდა მოთხოვო, ძმაო, აბა როგორ, კაცურადაც ჩაიჭრნენ შენთან და ყველანაირად.

– ხომ გითხარით უკვე, მე არსად ვაპირებდი წასვლას. მათ ეს კარგად იცოდნენ და რატომ უნდა ეთქვათ ჩემთვის, როდის აპირებდნენ გაფრენას...

– როგორ, ძმაო, დასახვრეტ საქმეზე მიდიხარ და სუბორდინაცია მაინც არ უნდა დაიცვა?

– ვის დახვრეტას გულისხმობთ?

– ყველასი, ვინც დასახვრეტია.

– მათ ხომ არავინ მოუკლავთ.

– ნახევარი თვითმფრინავი ამოხოცეს, ამდენი უდანაშაულო მგზავრი მოკვდა...

– მაგრამ მათ ხომ არავინ მოუკლავთ.

– აბა, ის ხალხი მე დავხოცე?

– მე არ მითქვამს, მაგრამ თქვენც ხომ იცით, რომ მათ მგზავრებისთვის არ უსვრიათ.

– შენ, ძმაო, ჭურის ბერი ხომ არა ხარ, ხალხი ეგეთ საქმეზე გაუშვი და რა ქნეს, ის მაინც მოგეკითხა.

– მე არავინ არსად არ გამიშვია, მე კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი და ახლაც ვარ ყოველგვარი ძალადობისა...

– თვითმფრინავის გატაცება შენთან დაიგეგმა, მონასტერში და ამის დამამტკიცებელი უამრავი საბუთი გვაქვს.

– შეუძლებელია.

– ჩვენც შეუძლებელი გვეგონა, რომ ასეთ რამეს დაგეგმავდით, თანაც მონასტერში. იქნებ ისიც თქვა, რომ შენთან არ დადიოდნენ.

– ამის უარყოფა არც მიცდია. ისინი მართლაც ხშირად მოდიოდნენ ჩემთან მონასტერში...

– მერე რაღა შენთან დადიოდნენ ამხელა გზაზე, თბილისში რა, ცოტა ეკლესიაა...

– ღვთის წყალობით, თბილისშიც მრავალი ტაძარია, მაგრამ მათ მოძღვარი სჭირდებოდათ, ისევე როგორც ნებისმიერ ჩვენგანს...

– მოძღვარი რას ნიშნავს, ვინც თვითმფრინავის გატაცებას გეგმავს?

– მოძღვარი ადამიანია, ვინც მეორე ადამიანს ეხმარება ჭეშმარიტების ძიებაში.

– კაი ჭეშმარიტებას კი მიაგნებინე. დახვრეტის წინ ალბათ სულ შენს ხსენებაში იქნებიან...

– მათ ხომ მგზავრები არ მოუკლავთ, ჯერ სასამართლო და განაჩენი არც ყოფილა, თქვენ კი...

– განაჩენი მათ თავიანთ თავს უკვე გამოუტანეს. იცი როდის? იმ თვითმფრინავის ტრაპზე რომ ადიოდნენ, უკვე მაშინ.

– მე თვითმფრინავში საერთოდ არ ვმჯდარვარ.

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს, შენ დამოძღვრე და გაუშვი. იმათ კი გადაგაგდეს და ისიც კი არ გითხრეს, როდის მიფრინავდნენ.

– მე წასვლა არც მინდოდა.

– ეს კიდევ უფრო ამძიმებს შენს დანაშაულს, ესე იგი შენ არ გინდოდა, მაგრამ სხვები გაუშვი სასაკლაოზე.

– მე არავინ არსად არ გამიშვია.

– რა ვიცი, ძმაო, ყველანი კი შენ გადებენ ხელს, როგორც ბანდის მეთაურს.

– არ მჯერა.

– არც ჩვენ გვჯეროდა, რომ ბერი შეიძლება თვითმფრინავის გატაცებას გეგმავდეს, მაგრამ აჰა, აგერ არა ხარ?

– თქვენ გინდათ, რომ ბანდის მეთაურობა მე დამბრალდეს?

– ჩვენ გვინდა, რომ ბერმა აღიაროს, თუ რა მავნე გავლენა შეუძლია იქონიოს ეკლესიამ ახალგაზრდობაზე. ჩვენ არა გვყავს, ძმაო, დასაკარგი ახალგაზრდობა...

– მაგრამ მათ თუ მაინც დავკარგავთ, მათი ბედი თუ უკვე გადაწყვეტილია და თუ ისინი მაინც უნდა დახვრიტონ, რა საჭიროა ჩემი აღიარება.

– ამაშია საქმე, ძმაო, ჭკვიანი კაცი ჩანხარ და მაგასაც მიხვდები, რომ თუ შენს თავზე აიღებ ყველაფერს, შეიძლება ისინი არც კი დახვრიტონ. რამდენი წლისა ხარ, ძმაო?

– დღეს ოცდაცამეტის შევსრულდი...

გამომძიებელი მოულოდნელად წამოდგა და რაც უფრო მოულოდნელი იყო პატიმრისთვის, მამა თევდორე გადაკოცნა და დაბადების დღე მიულოცა:

– ეგრე არ ჯობია? იფიქრე, ძმაო, პატარა ხომ აღარა ხარ...

ბერიც წამოდგა და იმავე ბადრაგმა გააცილა საკნისკენ, ვინც აქ, ამ ოთახ-ჯოჯოხეთში მოიყვანა ერთი საათის წინ.

მოსკოვში მაინც არ ენდობოდნენ ქართველ გამომძიებლებს და თბილისში სპეციალური კომისია გამოგზავნეს თვითმფრინავის გამტაცებელთა საქმის შესასწავლად. კრემლში ფიქრობდნენ, რომ ქართველი კომუნისტები მაინც დაინდობდნენ ქართველ სტუდენტებს და გამოძიება არაობიექტურად წარიმართებოდა. თუმცა მოსკოვში ცდებოდნენ, რადგან მათ არ იცოდნენ, რომ საქართველოს ხელისუფლება იმაზე მკაცრ განაჩენსაც კი გამოუტანდა თვითმფრინავის გამტაცებლებს, ვიდრე ეს მოსკოვს სურდა, რადგან ამაზე უკეთესად, აბა, როგორ დაუმტკიცებდა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება კრემლსა და მოსკოვს, რომ მისი უერთგულესი ქვეშევრდომი იყო.

რუსები ცდებოდნენ და ამიტომაც სპეციალური საგამომძიებლო კომისია მაინც გამოაგზავნეს თბილისში. მაშინ მოსკოვიდან ჩამოსული, ნებისმიერი ზემდგომი კომისია, იყო ზესტუმრის სტატუსის მქონე მოვლენა საქართველოში და მას ქართველები ისე ხვდებოდნენ, როგორც რუსებს უყვარდათ. მათ კი უყვარდათ ქართული სამზარეულო და ქართული კერძები, ქართული ღვინო და ქართული კონიაკი და ქართველი მასპინძლები თავს ხომ არ შეირცხვენდნენ?! არც ირცხვენდნენ, მათივე გაგებით. საქართველო კი ოდითგანვე ძალიან სტუმართმოყვარე ქვეყანა იყო ისედაც და, აბა, ასეთ სტუმრებს ვინ დაზოგავდა. არც ზოგავდნენ მათ და სანამ ფეხზე იდგნენ რუსები, ქართველებიც ასმევდნენ და ასმევდნენ და მერე, როცა სტუმრები გაილეშებოდნენ, მასპინძლებს დასაძინებლად მიჰყავდათ უკვე დაძინებული, დაღლილი და გაუბედურებული სპეციალური კომისიის წევრები.

ამიტომაც არ იყო გასაკვირი, რომ ერთხელაც გეგამ გამომძიებლის მაგიდაზე ბორჯომის რამდენიმე ბოთლი აღმოაჩინა. გეგას მხოლოდ ის გაუკვირდა, რომ ახლა მას ორნი დაჰკითხავდნენ: ერთი ძველი, უკვე ნაცნობი ქართველი გამომძიებელი და ერთიც ახალი, რუსი გამომძიებელი, რომელსაც ნაბახუსევზე თავი ისეთი დამძიმებული ჰქონდა, რომ საეჭვო იყო, მხოლოდ ბორჯომს ეხსნა ამ წვალებისაგან. ბორჯომი რუსებს ძალიან უყვარდათ, როგორც ყველაფერი ქართული და ეს რუსიც ზედიზედ ცლიდა გაზიან ბოთლებს და მონდომებით აყოლებდა მჟავე კიტრს. ქართველმა გამომძიებელმა, ღიმილით და შინაურულად, გეგასაც შესთავაზა ბორჯომი და უარი რომ მიიღო, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთო.

– დიახ, გისმენთ, – თქვა გეგამ, რომელსაც დაკითხვის პროცესი, რასაკვირველია, არ სიამოვნებდა, მაგრამ როცა დაკითხვაზე მიჰყავდათ, მაინც ყოველთვის უხაროდა, რადგან ყოველ ჯერზე ეგონა, რომ თინას თუ არა, რომელიმე მათგანს მაინც შეხვდებოდა, რომელიმე პატიმარ მეგობარს, თუნდაც შემთხვევით, სადმე დერეფანში მაინც.

გამოძიება ცხრა თვის მანძილზე გრძელდებოდა და ცხრა თვის მანძილზე თითქმის ყოველდღე გაჰყავდათ დაკითხვაზე თვითმფრინავის გამტაცებლები, მაგრამ არცერთ მათგანს, რასაკვირველია არავინ შეხვედრია თვითმფრინავის ბიჭებიდან, როგორც ამაზე გეგა ოცნებობდა. მეტიც, არცერთ ბრალდებულს არცერთხელ არ მისცეს ოჯახის წევრებთან შეხვედრის საშუალება. ისინი იყვნენ იმდენად იზოლირებულები, რომ სასამართლო პროცესამდე, არცერთმა მათგანმა, არაფერი იცოდა დანარჩენების შესახებ.

იყო მხოლოდ ერთი გამონაკლისი, ერთადერთი შემთხვევა, სწორედ იმ დღეს, როცა გეგას ერთის ნაცვლად, ორი გამომძიებელი დახვდა ოთახში. მაგრამ სანამ ოთახში შეიყვანდნენ, როგორც ამას წესის მიხედვით ნებისმიერი ბადრაგი აკეთებდა, ამჯერადაც მოსთხოვეს სახით კედლისკენ დამდგარიყო. გეგას შეხსენებაც არ სჭირდებოდა, რადგან უკვე იმდენჯერ იყო ნამყოფი დაკითხვაზე, რომ გამომძიებელთან შესვლის წინ, ინსტინქტურად შემოიწყო ხელები ზურგზე და

კედელთან ახლოს, სახით დადგა.

და უცებ იმ კედელზე, თავს ზემოთ, იმ ინგლისური სიმღერის ტექსტი დაინახა, რომელსაც ყველაზე ხშირად უსმენდნენ ხოლმე გეგა და თინა, როცა ისინი ერთად იყვნენ და კედელზე ინგლისურად ეწერა მხოლოდ ორი სიტყვა იმ სიმღერიდან: „წისჰ ყოუ...“.

ეს იყო იმ სიმღერის სათაურიდან თუ რეფრენიდან, გეგას აღარ ახსოვდა, მაგრამ ზუსტად ახსოვდა, რომ ეს ფრაზა ნამდვილად იმ სიმღერიდან იყო და კედელზე ისეთი პატარა ასოებით, გაკრული ხელით და ნაჩქარევად იყო მიწერილი, რომ გეგამ მხოლოდ ერთადერთი გადაწყვიტილება მიიღო. გადაწყვეტილება იყო მარტივი – თუ ამ წარწერის ავტორი მართლაც თინა იყო, მაშინ გეგასაც იქვე უნდა მიეწერა იმ ფრაზის დასასრული, იმავე კედელზე და მერე პასუხსაც მიიღებდა. გეგა ისე აღელდა სიხარულისაგან, რომ იმ დღეს ვერც კი იგებდა, რაზე ელაპარაკებოდნენ გამომძიებლები და ფიქრობდა ერთადერთზე – იმ კალმის მოპარვაზე, რომელიც ახლა გამომძიებლის მაგიდაზე იდო და რომელიც ახლა ისე სჭირდებოდა, როგორც არასდროს.

გეგა იჯდა გამომძიებლის ოთახში, მაგრამ მისი გონება გარეთ, დერეფნის იმ კედელთან რჩებოდა ისევ და დაპატიმრების შემდეგ პირველად იგრძნო ბედნიერება, ან რაღაც ბედნიერების მსგავსი.

ქართველმა გამომძიებელმაც შეამჩნია პატიმრის ეს უცნაური აღელვება და გეგას გაკვირვებულმა უთხრა კიდეც:

– დღეს რაღაც გახარებული ჩანხარ.

– გახარებული?

– გახარებული თუ არა, კმაყოფილი მაინც.

– რითი უნდა ვიყო კმაყოფილი?

– მეც ეგ არ მიკვირს?

– ალბათ მოგეჩვენათ.

– ჩვენ არაფერი გვეჩვენება. ეს შენ მოგეჩვენა, რომ იმ თვითმფრინავში კინოს იღებდნენ, შენ კი მთავარ როლში იყავი ლიმონკით ხელში...

– მე უკვე გითხარით, რომ იმას, რაც მოხდა, გულწრფელად ვნანობ, ხელყუმბარა კი ნამდვილი არც იყო.

– აბა, ამდენი ხალხი სათამაშო იარაღებით დახოცეთ?

– ჩვენ არავინ მოგვიკლავს.

– აბა, თავი მოიკლეს?

– თავი მხოლოდ დათომ მოიკლა.

– ამაზე ხომ უკვე ვილაპარაკეთ და მგონი რაღაც უნდა მოგეფიქრებინა.

– რა უნდა მომეფიქრებინა?

– უნდა გადაგეწყვიტა, ვინ იყო თქვენი ბანდის მეთაური.

– ჩვენ არანაირი მეთაური არ გვყოლია, მაშინაც გითხარით.

– ყველა ბანდიტურ ჯგუფს ჰყავს მეთაური.

– ჩვენ არ გვყოლია.

– მესმის, რომ არ გინდა ჩამშვები გერქვას, მაგრამ სასამართლოსთვის აუცილებელია, რომ ვინმე დაასახელო.

– ვინ დავასახელო?

– ხელმძღვანელი. თქვენგან ორი კაცი მკვდარია და შეგიძლია ერთ-ერთს ხელი დაადო.

– ტყუილი როგორ ვთქვა?

– მკვდრები რას გაიგებენ?

– მაგრამ მე ხომ მეცოდინება, რომ ტყუილს ვამბობ. არანაირი მეთაური არ გვყოლია.

– აბა, ის ბერი ვინ იყო?

– ბერი იყო.

– ბერი იყო თუ ბანდის მეთაური?

– ეგ რომ მეთაური ყოფილიყო, იმ თვითმფრინავშიც იჯდებოდა.

– ეგ კი ცუდად გამოგივიდათ, ხო იცი, შინაურულად გეუბნები. კაცი ყველაფერში დაგეხმარათ და მერე გადააგდეთ, ხელმძღვანელის გადაგდება კი ნაღდად არ გამიგია.

– იმ ბერმა არაფერი იცოდა.

– ეგ შეგიძლია ამას უთხრა (ქართველმა გამომძიებელმა რუსი გამომძიებელი იგულისხმა, თუმცა მისკენ თითი არ გაუშვერია), მაგრამ ჩემთან რად გინდა ეგეთი ლაპარაკი, შინაურულად გეკითხები და შენც გამიგე, რა, ძმურად. აბა, ეგრე სად არის, ძმაო, კაცმა წაგაქეზათ და მერე თვითონ თვითმფრინავში საერთოდ არც ჩაჯდა. პასუხი მარტო თქვენ რატომ უნდა აგოთ?!

– იმ ბერმა არაფერი იცოდა, – თქვა გეგამ კიდევ ერთხელ, მაგრამ ისე გულგრილად, რომ მისთვის სულერთი იყო დაუჯერებდა თუ არა ეს ახალგაზრდა ქართველი გამომძიებელი და გეგას ფიქრი და გონება იყო ისევ იმ კედელთან, იქვე, შემოსასვლელ კართან, სადაც ის ორი ინგლისური სიტყვა ეწერა.

– მე შენთვის ვამბობ და იფიქრე, ძმაო, – დამოძღვრა კიდევ ერთხელ ახალგაზრდა გამომძიებელმა პატიმარი და ფეხზე წამოდგა.

პატიმარს ძალიან გაუხარდა, რომ დღევანდელი დაკითხვა ასე მალე დამთავრდა, რადგან ის ერთადერთი კალამი, რომელიც მას თინასთან დააკავშირებდა, უკვე ხელში ჰქონდა.

გამომძიებლის ოთახიდან გამოსვლისას, როცა ბადრაგმა კიდევ ერთხელ უბრძანა კედელთან სახით დადგომა, გეგამ მოასწრო და სახელოში დამალული კალმით ორი სიტყვა მიაწერა კედელზე იმ ტექსტის ქვემოთ, სადაც თინას ნიშანი ეგულებოდა: „წერე ჰერე...“

მერე, როცა გრძელ დერეფანს მიუყვებოდა ბადრაგთან ერთად საკანში დასაბრუნებლად, გეგა ფიქრობდა იმ დღეზე, როცა ისევ წაიყვანდნენ დაკითხვაზე, რადგან სურდა, ისევ ენახა წარწერა კედელზე, სადაც ისევ გაჩნდებოდა ახალი სიტყვა, თუ ის ფრაზა მართლაც თინას დაწერილი იყო.

გეგა იყო ძალიან ბედნიერი იმ ღამეს, უფრო სწორად, იყო ძალიან დიდი ბედნიერების მოლოდინში და არ ეძინა, არ ეძინა როგორც მანამდე, მაგრამ ახლა უკვე სიხარულის მოლოდინში.

გამთენიისას, როცა გადაწყვიტა, რომ თინაზე აღარ ეფიქრა და როგორმე დაეძინა, თავისი გამომძიებელი გაიხსენა, მაგრამ კიდევ უფრო გაუჭირდა ჩაძინება, რადგან ვერაფრით ვერ მიხვდა, რატომ გამოუცვალეს გამომძიებელი ან საერთოდ როგორ ანდობდნენ ასეთი საქმის გამოძიებას ასეთ ახალგაზრდა, გამოუცდელ გამომძიებლებს. შეიძლება ეს სპეციალურად გააკეთეს, იფიქრეს, რომ თითქმის პატიმრის ასაკის გამომძიებელი უფრო ადვილად გამონახავდა საერთო ენას გეგასთან და უფრო ადვილად გამოტეხდა მას. თუმცა გეგას სათქმელი არაფერი ჰქონდა, უფრო სწორად, გამოძიებისათვის დასამალი არაფერი ჰქონდა და ყველაფერი მართლაც ისე მოხდა, როგორც მოხდა. თუმცა იმ ღამეს გეგამ ისიც იფიქრა, რომ საბჭოთა იმპერიაში ყველაფერი იქნებ მართლაც ძალიან ცუდად მუშაობდა, მათ შორის გამოძიებაც და მხოლოდ გამთენიისას ჩაეძინა...

ძმები

მათ გვარი ჰქონდათ შეცვლილი, მაგრამ შეცდომით, რადგან ქართველები სინამდვილეში ძველი იბერიელები ვართ და არა ივერიელები და ეს ცვლილება ახალბერძნულისა და რუსულის ბრალია; თუმცა ამ საქმესთან კავშირი არა აქვს და თვითმფრინავის პატიმრებს შორის ყველაზე მეტად მაინც პაატა ჭირვეულობდა, რომელიც საერთოდ არ პასუხობდა გამომძიებლის შეკითხვებს და თუ პასუხობდა, მხოლოდ ორიოდე სიტყვით და ძალიან ზოგადად. ის შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს, როცა ტრაპიდან ჩამოჰყავდათ და კაგებეს თანამშრომლებმა ცეცხლი გაუხსნეს. პაატა ივერიელი სპეცნაზის სისწრაფემ იხსნა. ჯავშანჟილეტები ჩამსხდარი სპეცნაზელები სხეულებით გადაეფარნენ პაატას. ეს მათი პრესტიჟის საქმე იყო, რადგან მათ ჩამოჰყავდათ უკვე დაპატიმრებული, ბორკილებდადებული ბანდიტი.

პაატა ივერიელი საკანშიც ძალიან ხშირად ფიქრობდა იმ სასიკვდილო განაჩენზე, რომელიც ხელისუფლებამ (სასამართლოს გარეშე), აეროპორტშივე გამოუტანა მას და ის შემთხვევით გადაურჩა ტრაპზევე დახვრეტას. პაატას ეჭვი ჰქონდა, რომ მისი მოკვლა იმიტომ უნდოდათ, რომ იგი კახა ეგონათ – ერთადერთი თავდამსხმელი, რომელიც ცოცხალი გადარჩა მათ შორის, ვინც მფრინავების კაბინაში შევიდა იარაღით ხელში და მას შეეძლო ხელისუფლებისათვის არასასურველი სიმართლე სცოდნოდა. თუმცა პაატა იმასაც ფიქრობდა ხოლმე, რომ მას ტრაპზე სწორედ იმიტომ კლავდნენ გამწარებული კაგებეშნიკები, რომ თვითმფრინავიდან გაშვებული მგზავრები სწორედ მას აღწერდნენ, როგორც ყველაზე აქტიურ ბოროტმოქმედს. იქნებ სხვა მიზეზიც არსებობდა, მაგრამ ფაქტი ის იყო, რომ პაატა ივერიელს, უკვე დაპატიმრებულსა და უიარაღოს, პირდაპირ ტრაპზე ჩამოყვანისას ესროდა რამდენიმე ადამიანი.

პაატას რომ დანამდვილებით სცოდნოდა, ძმის გამო კლავდნენ, იქნებ იმ ტყვიების გამო გულიც არ დასწყვეტოდა, რადგან ძმებს ერთმანეთი გაგიჟებით უყვარდათ. თვითმფრინავის გატაცებისა და საერთოდ, საბჭოთა კავშირიდან გაქცევის ვადა ერთი წლით სწორედ იმიტომ გადაწიეს, რომ უფროსმა კახა ივერიელმა უმცროსი ძმის, პაატას გარეშე საბჭოთა კავშირის დატოვებაზე კატეგორიული უარი თქვა.

გეგასაგან განსხვავებით, პაატას თავიდანვე ასაკოვანი, გამოცდილი და ცნობილი გამომძიებელი ჰკითხავდა, რომელიც, ვინ იცის მერამდენედ იწერდა პაატას სრულიად არაფრისმთქმელ, ძალიან ზოგად პასუხებს.

თუმცა იმ დღეს, როცა პაატას მოულოდნელად მუცლის არეში რაღაც ტკივილი დაეწყო, დაკითხვაზე გაყვანილს სრულიად სხვა, ახალგაზრდა გამომძიებელი დახვდა, რომელმაც კეთილგანწყობილი ღიმილით მიმართა პაატას და სიგარეტიც შესთავაზა.

პაატამ უსიტყვოდ მოუკიდა სიგარეტს და გააბოლა. სიჩუმე ისევ გამომძიებელმა დაარღვია:

– ერთი უბნელები ვართ.

– არ მახსოვხართ.

– საიდან გემახსოვრები, შენ და შენი ძმა მოსკოვში სწავლობდით, მე კი ვლადივასტოკში დავამთავრე.

– ალბათ საბავშვო ბაღში ერთად დავდიოდით, – გულწრფელად გაეღიმა პაატას.

– ერთი უბნელები ვართ და შეიძლება მართლა ერთი და იგივე ბაღში დავდიოდით, არადა ვიღაც ძმები რომ იყვნენ ჩემ ჯგუფში, ნაღდად მახსოვს.

– მე ბაღში არ დავდიოდი, ხახვიანი სუპი არ მიყვარდა.

– შენი ძმა?

– არც ჩემი ძმა, ჩემს ძმას პიურე არ უყვარდა.

– იმ დღეს კი ვნახე, მაგრამ პიურეზე არაფერი უთქვამს.

– ჩემს ძმას ხშირად ნახულობ?

– როცა მინდა. როცა საქმეს ჭირდება.

– როგორ არის?

– არა უშავს პატიმრის კვალობაზე, მეც ყურადღებას ვაქცევ ხოლმე, მაინც უბნელები ვართ, ხო აზზე ხარ.

– ისიც ამ შენობაშია?

– კარგად არის-მეთქი.

სინამდვილეში პაატამ ზუსტად ისიც არ იცოდა, თვითონ რომელ შენობაში იყო, მაგრამ ეჭვი ჰქონდა, რომ სასამართლომდე კაგებეს ციხეში იჯდა სხვა პოლიტპატიმრებივით, ეს შენობა კი ძველი ფოსტის უკან იდგა რუსთაველის პროსპექტზე. გარედან მას არაფერი ეტყობოდა, რადგან სინამდვილეში საკნები შენობაში კი არ ჰქონდათ კომუნისტებს, არამედ მიწისქვეშა ლაბირინთებში.

მეზობელი ფოსტა-ტელეგრაფის შენობა კი ზედ რუსთაველზე გამოდიოდა მოპირკეთებული ფასადით და ყოველთვის, როცა პაატა იმ შენობას ჩაუვლიდა ხოლმე, ჩერდებოდა კედელთან, რომელსაც ნატყვიარები ისევ ეტყობოდა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ამდენი წელი გასულიყო 1956 წლის 9 მარტის შემდეგ, როცა აქ უიარაღო ქართველი სტუდენტები დახვრიტეს.

– როდის ნახავ? – ჰკითხა პაატამ გამომძიებელს, თუმცა გულწრფელი პასუხის იმედი ნამდვილად არ ჰქონდა.

– რამე ხომ არ გინდა, რომ გადავცე?

– გადასცემ?

– რასაც გინდა, იმას გადავცემ.

– უთხარი, რომ მე კარგად ვარ, მეტი არაფერი.

– მეტი არაფერი?

– არაფერი.

– არ მოგერიდოს თუ რაღაცის თქმა გინდა, გადავცემ. ყველაფერს ვეტყვი, რასაც დამაბარებ.

– მეტი არაფერი-მეთქი.

– სასამართლომდე თუ რაღაცის თქმა გინდა შენი ძმისთვის ან გაფრთხილება, ხო აზრზე ხარ, რასაც გეუბნები. შინაურულად გეუბნები, ძმაო.

– ის გადაეცი, რაც გითხარი. მეტი არაფერი.

– ისე არ გამოვიდეს-მეთქი, რომ სასამართლოზე ერთი ერთს ამბობდეს და მეორე მეორეს, თქვენთვის უკეთესია, ხო ხვდები.

– სასამართლოზე ახალი ვინ რა უნდა თქვას. რაც იყო, ისედაც ყველამ იცის და რაც მოხდა, იმის მეტი არც არაფერი ყოფილა.

– ყველას ეგრე ეგონა, მაგრამ ახლა გაირკვა, რომ თქვენი მეთაური ვიღაც ბერი ყოფილა...

– ვინ ბერი?

– მამა თევდორეო.

– საიდან მოიგონეთ?

– თვითონ აღიარა.

– წამებით?

– გეკადრება? თანაც წამებას რა აზრი აქვს, ახლა იტყვის და მერე სასამართლოზე გადათქვამს და ეგ მაგრა არ გვაწყობს.

– აბა, თვითონ როგორ აღიარა, თვითმფრინავში საერთოდ არ მჯდარა და არც არაფერი იცოდა.

– ჩვენც ეგ გვიკვირს და თანაც ძალიან მაგრად. კიდევ იცი რა მიკვირს? ამას ეხლა უკვე შინაურულად გეუბნები, თვითონ მონასტერში როგორ დარჩა და თქვენ კიდე სასაკლაოზე გაგიშვათ.

– მაგან არაფერი იცოდა თვითმფრინავის შესახებ.

– არ უთხარით და იმიტომ.

– რომ გვეთქვა, მაინც წინააღმდეგი იქნებოდა.

– რა ვიცი ძმაო, ახლა კი სულ სხვა რაღაცეებს ამბობს.

– რას ამბობს?

– ორგანიზატორი მე ვიყავიო და თავის თავზე ტყუილად ვინ აიღებს ასეთ საქმეს?

– ტყუის.

– რატომ?

– ჩვენი გადარჩენა უნდა.

– ესე იგი, მართლა ეგ იყო ორგანიზატორი.

– იმ ბერს ჩვენს საქმესთან კავშირი არა აქვს და თვითმფრინავშიც საერთოდ არ მჯდარა.

– თვითონ ამბობს, ყველაფერი მე დავგეგმეო, მაგრამ...

– მაგრამ რა?

– ერთმა ვინმემ მაინც რომ იგივე დაადასტუროს სასამართლოზე...

– ასეთ ვინმეს ვერ მოძებნით, რადგან ის ბერი საერთოდ თვითმფრინავის გატაცების წინააღმდეგი იყო.

– აბა, არაფერი იცოდაო? იმიტომ გეუბნები, ძმაო, უბნელები ვართ და თქვენი დახმარება მინდა, უბანში ხომ უნდა გავიარო, შვილები მეზრდება...

– ის ბერი არაფერი შუაშია და მეც ვერაფერში დაგეხმარებით.

– შენ თავს დაეხმარე, ძმაო, ვინ გეუბნება ჩვენ დაგვეხმარეო.

– წავალ.

– წადი ძმაო და იფიქრე, მე აგერ ვარ და ყველაფერში დაგეხმარები, ახლობლები ვართ და მევალება კიდეც, რამე თუ დაგჭირდება, არ მოგერიდოს.

– რა უნდა დამჭირდეს.

– რა ვიცი, მაინც კაცები ვართ და სადარდებელია, ტკივილია, ათასი საფიქრალი გაქვს. მეც ისე ვიღლები ხოლმე ზოგჯერ, რომ რაღაცა თუ არ მივაშველე ჩემს თავს, მაგრა მიჭირს, აქეთ სამსახური, იქით ოჯახი, სანერვიულო და ათასი პრობლემა. ჩემზე ვინ იტყვის ნარკომანიაო, მაგრამ ზოგჯერ მაგის გარეშე არც გამოდის, ძმაო.

– მე არაფერი მჭირდება.

– ვიცი, ძმაო, უბრალოდ თქვენმა ექიმმა მითხრა შენზე, რაღაც ტკივილები აქვსო და მეთქი გამაყუჩებლის პონტში რაღაცას ვიჩალიჩებდი შენთვის.

– მე არაფერი მჭირდება.

– როგორც გინდა, ძმაო, მე როგორც ახლობელმა, ისე გითხარი.

– მე არაფერი მჭირდება.

პაატა წამოდგა, გაელიმა და გამომძიებელმაც ბადრაგს დაუძახა. როცა ოთახიდან გაჰყავდათ, გამომძიებელი ისევ ეუბნებოდა რაღაცას, მაგრამ პაატა აღარ უსმენდა, რადგან ტკივილზე ფიქრობდა, რომელიც აწუხებდა. აწუხებდა რაღაც უცნაური ტკივილი გუშინდელი სადილის შემდეგ, თუკი იმას, რასაც აჭმევდნენ, სადილი ერქვა. მაგრამ პაატა სხვა რამეზე ფიქრობდა. ფიქრობდა იმაზე, თუ საიდან უნდა სცოდნოდა გამომძიებელს მისი ტკივილების შესახებ, როცა პაატას არავისთვის არაფერი უთქვამს.

საკანში დაბრუნებულმა კი მართლა გადაწყვიტა ექიმი მოეთხოვა, რომელსაც, რასაკვირველია, ტკივილგამაყუჩებელი არაფერი ჰქონდა და მით უმეტეს, ამ ტკივილის...

როცა გეგას უთხრეს, რომ ისევ დაკითხვაზე უნდა გაეყვანათ, ისეთი ხალისით გაემზადა, რომ ბადრაგს გულწრფელად გაუკვირდა. დერეფანსაც ისეთი აჩქარებული ნაბიჯით მიუყვებოდა, რომ ბადრაგმა რამდენჯერმე შენიშვნაც კი მისცა, მაგრამ გეგა ახლა მხოლოდ იმ კედელზე ფიქრობდა, რომელზეც თინას პასუხი ეგულებოდა გამომძიებლის ოთახის შესასვლელთან და როცა იმ კედელთან დადგომა უბრძანეს, ისე აუჩქარდა გული, როგორც მაშინ, იმ პირველ პაემანზე.

რამდენიმე დღის წინ მის მიერ დაწერილი ორი ინგლისური სიტყვის გვერდით პატარა ასოებით, მაგრამ გარკვევით ეწერა სწორედ იმ სტროფის დასაწყისი „ვეფხისტყაოსნიდან“, რომელიც ერთხელ თინამ წაუკითხა გეგას – „ციხეს ვზი...“

და გეგამ იქვე, როგორც პასუხი, საჩქაროდ მიაწერა გაგრძელება – „ეზომ მაღალსა...“

თუმცა ისინი იყვნენ არა რომელიმე მაღალი ციხის, არამედ კაგებეს ჯურღმულების პატიმრები, მაგრამ გეგასთვის ახლა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. არც ახლა და არც მერე, უკვე მერამდენე დაკითხვაზე, უკვე მერამდენედ გამოცვლილ, ამჯერად უკვე ასაკოვან გამომძიებელს საერთოდ არ უსმენდა. უფრო სწორად, ვერ უსმენდა გამომძიებელს და ფიქრობდა იმ ღამეზე, როცა ზღვაზე ყოფნისას თინამ მასპინძლების სახლში წიგნების თაროდან „ვეფხისტყაოსანი“ გადმოიღო.

ისინი იწვნენ ძალიან ახლოს ფანჯარასთან, რომლიდანაც ჩანდა ზღვა და იმ ღამეს მთვარე იყო ისეთი დიდი და ნათელი, რომ წიგნის წასაკითხად სინათლის ანთება არც დასჭირვებიათ.

და ეს იყო თინას იდეა:

– თვალებდახუჭული გადავშლი „ვეფხისტყაოსანს“ და რა ადგილიც შემხვდება, იმას წავიკითხავ. მერე შენ დახუჭე თვალები, დაადე თითი და შენ წაიკითხეო. და გეგამ ზუსტად გაიხსენა გამომძიებლის ოთახში, რომ თინას მაშინ, პირველივე გადაშლაზე, სწორედ ეს სტროფი შეხვდა: „ციხეს ვზი ეზომ მაღალსა...“

თუმცა გამომძიებელი ვერაფრით ხვდებოდა, რატომ უნდა ჰქონოდა ასეთი ბედნიერი სახე პატიმარს, რომელსაც ყველაზე მძიმე, სასიკვდილო განაჩენი ელოდა. გამომძიებელმა არც ის იცოდა, რომ გეგას ცხოვრებაში ეს იყო ყველაზე ბედნიერი დღე, რადგან ამ დღეს გეგა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ თინა ცოცხალი იყო, იყო კარგად და რაც მთავარია, არ იყო მარტო. ისინი იყვნენ ორნი: თინა და ჯერ არდაბადებული პატარა, რომელიც თინასთან ერთად ცხოვრობდა თბილისის კაგებეს ციხეში. გეგამ არ იცოდა, ზუსტად რომელ საკანში ცხოვრობდნენ მისი ცოლი და ჯერ არდაბადებული შვილი, მაგრამ მისთვის მთავარი იყო, რომ ისინი ცოცხლები

იყვნენ. გამომძიებლის ოთახშიც მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო დაკითხვა და როცა ისევ დააყენებდნენ იმ კედელთან, კიდევ ორი სიტყვის დაწერა მოესწრო: „ჩვენი შვილი“ ან „მოკითხვა პატარას“ ან „ბავშვს გაუფრთხილდი“...

გეგა იმაზეც ფიქრობდა, თუ როგორ ეფერებოდა თინა ჯერ არდაბადებულ შვილს, როგორ ეხებოდა ულამაზესი თითებით საკუთარ მუცელს, სადაც უკვე ცხოვრობდა ახალი ადამიანი...

გამომძიებელმა კი გადაწყვიტა, რომ პატიმარი ისეთ კარგ ხასიათზე იყო იმ დღეს, უკეთეს მომენტს მთავარი სათქმელისთვის ვერც ინატრებდა. იმ გამომძიებელს სინამდვილეში, ალბათ საერთოდ არც ჰქონდა რამე ნატვრა, მაგრამ ჰქონდა დავალება, რომელიც უნდა შეესრულებინა და ამიტომაც გეგას პირდაპირ მიმართა:

– სასამართლოზე თქვენ უნდა დაადასტუროთ, რომ თვითმფრინავის გატაცებას ის ბერი ხელმძღვანელობდა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ გატაცების ორგანიზატორი სწორედ ის იყო.

– გამოძიებას მე უკვე ვუთხარი, რომ ეგ აბსურდია და შეუძლებელია, ადამიანი იყოს იმის ხელმძღვანელი, რისი წინააღმდეგიც კატეგორიულად იყო და არის.

– გამოძიებამ ისედაც ყველაფერი იცის და მისი ორგანიზატორობა უკვე დამტკიცებულია ძალიან მყარი ფაქტებით და არგუმენტებით. თანაც, ის ბერი ამბობს, რომ ყველაფერს თვითონ ხელმძღვანელობდა.

– აბა, ჩემგან რა გინდათ?

– სასამართლოსთვის აუცილებელია, რომ რომელიმე თქვენგანმაც იგივე დაადასტუროს.

– რატომ მე? მე მას საერთოდ არ ვიცნობდი.

– ამას მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის. მთავარია, რომელიმე თქვენგანმა დაადასტუროს, რომ ორგანიზატორი სწორედ ბერი იყო და ამის გაკეთება თქვენთვის ყველაზე ადვილია.

– რატომ ჩემთვის?

– იმიტომ, რომ თქვენი ცოლი ფეხმძიმედ არის და საბჭოთა კანონებით კი ორსული ქალის პატიმრობა არ შეიძლება.

– კანონი არასოდეს დაგიცავთ და ახლა გაგახსენდათ?

– ჩვენ ყოველთვის ვიცავდით კანონს და ახლაც დავიცავთ.

– ესე იგი, ჩემს მეუღლეს გაათავისუფლებთ?

– ტერორისტებს ჩვენ არ ვათავისუფლებთ!

– ვერ გავიგე, რისი თქმა გინდათ?

– მგონი გასაგებად გითხარით, მაგრამ ისედაც უნდა გესმოდეთ, რომ თქვენი მომავალი შვილის ბედი სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ჩვენებას მისცემთ სასამართლოს სწორედ თქვენ...

– თუ იმას არ ვიტყვი, რაც თქვენ გინდათ, რა იქნება?

– არაფერი, შვილო, შენი ნებაა რას იტყვი, მე მხოლოდ მამა-შვილურად გირჩიე, რომ იმ ბერის ორგანიზატორობა დაადასტურო და...

– და თუ არ დავადასტურებ, რა მოხდება?

– ხომ გითხარი უკვე, რომ არაფერი მოხდება. იმ ბერს თქვენი ბანდიტური ჯგუფის მეთაურობა ისედაც დაუმტკიცდება, მაგრამ შენი ჩვენება დამატებითი დახმარება იქნებოდა ჩვენთვის.

– თუ ვერ დაგეხმარებით?

– მაშინ ვერც ჩვენ დაგეხმარებით და ფეხმძიმე ქალს რომ ციხეში განსაკუთრებული ზრუნვა სჭირდება, მე მგონი ისედაც უნდა გესმოდეს.

– კი მაგრამ, ხომ კარგად არიან?

– ჯერჯერობით კარგად არიან, მაგრამ ციხის პირობები ხომ იცით, როგორია. ყოველ წუთს შეიძლება ისეთი რაღაც მოხდეს, რომ...

– რომ ჩემმა ცოლმა შეიძლება ბავშვი დაკარგოს?

– მე ეს არ მითქვამს, მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ტერორისტს და თვითმფრინავის გამტაცებელს, თუნდაც ფეხმძიმე ქალს, ციხიდან არავინ გაუშვებს.

– მაგრამ ბავშვი ხომ არაფერში დამნაშავე არ არის, ის ჯერ არც დაბადებულა.

– მეც მაგას გეუბნები, შვილო, რომ მათი ბედი და მომავალი შენზეა დამოკიდებული.

– თუ ჩემი ცოლი და შვილი კარგად იქნებიან, ყველაფერს ვიტყვი, რაც გამოძიებას და სასამართლოს დასჭირდება.

– იმიტომ, რომ ჭკვიანი კაცი ხარ და იმ ნაძირალა ბერს რატომ უნდა შეეწიროს ამდენი ადამიანი?!

გახარებულმა გამომძიებელმა კიდევ რამდენიმე ფრაზა თქვა, მაგრამ გეგას აღარ მოუსმენია, რადგან ის ახლა მხოლოდ იმ კედელზე ფიქრობდა, რომელზეც ორი სიტყვის მიწერა კიდევ უნდა მოესწრო და მაინც მოასწრო, თანაც სამი სიტყვის:

„გაუფრთხილდი ჩვენს პატარას...“

საკანში დაბრუნების შემდეგ კი ფიქრობდა გამომძიებელზე, რომელსაც ზუსტად იმ ჩვენებას მისცემდა, რომელსაც მისგან ითხოვდნენ და ბავშვს გადაარჩენდა. მისთვის მთავარი ახლა პატარა

ადამიანის დაბადება იყო, რომელიც უნდა გაჩენილიყო სასამართლომდე, მერე კი გეგა იტყოდა სიმართლეს, ყველაფერს იტყოდა სასამართლოზე მხოლოდ სიმართლეს, რადგან მას სხვაგვარად არ შეეძლო. მას არ შეეძლო დაედასტურებინა ის, რასაც მისგან ითხოვდნენ, რადგან ეს იყო ტყუილი და ის ბერი კი – სრულიად უდანაშაულო, რომელიც თვითმფრინავში საერთოდ არ მჯდარა. ამიტომაც ის იტყოდა მხოლოდ სიმართლეს, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, მისი შვილი რომ ხმაურით დაიბადებოდა თბილისის კაგებეს ციხის ერთ-ერთ საკანში. ის დაიბადებოდა ისე, როგორც იბადებიან პატარები, როცა პირველად ევსებათ ჰაერით ფილტვები და ჯერ არ იციან, რომ ეს მხოლოდ პირველი ტკივილია.

გეგამაც არ იცოდა, რომ ისინი, ვისაც განაჩენი გამოჰქონდა, გაცილებით სასტიკები იყვნენ, ვიდრე ამის წარმოდგენა მას შეეძლო, თუმცა იმ პირველი განაჩენის წარმოდგენა იმ უსასტიკეს ქვეყანაშიც კი, არავის შეეძლო...

www.ChiaturaINFO.GE

განაჩენი

პირველი განაჩენი სასამართლოს დაწყებამდე გამოიტანეს და იმ ღამესვე აღასრულეს – სულ რამდენიმე დღის შემდეგ, როცა საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ მათთვის სასარგებლო ჩვენების მიცემა სასამართლოზე გეგას არ შეეძლო.

მათთვის გეგას ჩვენებაზე მნიშვნელოვანი იყო ფეხმძიმე თინას პრობლემა, რადგან ფეხმძიმე ქალის გასამართლება ზედმეტ სიბრალულსა და თანაგრძნობას გამოიწვევდა საზოგადოებაში თვითმფრინავის გამტაცებლების მიმართ, ამის დაშვება კი საბჭოთა ხელისუფლებას ნამდვილად არ შეეძლო. ცეკაში იმაზეც იფიქრეს, რომ თუ ბავშვი სასამართლომდე გაჩნდებოდა, ესეც დამატებითი პრობლემების საფუძველი გახდებოდა ხელისუფლებისთვის. ამიტომაც გადაწყვეტილება მალე მიიღეს და იმ ღამესვე აღასრულეს კიდეც პირველი საზარელი განაჩენი.

თინა არ გაუღვიძებიათ. მათთვის სულერთი იყო, გაიღვიძებდა თუ არა ფეხმძიმე პატიმარი, რადგან მაინც უნდა დაეძინებინათ საძილე საშუალებით. ამიტომაც, როცა თინამ გაიღვიძა, თეთრხალათიანებმა არც შეიმჩნიეს მისი გაფართოებული, შიშისა და კითხვის ნიშნებით სავსე თვალები და ძალიან სწრაფად გაუკეთეს ნემსი ვენაში ცივი გონებითა და ცივი ხელებით. თინაც ძალიან სწრაფად მიხვდა, რომ ეს ადამიანები სწორედ იმ ბოროტების ჩასადენად იყვნენ ახლა აქ, რომელზეც მას უკვე ნაფიქრი ჰქონდა, მაგრამ რამდენჯერაც იფიქრა ამაზე, იმდენჯერვე საკუთარ თავზე გაბრაზდა, რომ ადამიანებზე ასეთი ცუდი წარმოდგენისა იყო.

თუმცა ისინი არ იყვნენ ადამიანები, ისინი იყვნენ ჩვეულებრივი ცივსისხლიანი მკვლელები, რომელთა გულებსა და გონებას ოდნავაც არ შეხებია თინას განწირული ხმა და მუდარა, არ მოეკლათ პატარა, რომელიც ჯერ დაბადებულიც არ იყო. თინა იბრძოდა ბოლომდე, უკანასკნელ წამამდე, სანამ გრძნობას დაკარგავდა. სანამ შეეძლო, ემუდარებოდა ყველას, ცალ-ცალკე და ერთად, ვინც მის საკანში იყო იმ ღამეს, არ მოეკლათ მისი შვილი. მაგრამ წამალი, რომელიც მას შემოსვლისთანავე გაუკეთეს, იყო ძალიან ძლიერმოქმედი და მკვლელებმა რამდენჯერმე გაკვირვებულებმაც კი გადახედეს ერთმანეთს, როგორ შეეძლო ამ ახალგაზრდა ქალს ამდენ ხანს კიდევ ებრძოლა და წინააღმდეგობა გაეწია მათთვის. თუმცა ბოლოს თინამ თვალები დახუჭა, უკვე ძალაგამოცლილმა და დამარცხებულმა. ის უკვე ველარაფერს გრძნობდა, ველარაფერს ხედავდა, როცა მისი სხეულიდან რამდენიმე თვის ნაყოფს ჰკვეთდნენ.

ერთადერთი, რაც მას ამ სამყაროსთან აკავშირებდა, ცრემლი იყო, უფრო სწორად ცრემლები, რომლებიც თინას სახეს უსველებდნენ და თინა ტიროდა, ღრმა ძილში იყო და მაინც ტიროდა...

ალბათ დედამიწაზე არ იყო პატიმარი, რომელსაც გეგაზე მეტად უხაროდა დაკითხვაზე გაყვანა და გეგამ აღმოაჩინა, რომ ის მიდიოდა პაემანზე, დაკითხვაზე მიდიოდა როგორც პაემანზე და ის კედელი, რომელზეც თინას სიტყვებს კითხულობდა ხოლმე, მისთვის ყველაზე ძვირფასი ადგილი იყო მთელ სამყაროში.

მაგრამ იმ დღეს იმ კედელზე თინას ახალი სიტყვები არ დახვდა გეგას და გეგამ იფიქრა, რომ თინა დაკითხვაზე აღარ დაჰყავდათ, ან უბრალოდ თინამ ველარ მოასწრო თუნდაც ერთი სიტყვის დაწერა და გეგამ იმ დღეს კედელზე თინასთვის მხოლოდ კითხვა დატოვა: „როგორ არის პატარა?“...

მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, როცა გეგა ისევ გაიყვანეს დაკითხვაზე და გამომძიებლის

ოთახში შეყვანამდე იმ კედელთან სახით დააყენეს, სადაც თინას პასუხი ეგულებოდა, თინასაგან ისევ არაფერი იყო.

გეგამ ისევ გაიფიქრა, რომ ამის მიზეზი შეიძლება ბევრი რამე ყოფილიყო, მათ შორის ძალიან მარტივიც – მაგალითად თინა ახლა სხვა ოთახში დაჰყავდათ დაკითხვაზე და ამიტომაც ვერ პასუხობდა ქმრის ნაკაწრ წერილებს. მაგრამ გეგამ მაინც იგრძნო უცნაური სისუსტე მუხლებში და სისველე საფეთქლებთან.

როცა გამომძიებლის ოთახში შეიყვანეს, გეგამ წყალი მოითხოვა და იმაზე დაიწყო ფიქრი, როგორ გამოეცნო, რა მოხდა სინამდვილეში, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა და გადაწყვიტა, გამომძიებლისთვის პირდაპირ ეკითხა თინას ამბავი. იმ ასაკოვანი გამომძიებლის გულწრფელობის იმედი ნამდვილად არ ჰქონდა, მაგრამ დასაკარგიც ამ შემთხვევაშიც არაფერი იყო.

გეგამ წყალი დალია და შეეცადა, რაც შეიძლება მშვიდი ყოფილიყო და გამომძიებელსაც საკმაოდ მშვიდად ჰკითხა ის, რაც ყველაზე მეტად აინტერესებდა ახლა:

– თინა როგორ არის?

– თქვენი მეუღლე კარგად არის.

– თინას გამომძიებელიც თქვენ ხართ?

– თქვენს ცოლს ჩემი კოლეგები დაჰკითხავენ.

– აბა, საიდან იცით, რომ კარგად არის.

– რაც ვიცი, იმას გეუბნები, შვილო.

– შვილები გყავთ?

– კარგი შვილები მყავს.

– ჩვენგან განსხვავებით? შეყვარებულისთვის წერილი თუ მიგიწერიათ?

– მგონი აქ შეკითხვებს მე ვიძლევი.

– ადრე თუ გვიან პასუხების გაცემა თქვენც მოგიწევთ.

– მე მეუბნები ამას, შვილო?

– თქვენ ყველას.

– გვემუქრები?

– მე ალბათ ვეღარ, მაგრამ სხვები კი ალბათ ყველას მოგთხოვენ პასუხს.

– რისთვის?

– ყველაფრისთვის.

– ჯერ თქვენ აგეთ პასუხი იმისთვის, რაც ჩაიდინეთ. ამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირეთ და თავს დამნაშავედაც არ თვლით.

– მე არავინ მომიკლავს, მაგრამ თავს დამნაშავედ მაინც ვთვლი.

– და რაში გამოიხატება? გამოძიებას არ ეხმარები, სხვებს არ ასახელებ.

– ხომ გითხარით უკვე, რომ ყველაფერს ვიტყვი, რაც საჭიროა თუ ჩემი ცოლი და შვილი კარგად იქნებიან. იმ ბერზე ჩვენებაც უკვე მოგეცით.

– მე კი უკვე გითხარი, რომ თვითმფრინავის გამტაცებელსა და ტერორისტს, თუნდაც ფეხმძიმე ქალს, სახლში არავინ გაუშვებს.

– ეს არც მითხოვია თქვენთვის, მე იმიტომ დავთანხმდი თქვენთვის სასურველი ჩვენების მიცემაზე, რომ ჩემი შვილი დაიბადოს, ჩემი შვილი მაინც დარჩეს, თუ მე დახვრეტას მომისჯიან.

– ნუ გეშინია, შვილო, დახვრეტას არ მოგისჯიან, თუ ყველაფერს აღიარებ, დახვრეტის არ შეგეშინდეს.

– დახვრეტის და სიკვდილის არ მეშინია.

– აბა, რისი გეშინია?

– ჩემი შვილის გამო მეშინია. მეშინია, არ მოკლან...

– ჯერ არ დაბადებულა და როგორ მოკლავენ?

– მაგრამ ხომ დაიბადება, ციხეში გაჩენილ ბავშვს კი ისეთი ზრუნვა და ყურადღება სჭირდება...

– თუ დაიბადება, მოუვლიან კიდეც და შენ მაგაზე არ იდარდო

– თუ დაიბადება? რას ნიშნავს თუ დაიბადება?

– შვილო, შენც ხომ კარგად გესმის, რომ ციხის პირობები ფეხმძიმე ქალისთვის ძალიან ცუდია.

– მაგრამ თქვენ ხომ დამპირდით და მე ხომ ჩვენება მოგეცით. რაც თქვენ გინდოდათ, ის დავწერე.

– ძალიანაც კარგი, რომ დაწერე.

– მაგრამ სასამართლოზე რომ ჩვენება შევცვალო?

– მაგას სასამართლოსთვის მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ის ჩვენებაა, რაც გამოძიების უკვე მიეცი. საბჭოთა კანონებით ასეა.

– როგორ?

– ჯერ კანონები გესწავლათ, შვილო, და მერე გაგეტაცათ თვითმფრინავი...

– და ჩემი შვილი?

– ხომ გითხარი, რომ ტერორისტს, თუნდაც ფეხმძიმე ქალს, სახლში ვერ გავუშვებთ-მეთქი.

– მაგრამ აქ, ციხეში ხომ შეუძლია, რომ იმშობიაროს.

– შეუძლია, მაგრამ...

– მაგრამ რა?

– მაგრამ ხომ გითხარი, შვილო, და მერამდენედ გეუბნები, რომ ციხე არ არის ორსულების ადგილი და შეიძლება ყოველ წუთს მუცელი მოეშალოს. შვილის გაჩენა თუ უნდოდა შენს ცოლს, სახლში უნდა დარჩენილიყო...

გამომძიებელმა კიდევ რაღაც უთხრა გეგას, მაგრამ გეგას აღარ მოუსმენია და გამეტებით დაარტყა მუშტი გამომძიებელს, რომელიც მოწყვეტით დაეცა იატაკზე და გეგამ წამოდგომა აღარ აცალა, ზემოდან დაახტა და ყელშიმოჭერილი ორივე ხელით შეეცადა მის დახრჩობას:

– შენი დედა მოვტყან! ხომ დამპირდი, რომ ბავშვზე იზრუნებდნენ?! თქვენი დედებს შევეცი! თქვე მკვლელებო!..

მერე საკანში, როცა გეგამ თვალები გაახილა და სისხლი მოიწმინდა, მაშინაც ვერ გაიხსენა და ვერაფრით მიხვდა, საიდან გაჩნდნენ ასე სწრაფად იმ გამომძიებლის ოთახში ისინი, ვინც გეგას ჯერ მუშტებით სცემდნენ და მერე წიხლებით და ურტყამდნენ მანამ, სანამ გეგამ გრძნობა არ დაკარგა.

როცა გონს მოვიდა სისხლით მოთხვრილ საკანში, საკუთარი სისხლის გემო პირშიც იგრძნო და გადმოფურთხებასაც შეეცადა, მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა, ისევე როგორც საერთოდ განძრევა, რადგან გეგას ყველაფერი სტკიოდა, მთელი სხეული, და ახსოვდა გამომძიებლის ფრაზაც:

– სახეზე არ დაემჩნეს, ქვემოთ ურტყით!

ახსოვდა ისიც, რომ ძალიან გაუკვირდა იმ გამომძიებლის აქტიურობა, რომელიც ორიოდე წუთის წინ ხროტინებდა და ძლივს სუნთქავდა.

თუმცა ეს მხოლოდ აბსურდული წამი იყო მის გონებაში, რაღაც იდეაფიქსის მაგვარი მოულოდნელობა და ერთადერთი, რაზეც სინამდვილეში ოცნებობდა, ამ საშინელების დამთავრება იყო. თუმცა ეს საშინელება მანამ გაგრძელდა, სანამ ისინი არ დაიღალნენ, ვისაც უბრალოდ ძალიან, ძალიან სიამოვნებდა პატიმრის ცემა...

იმ დღის შემდეგ გეგა დაკითხვაზე აღარ გაუყვანიათ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მისი ჩვენებები აღარ სჭირდებოდათ სასამართლომდე და გეგაც მოუთმენლად ელოდა სასამართლო პროცესს, სადაც თინას ნახავდა, მაგრამ სწორედ ამიტომ იმავდროულად ეშინოდა კიდეც ამ შეხვედრის. ეშინოდა სიმართლის, რომლისთვისაც თვალი უნდა გაესწორებინა – თინა აღარ იყო

ფეხმძიმედ, გეგას კი არ სურდა ამაში საბოლოოდ დარწმუნება, რადგან ჯერ კიდევ არსებობდა იმედი, ძალიან პატარა, მაგრამ მაინც იმედი.

სასამართლოს ელოდა სხვა მიზეზის გამოც – ნახავდა დედას, რომლის შესახებაც არაფერი იცოდა დღიდან თვითმფრინავის გატაცებისა და თუ მოახერხებდა, აუხსნიდა ყველაფერს, ეტყოდა, რომ მის დატოვებას არ აპირებდა, მიდიოდა იმიტომ, რომ მერე დედაც თან წაეყვანა ამ საშინელი ქვეყნიდან.

უნდოდა მეგობრების ნახვაც, ვინც მაშინ მასთან ერთად ისხდნენ თვითმფრინავში და მათ შესახებაც არაფერი იცოდა დაპატიმრების შემდეგ.

ფიქრობდა იმ მეგობრებზეც, რომლებიც მასთან ერთად არ ყოფილან იმ თვითმფრინავში, მაგრამ ეჭვი ჰქონდა, რომ მათაც აწუხებდნენ დაკითხვებით და მართალიც იყო.

დაკითხვებზე სხვებიც დაჰყავდათ, მაგრამ გამოძიება ყველაზე მეტად მაინც ირაკლი ჩარკვიანით დაინტერესდა, რომელიც გეგას ახლო მეგობარი იყო და წესით თვითმფრინავის გატაცების შესახებ სხვებზე მეტი უნდოდა სცოდნოდა. მოსკოვიდან ჩამოსული რუსი გამომძიებელი თავიდან ფიქრობდა, გეგამ ირაკლის იმიტომ არ შესთავაზა მათთან ერთად გაფრენა, რომ ირაკლის ბაბუა კანდიდ ჩარკვიანი საქართველოს ცეკას ყოფილი მდივანი იყო. თუმცა რუსი გამომძიებელი ირაკლის პირველივე დაკითხვის შემდეგ მიხვდა, რომ ზემოთქმულის მიზეზი სულ სხვა იყო. ამ უცნაურმა ბიჭმა თავიდანვე გააკვირვა რუსი გამომძიებელი, რადგან მის შეკითხვებს მხოლოდ ქართულად პასუხობდა.

დაკითხვებზე ირაკლი ძალიან მშვიდი იყო და კაგებეს ქართველი თანამშრომელი ირაკლის პასუხებს გაკვირვებული უთარგმნიდა რუს გამომძიებელს. ქართველ კაგებეშნიკს გულწრფელად უკვირდა, როგორ შეიძლებოდა კანდიდ ჩარკვიანის შვილიშვილს რუსული არ სცოდნოდა, მაგრამ რუსი გამომძიებელი მაშინვე მიხვდა, რომ ირაკლი ჩარკვიანმა რუსულიც მშვენივრად იცოდა (მთარგმნელისაგან განსხვავებით) და სხვა ენებიც.

რუსი გამომძიებელი იმასაც მიხვდა, რომ ამ უცნაური ახალგაზრდა ქართველის სახით იგი ქართველების ახალ, იმ თაობას ელაპარაკებოდა, რომელიც მშობლებისაგან განსხვავებით, აღარ იქნებოდა მორჩილი, კონფორმისტი და შემგუებელი. ამიტომაც რუს გამომძიებელს არ გაჰკვირვებია აშკარა ანტისაბჭოური ინტონაციები ირაკლის პასუხებში და პირიქით, ამან უფრო წააქეზა რუსი გამომძიებელი იმის დასადგენად, თუ რატომ არ გაჰყვა იმ თვითმფრინავს ირაკლი ჩარკვიანი. ამიტომაც იმ დღეს დაკითხვაზე მიყვანილ გეგას უახლოეს მეგობარს რუსმა გამომძიებელმა პირდაპირ ჰკითხა ის, რაც ყველაზე მეტად აინტერესებდა:

– თქვენ რატომ არ შემოგთავაზეს მათთან ერთად გაფრენა?

– ვინ?

– თუნდაც გეგამ, ის ხომ თქვენი უახლოესი მეგობარი იყო?

– რატომ – იყო, გეგა ახლაც ჩემი უახლოესი მეგობარია.

– მაპატიეთ, ცუდად გამომივიდა. იმედია ისეთ რამეს არ იგულისხმებთ, რისი თქმაც არ მინდოდა.

– რისი თქმა გინდოდათ?

– იმის თქმა მინდოდა, რომ ჩემთვის მართლა გაუგებარია, რატომ არაფერი გითხრათ გეგამ, ის ხომ თქვენ კარგად გიცნობდათ. მაპატიეთ, კარგად გიცნობთ.

– კარგად რომ მიცნობს, იმიტომაც არაფერი მითხრა. იცოდა, რომ უარს ვეტყოდი.

– რატომ, დავიჯერო ისე მოგწონთ საბჭოთა კავშირი, რომ ვერ უღალატებდით?

– მგონი თქვენთან საუბრისას არცერთხელ არ გამომიხატავს ჩემი სიმპატიები საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, მაგრამ დისიდენტიც არ ვარ და არც მინდა, რომ ვიყო.

– მეც სწორედ ეგ მაინტერესებს და მაგის გაგება მსურს, რა პრინციპით შეარჩიეს თვითმფრინავის გამტაცებლები და თქვენ, როგორც გეგას უახლესი მეგობარი, რატომ არ აღმოჩნდით მათ შორის.

– ხომ გითხარით უკვე, გეგამ იცოდა, რომ მე უარს ვეტყოდი.

– რატომ, გაფრენა არ გინდოდათ?

– გაფრენა ყოველთვის მინდოდა, ახლაც მინდა და გავფრინდები კიდეც, ოღონდ არა თვითმფრინავით.

რუსი გამომძიებელი ცოტა ხანს დუმდა, ირაკლის პასუხზე ფიქრობდა, მაგრამ მაინც ვერ მიხვდა, რისი თქმა უნდოდა ამ ახალგაზრდა ქართველ კაცს და ამიტომაც ბოლო შეკითხვა მხოლოდ იმიტომ დაუსვა ირაკლის, რომ უხერხული სიჩუმე დაერღვია:

– რომ ვერ გაფრინდეთ?

– მაშინ ზღვას გადავცურავ.

– რას?

– ზღვას.

– როგორ?

– სიმღერით.

– ხუმრობთ?

– არ ვხუმრობ.

– დაკითხვის ოქმშიც ასე შევიტანოთ?

– კი, ბატონო.

– მაინც როგორ ჩავწეროთ?

– სიტყვასიტყვით.

– მაინც როგორ?

– მე გადავცურავ ზღვას...

იმ დღეს, დაკითხვიდან დაბრუნებულ ირაკლი ჩარკვიანს პირველად გაუჩნდა ეჭვი, რომ გეგას და თვითმფრინავის დანარჩენ გამტაცებლებს ალბათ დახვრეტას მიუსჯიდნენ და ეს ვარაუდი თავის მეგობრებსაც გაუზიარა – მათ, ვინც გეგას მეგობრებიც იყვნენ.

თუმცა არა მარტო გეგას მეგობრებს, არამედ ყველას მაშინდელ თბილისსა და მთელ საქართველოში, მაინც ეგონა, რომ თვითმფრინავის გამტაცებლებს სიკვდილისათვის მაინც არ გაიმეტებდნენ.

მათი მოტივაცია იყო ლოგიკური – თვითმფრინავის გამტაცებლები არ იყვნენ მკვლელები და ამიტომაც მათი დახვრეტა ზედმეტი სისასტიკე იქნებოდა ხელისუფლების მხრიდან. ამიტომაც ირაკლი ჩარკვიანის ვარაუდს მისი მეგობრებიც ეჭვით შეხვდნენ, მაგრამ თვითონ ირაკლის სურდა, მეტი სცოდნოდა მომავალი განაჩენის შესახებ და თავისი ოჯახური მდგომარეობით ისარგებლა, გაიგო იმ მოსამართლის ვინაობა, რომელსაც მთავარი განაჩენი უნდა გამოეტანა მომავალ სასამართლო პროცესზე და მისი შვილი მოძებნა. მოსამართლის შვილს უნივერსიტეტთან დახვდა ლექციების დამთავრების შემდეგ და პირდაპირ ჰკითხა ის, რაც სურდა, რომ სცოდნოდა. მოსამართლის შვილი დაჰპირდა, რომ ყველაფერს გაარკვევდა, თუ რასაკვირველია, მამამისს რამეს დააცდენინებდა. „მეეჭვებაო“, – ეს კი მაინც უთხრა ირაკლის დამშვიდობებისას და წავიდა.

შვილმა იმ საღამოსვე ჰკითხა მამას, მართლა ის იქნებოდა თუ არა მოსამართლე თვითმფრინავის გამტაცებლების პროცესზე, საპასუხოდ კი ძალიან მკაცრად და საკმაოდ აგრესიულად დასმული კითხვა მოისმინა:

– ვინ გითხრა?

– მითხრეს.

– ვინ?

– რა მნიშვნელობა აქვს?

– ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

– მაინც?

– ფაქტიურად სახელმწიფოებრივი საიდუმლოებაა და არავინ უნდა იცოდეს თვითონ პროცესამდე, ვინ იქნება მოსამართლე.

– როგორი სახელმწიფოც გვაქვს, ისეთი საიდუმლოებაც გქონიათ. უკვე ყველამ იცის, რომ შენ გიპირებენ მოსამართლედ დანიშვნას.

– ვინ გითხრა?

– რა მნიშვნელობა აქვს, უნივერსიტეტში მითხრეს. უკვე ყველამ იცის.

– უნივერსიტეტი ყოველთვის ანტისაბჭოური ბუდე იყო!

– ესე იგი, ბუდეში უკვე იციან.

– მგონი ეს არ არის სახუმარო თემა.

– არც მე გეხუმრები და სერიოზულად მაინტერესებს, რა მოხდება.

– რას ნიშნავს რა მოხდება?

– სასამართლო პროცესზე რა მოხდება?

– არა ვარ ვალდებული და არც სურვილი მაქვს გიპასუხო, მით უმეტეს, რომ წინასწარ არავინ იცის, სასამართლოზე რა მოხდება.

– დეტალებზე არ გეკითხები, განაჩენი მაინტერესებს.

– განაჩენიც წინასწარ არავინ იცის და ამ კითხვაზეც ვერავინ გიპასუხებს.

– შეგიძლია მარტივ კითხვაზე მარტივად მიპასუხო?

– როგორ?

– მითხარი ან „კი“ ან „არა“.

– რა გაინტერესებს?

– დახვრეტას მიუსჯიან თუ არა?

– არ ვიცი, მაგრამ თვითმფრინავის გამტაცებლებს, ბანდიტებსა და ტერორისტებს ზუსტად იმას მიუსჯიან, რაც დაიმსახურეს.

– ეგ დახვრეტაა?

– სამართალია.

– ესე იგი დახვრეტენ?

– არ ვიცი-მეთქი...

შვილი მიხვდა, რომ მამამისი არაფერს ეტყოდა და იმასაც მიხვდა, რომ თვითმფრინავის გამტაცებლებს განაჩენს სასამართლომდე გამოუტანდნენ, თუ უკვე გამოტანილი არ ჰქონდათ.

მამა-მოსამართლემ კი, როგორც კი მისი შვილი ოთახიდან გავიდა, ტელეფონის ნომერი აკრიფა:

– გამარჯობათ, ბატონო ვლადიმერ, დიახ, მე ვარ, როდის შეგიძლიათ პირველთან დამაკავშიროთ?.. დიახ, სასწრაფოა...დიახ, დაგელოდებით.

მოსამართლემ ყურმილი დაკიდა, მაგრამ გაუნძრევლად დაელოდა ტელეფონის ზარს და აპარატისთვის თვალი არც მოუშორებია, მხოლოდ საჩვენებელი თითით მოიწმინდა შუბლიდან ჩამოცურებული ოფლის წვეთი.

ტელეფონის ზარი გაისმა თუ არა, მოსამართლემ ყურმილი აიღო და მაშინვე ფეხზე წამოდგა:

– დიახ, გამარჯობათ...

ჩაახველა და მერე ისევ განაგრძო.

– მინდოდა თქვენთვის მომეხსენებინა, რომ ინფორმაციამ ჩემი დანიშვნის შესახებ უკვე გაჟონა.... საიდან ვიცი?... შვილი მომიგზავნეს განაჩენის გასაგებად, დახვრეტენ თუ არაო... მე რა ვუპასუხე? რასაც თქვენ და პარტია ყოველთვის გვასწავლიდით... რომ საბჭოთა კანონები ჰუმანურია, მაგრამ ნებისმიერმა დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს თავის დანაშაულზე და სამშობლოს მოღალატეებს სახელმწიფო შესაბამისად დასჯის... ალო, ალო...

მოსამართლეს კიდევ დიდხანს ედო ყურზე შავი ყურმილი, მიუხედავად იმისა რომ უკვე აღარ უსმენდნენ.

მოსამართლე, რასაკვირველია, გამოცვალეს.

ეკა-უკა

წიგნი სხვაა, კინო კიდევ უფრო განსხვავებული. სინამდვილეში კი ბერი თეოდორე შინ დააპატიმრეს.

1984 წლის 2 თებერვალს გამთენიისას სახლის ჩხრეკა დაიწყეს. სანამ ჩხრეკა მიმდინარეობდა, მამა-შვილი ხელჩაკიდებულები ისხდნენ ერთმანეთის გვერდით და მამა ისე დაემშვიდობა შვილს, რომ ეკას არ შეშინებოდა. მერე ბერი თეოდორე ისე ამაყად წამოდგა, რომ ბორკილების დადება ველარც გაუბედეს და უკან მიჰყვნენ ყველაზე თავისუფალ ადამიანს.

ბერის დაპატიმრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მისი სახლის გასაჩხრეკად ისევ მივიდნენ და შინ მხოლოდ ეკა დახვდათ, რომელიც გაკვირვებული უყურებდა ვიღაც კაცებს, რომლებმაც სახლი ისევ საგულდაგულოდ გაჩხრიკეს, მაგრამ ეკას არ შეშინებია, უბრალოდ ვერაფრით მიხვდა, კიდევ რას ეძებდნენ ადამიანები, რომლებიც არ იღიმებოდნენ. ეკას არ შეშინებია, მიუხედავად იმისა, რომ არც ისე დიდი იყო ჯერჯერობით, მაგრამ ეკა-უკას უკვე აღარ ეძახდნენ, როგორც მაშინ, როცა უფრო პატარა იყო და სოსო წერეთელს სასეირნოდ დაჰყავდა ხოლმე. ეკას უყვარდა მამის მეგობრები, მაგრამ მისთვის ჰიპი მამა ნამდვილი საოცრება იყო – ერთადერთი ბერი დედამიწაზე, რომელსაც ჯინსები ეცვა და რომელიც გაგიჟებით უყვარდა.

მაშინ კი (იმ დღეს), მამის ქუდი გაახსენდა წარწერით ონე წაყ, როცა გაუნძრევლად იდგა და ელოდა დაუპატიჟებელი სტუმრების წასვლას და ალბათ არც გაინძრეოდა, ერთ-ერთ დაუპატიჟებელ სტუმარს ის კარადა რომ არ გამოეღო, სადაც ეკა მამის ლექსებს ინახავდა. ამ ლექსებს მამამისი სპეციალურად მისთვის წერდა, როცა ეკა უფრო პატარა იყო, ისეთი პატარა, რომ ძილის წინ ზღაპრების მოყოლას ითხოვდა. მამა უყვებოდა კიდეც ძილის წინ რომელიმე ზღაპარს თავის შვილს, მაგრამ ზოგჯერ ეკა ლექსებსაც ითხოვდა ხოლმე და მამაც იგონებდა მათ, სანამ ეკა გაიზრდებოდა. როცა ეკა გაიზარდა, წერა ისწავლა და სკოლაში სიარული დაიწყო, მამამისის ლექსები კი სწორედ იმ რვეულში ჩაიწერა დიდი, გამოყვანილი ასოებით და იმ კაცმა ახლა სწორედ ის რვეული გადაფურცლა. მერე დახურა, ისევ გადაშალა და უფროსს კითხვით მიმართა:

– ამას რა ვუყოთ?

– რა არის?

– ლექსებია.

– ვისი?

– არ ვიცი ვისი.

– ჩახედე და მიხვდები, თუმცა შენ რას მიხვდები, წამოიღე!

იმ კაცმა მაინც ჩახედა, წაკითხვაც დააპირა, მაგრამ მაჯაზე საშინელი კბენა იგრძნო და რვეულს ხელი გაუშვა. იატაკზე დავარდნილი რვეული სასწრაფოდ აიღო პატარა ეკამ, გულში ჩაიკრა და უკან-უკან, კედლისკენ წავიდა.

იმ კაცმა ჯერ საკუთარ ნაკბენ მაჯას დახედა გაოცებული სახით და მერე ეკას დააკვირდა:

– შენი ტერორისტი მამა! – გამოსცრა კბილებში და ბავშვისკენ დაიძრა, მაგრამ უფროსი მაშინვე მიხვდა, რომ ეკასთვის ამ რვეულის წართმევა არ შეიძლებოდა. ამიტომაც თავისი ხელქვეითი თანამშრომელი თვითონვე შეაჩერა და მშვიდად ჰკითხა:

– მარტო ლექსები იყო?

– რავი, სულ ლექსები იყო, ალბათ მაგისი დაწერილი.

– შინაარსზე მიხვდი?

– შინაარსი მე რა ვიცი, ბავშვის ხელს ჰგავდა.

– თქვენც უკვე მორჩით?

უფროსმა ახლა დანარჩენებს გასძახა და მათ პასუხს აღარ დალოდებია, წავედითო, – ყველას ხელით ანიშნა და სახლიდან გავიდა. დანარჩენებიც უკან მიჰყვნენ.

ეკა ფანჯარასთან ჩქარი ნაბიჯით მივიდა, ფარდა გადასწია და გაიხედა. უცხო კაცები მანქანაში სხდებოდნენ და ფანჯარასთან ცოტა ხანს კიდევ გაჩერდა. როცა მანქანამ ქუჩის კუთხეში გაუხვია, ეკა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ დაუპატიჟებელი სტუმრები მართლა წავიდნენ და ახლა ის უჯრა გამოაღო, სადაც სხვა სანოტო რვეული ეგულებოდა. აბა, იმ დაუპატიჟებელ სტუმრებს საიდან უნდა სცოდნოდათ, რომ ბერი, რომლის სახლშიც იარაღს ეძებდნენ, მუსიკასაც წერდა. მამის მუსიკას ეკა-უკა ზეპირად იმახსოვრებდა, მერე კი ნოტებად იწერდა ზეპირად დამახსოვრებულს.

მერე ის სანოტო რვეული ლექსებთან ერთად შეახვია და შეკრა, მერე ნიჩაბი აიღო და სახლის უკანა ეზოში გავიდა. ჯერ მიმოიხედა, ხომ არავინ მიყურებსო და მერე მიწის თხრა დაიწყო. ორმო, რომელიც ამოთხარა, დიდი არ იყო – იმ ორმოში გადამალული მუსიკაც ჩაეტია და პოეზიაც.

საბჭოთა ხელისუფლება უფრო სასტიკი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონათ. პროპაგანდა კი ისეთი დაუნდობელი იყო, რომ მამის დაპატიმრების შემდეგ ეკას გვერდით არავინ ჯდებოდა. ის მარტო იჯდა სკოლის საკლასო მერხზე, როგორც მტრის შვილი და მაინც ცდილობდა, რომ არ გაბოროტებულიყო. სასამართლო განაჩენის შემდეგ კი საქართველოს მაშინდელ ცეკას პირველ მდივანს თოთხმეტი წლის გოგომ წერილი მისწერა და მამის სიცოცხლე სთხოვა. მაგრამ როცა მიხვდა, რომ პასუხს ვერასოდეს მიიღებდა, თვითონ წავიდა პასუხის მისაღებად. პასუხს ეძებდა ყველგან, სადაც ეგულებოდა სიკვდილმისჯილი მამა, რომლის შესახებაც ამბობდნენ, რომ ის მაინც არ დახვრიტეს, როგორც სრულიად უდანაშაულო და ჰყავდათ სადღაც ციმბირში, ურალსა თუ შორეულ აღმოსავლეთში.

დღევანდელი ქართველი თინეიჯერებისთვის, ალბათ, ძნელი დასაჯერებელი იქნება, რომ მათი თანატოლი გოგონა რამდენიმე წლის მანძილზე საყვარელ მამას შორეულ ბანაკებში ეძებდა მარტოდმარტო, რადგან მას უკვე დედაც პატიმარი ჰყავდა, თუმცა არც იცოდა, რატომ.

არამხოლოდ ახალგაზრდა ქართველებისთვის, უფროსი თაობის ადამიანებისთვისაც (და არამხოლოდ ახლა), ყოველთვის ძნელი დასაჯერებელი იქნება ის, რისი გაკეთებაც ეკა ჩიხლაძემ შეძლო, მაგრამ სიყვარულისთვის შეუძლებელი არაფერია. მას ძალიან, ძალიან უყვარდა მამა,

რომლის გარეშეც მის სიცოცხლეს აზრი აღარ ჰქონდა საერთოდ და იმ წერილშიც ზუსტად ასე ეწერა.

წერილში ისიც ეწერა, რომ ეკამ არ იცოდა მისი მშობლების გაშორების მიზეზი, მაგრამ მან იცოდა, როგორ გაიცნეს მათ ერთმანეთი ძველი კინოსტუდიის ეზოში.

მაშინ ბერი თეოდორე ჯერ კიდევ თემურ ჩიხლაძე იყო – ძალიან განათლებული მწვანეთვალება ბიჭი, რომელიც გოგოებს ძალიან მოსწონდათ, მაგრამ თემურ ჩიხლაძეს სწორედ ის გოგო შეუყვარდა, რომელმაც მას შეუღლების შემდეგ ეკა-უკა აჩუქა.

მაშინ თემურ ჩიხლაძეს ქართულ მხატვრულ ფილმში იღებდნენ, რომელსაც „ფილატელისტის სიკვდილი“ ერქვა და გადაღებები სარფში მიმდინარეობდა. სარფიდან იქვე, სამას მეტრში, თურქეთი იწყებოდა, მაგრამ სარფში მცხოვრებ რომელიმე ლაზს გვერდით სოფელში მცხოვრები ბიძაშვილის მონახულება რომ მონდომებოდა, ათასობით კილომეტრი უნდა გაევლო. ჯერ უნდა ჩასულიყო მოსკოვში და (რამდენიმეთვიანი შემოწმების შემდეგ) თუ რუსები თურქეთში წასვლის უფლებას მისცემდნენ, მოსკოვიდან სტამბულში უნდა ჩაეღწია, იქიდან კი შავიზღვისპირეთს გამოჰყოლოდა იმ სახლამდე, მისი აივნიდანაც რომ მშვენივრად ჩანდა. თუმცა რიგით საბჭოთა მოქალაქეს კაპიტალისტურ თურქეთში რომ არავინ გაუშვებდა, ნებისმიერმა ლაზმა ისედაც იცოდა (საბჭოთა კავშირში დაბადებიდანვე) და ასე შორიდან, ხელის დაქნევით თუ მოიკითხავდა საზღვარს იქით დარჩენილ მეზობელს თუ ნათესავს.

თეიმურაზ ჩიხლაძემ კი სარფში ჩასვლისთანავე ყველაზე გამოცდილი მეთევზე მოიკითხა და მალე დაუმეგობრდა კიდეც კაცს, რომელიც ნავით გადიოდა ხოლმე ღამის ზღვაში, როცა მთვარე იყო თეთრი, წყალი კი ძალიან მშვიდი.

გადაღებები იმდენ ხანს გაიწელა, რომ საბჭოთა მესაზღვრეებიც კი შეეჩვივენ „კინოშნიკებს“, რომლებიც სოფელში ცხოვრობდნენ და იმ ღამეს, როცა თემურ ჩიხლაძემ დამეგობრებულ მეთევზეს ნავი გამოართვა, მესაზღვრეებს საეჭვოდ არაფერი მოსჩვენებიათ. ან რატომ უნდა გასჩენოდათ რამე ეჭვი, თუ ყველაფერი იყო ძალიან კარგად ნაცნობი, რადგან ეს ნავი თითქმის ყოველღამით შეცურდებოდა ხოლმე ზღვაში და არცთუ იშვიათად თვითონ მესაზღვრეებიც სიამოვნებით მიირთმევდნენ ხოლმე შავი ზღვის ბარაბულკებს.

ყველაზე მეტად გაკვირვებული, ალბათ მაინც თვითონ თეიმურაზი იყო, რომელიც ჯერ მშვიდად, აუჩქარებლად ამოძრავებდა ნიჩბებს და ყოველ წუთს მზად იყო ანკესით ხელში დახვედროდა ნებისმიერ საბჭოთა მესაზღვრეს, ვისაც ეჭვი გაუჩნდებოდა, რომ თემურ ჩიხლაძე საბჭოთა კავშირიდან გაქცევას ქართველი მეთევზის ამ პატარა ნავით აპირებდა.

ნავი კი უფრო მიცურავდა, ვიდრე მიაპობდა ტალღებს და როცა გათენებას აღარაფერი აკლდა, თემურ ჩიხლაძე მიხვდა, რომ არჩევანი უნდა გაეკეთებინა – ან მართლა გაქცეულიყო, ან დაბრუნებულიყო უკან ლამაზი შეყვარებულის გამო.

არავინ იცის, სადამდე მიუშვებდნენ საბჭოთა მესაზღვრეები მწვანეთვალება ქართველ ბიჭს, რომელიც მაინც უკან დაბრუნდა, რადგან იქ, ნაპირზე მას ეკა-უკას მომავალი დედა ელოდა.

უკვე მერე, წლების შემდეგ, როცა სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ბერ-მონაზონ თეოდორე ჩიხლაძეს, მან უკანასკნელი თხოვნით მიმართა საქართველოს საბჭოთა

ხელისუფლებას: დახვრეტამდე ეჩვენებინათ მისთვის ერთადერთი შვილი ეკატერინე ჩიხლაძე. მაგრამ სრულიად უდანაშაულო ადამიანს უკანასკნელი თხოვნაც არ შეუსრულეს.

დაპატიმრების შემდეგ მას ეკა-უკა აღარც უნახავს.

კიდევ უფრო ბევრი წლის შემდეგ ეკა ჩიხლაძემ წიგნი დაწერა, რომელიც მამას მიუძღვნა – ადამიანს, ვინც ჯერ კიდევ მის ბავშვობაში იწინასწარმეტყველა საბჭოთა კავშირის დაშლა და არც არასოდეს არავისთვის დაუმალავს. ეკამ „დახვრეტილთა საქმეში“ სრულიად უნიკალური, მანამდე უცნობი მასალებიც გამოაქვეყნა, რომლებშიც ყველაფერი დეტალურად არის აღწერილი და მისი ვარაუდიც, რომ გამტაცებლები წინასწარვე იყვნენ ჩაშვებულები, საკმაოდ ლოგიკური და საფუძვლიანია. არგუმენტები და ფაქტებიც იმაზე მეტყველებს, რომ ხელისუფლებამ წინასწარ იცოდა თვითმფრინავის მოსალოდნელი გატაცების შესახებ, მაგრამ კომუნისტებმა ისინი სპეციალურად ბოლომდე მიუშვეს სწორედ იმიტომ, რომ ისეთი სასამართლო პროცესი შემდგარიყო, როგორიც მათ ძალიან სჭირდებოდათ.

დახვრეტილთა ოჯახების წევრებმა და ახლობლებმა იციან იმ ადამიანის ვინაობაც, ვისგანაც სავარაუდოდ ხელისუფლებამ მიიღო პირველი ინფორმაცია, მაგრამ მის სახელს არ ახსენებენ, როგორც საქართველოში ხდება ხოლმე, როცა (მაგალითად) გველს გულისხმობენ და უხსენებელს ამბობენ.

იმ სასამართლო პროცესის წინადღეს კი ბერი უკანასკნელად გაიყვანეს დაკითხვაზე, რომელსაც რამდენიმე გამომძიებელი ესწრებოდა რამდენიმე მაღალჩინოსანთან ერთად, რადგან მათ სურდათ ზუსტად სცოდნოდათ, რას იტყოდა ბერი სასამართლოზე და უნდოდათ იმაშიც საბოლოოდ დარწმუნებულიყვნენ, რომ ყველაფერი ზუსტად ისე წარიმართებოდა, როგორც მათ სურდათ. ამიტომაც როცა ბერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ყველაფერს თავის თავზე აიღებდა დანარჩენების გადასარჩენად, გამომძიებლებმა კმაყოფილი სახეებით გადახედეს დაკითხვის დამსწრე მაღალჩინოსნებს. ერთმა მათგანმა მაინც, ყოველი შემთხვევისათვის ჩაახველა და ბერს მიმართა:

– თქვენ ყველაფრისთვის მზად უნდა იყოთ.

– ყველაფრისთვის მზად ვარ.

– მგონი კარგად ვერ გამიგეთ.

– მე ყველაფრისთვის მზად ვარ თუ მათ გადარჩენას შევძლებ.

– ყველაფრისთვის?

– დიახ ყველაფრისთვის, მე უკვე ოცდაცამეტის შევსრულდი.

– აქ თქვენი ასაკის დასადგენად არ მოვსულვართ, ჩვენ რამდენიმე დეტალი გვაინტერესებს და მათი დაზუსტება გვინდა.

– გისმენთ.

– სასამართლოზე თქვენ აღიარებთ, რომ ხელმძღვანელობდით იმ ბანდიტურ დაჯგუფებას,

რომელსაც თვითმფრინავის გატაცება სურდა?

– სასამართლოზე მე ვაღიარებ, რომ იმ ადამიანების სულიერი მოძღვარი ვიყავი და ვარ, ვინც თვითმფრინავის გატაცებას ცდილობდა. ამიტომაც ყველაზე მეტი პასუხისმგებლობაც მე უნდა დამეკისროს.

– და თქვენ მზად ხართ სასამართლოზეც დაადასტუროთ თქვენი, როგორც მეთაურის როლი იმ შემთხვევაშიც კი, თუ გეცოდინებათ, რომ უმკაცრესი განაჩენი გელით?

– მე ყველაფრისთვის მზად ვარ, თუ მეცოდინება, რომ ასეთი განაჩენით სხვების სიცოცხლეს ვიხსნი.

– მაშინ პირდაპირ გეტყვით, რომ ასეთ შემთხვევაში თქვენ შეიძლება დახვრეტა მოგისაჯონ. მაინც არ გეშინიათ?

– არა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მე სასულიერო პირი ვარ და ჩემი ეკლესია მე მაინც დამიცავს, მათ სიკვდილს კი ვერავინ აღუდგება წინ.

– ესე იგი, თქვენ თავზე იმიტომ იღებთ მთელს პასუხისმგებლობას, რომ გადარჩენის იმედი მაინც გაქვთ?

– არა, მე ეს არ მითქვამს, რადგან ჩემი დაცვა და გადარჩენაც შეიძლება ვერავინ შეძლოს, მათი გადარჩენა კი მხოლოდ მე შემიძლია, მხოლოდ ამ ნაბიჯით.

– ეს ნაბიჯი რამდენად დამაჯერებელი იქნება საზოგადოებისთვის?

– რომელი საზოგადოებისთვის?

– ჩვენი საზოგადოების მერყევი ნაწილისთვის. მართალია სასამართლოზე არავინ შეეცდება სიმართლის დადგენას, მაგრამ ჩვენს მოწინააღმდეგეს შეიძლება რაღაც კითხვები მაინც გაუჩნდეთ.

– მაინც რა კითხვები?

– მაგალითად, რატომ არ ჩაჯდა თვითმფრინავში ის, ვინც ყველაფერი დაგეგმა ანუ თქვენ?

– ამიტომაც მხოლოდ მე მეკუთვნის დახვრეტა და არავითარ შემთხვევაში მათ, რადგან მე ისინი მოვატყუე – სხვები გავუშვი დასაღუპად, ახალგაზრდები წავაქეზე და მე თვითონ კი მონასტერში დავიმალე.

– ამ ფრაზას სასამართლოზეც გაიმეორებთ?

– თუ მხოლოდ მე მომისჯიან დახვრეტას და ასეთი ჩვენებით მათი სიცოცხლის გადარჩენას შევძლებ, ყველაფერს ვაღიარებ, რასაც საჭიროდ ჩათვლით.

– მგონი ყველა დეტალი გათვლილი გვაქვს და თითქოს მაინც გვრჩება რაღაც შეკითხვა.

– მეც მაქვს შეკითხვა.

– გისმენთ.

– მინდა ვიცოდე მათ რას მიუსჯიან?

– ეგ თქვენზეა დამოკიდებული, რადგან მათ შეიძლება უარყონ კიდეც, რომ თვითმფრინავის გატაცებას თქვენ ხელმძღვანელობდით.

– ალბათ ასეც მოიქცევიან.

– და ასეთ შემთხვევაში თქვენ როგორ მოიქცევით, რას იტყვით სასამართლოზე?

– ვიტყვი, რომ მათ არ მითხრეს ზუსტად როდის მიდიოდნენ და სხვა თვითმფრინავს გაყვნენ.

– ტყუილს იტყვით?

– ტყუილი არასოდეს მითქვამს და რასაც გეუბნებით, ყველაფერი სიმართლეა.

– ამის გამო თქვენ ნუ იდარდებთ, სიმართლე ნაკლებად გვაინტერესებს და ჩვენთვის მთავარია ის თქვათ, რაც საქმეს სჭირდება. სახელმწიფო ინტერესების მიზნით კი ტყუილის თქმა დანაშაულიც არ არის.

– მაგრამ მე მართლა დამნაშავედ ვგრძნობ თავს, რადგან მათი მოძღვარი ვიყავი და პასუხიც მე უნდა ვაგო.

– მაგაზეც ნუ იდარდებ, პასუხს გაგებინებენ და თანაც ბოლომდე.

– ხომ გითხარით, რომ ყველაფრისთვის მზად ვარ, მათი სიცოცხლის გადარჩენის სანაცვლოდ,

– ჩვენც უკვე გითხარით. რომ მათი განაჩენი შენს ჩვენებაზეა დამოკიდებული.

– მე ყველაფერს ისე ვიტყვი, როგორც თქვენ გირჩევნიათ, ოღონდ მათ უნდა იცოცხლონ, ისინი ჯერ ძალიან ახალგაზრდები არიან. მათ ჯერ კიდევ უნდა იცოცხლონ...

ბერის ხმაში უკვე თვალსმომდგარი და შეკავებული ცრემლიც იგრძნობოდა, მაგრამ მისი ბოლო სიტყვები აღარავის ესმოდა, რადგან გამომძიებლები ოთახს ტოვებდნენ და როცა უკანასკნელი ჩინოსანიც ოთახიდან გავიდა, ბერმა თავი ასწია.

– საკანში უნდა დავბრუნდეთ, – უთხრა ბადრაგმა და ბერი ფეხზე წამოდგა.

როცა გრძელ, ნახევრადჩაბნელებულ დერეფანს მიუყვებოდნენ, ბადრაგმა ჩუმად, თითქმის ჩურჩულით და მობოდიშებით უთხრა ბერს:

– ჯერ მარტო ნახევარი წავიკითხე, ცოტა ნელა ვკითხულობ...

– ეგ ისეთი წიგნია, ძალიან ნელა უნდა იკითხო.

– იქით კვირაში დაგიბრუნებთ.

– შეგიძლია არ დამიბრუნო.

– თქვენ აღარ გჭირდებათ?

– ეგ წიგნი ყველას ჭირდება.

– ესე იგი, თქვენც გჭირდებათ.

– მე სხვაც მაქვს.

– მადლობთ, მამაო.

– მადლობა ღმერთს უთხარი.

– თქვენც მინდა, რომ რაღაც გითხრათ.

– მითხარი.

– ასეთი გახარებული არასოდეს გამოსულხართ დაკითხვიდან.

– გახარებული არა, ალბათ კმაყოფილი. სიხარული კი აქ არც არსებობს.

– საერთოდ არ არსებობს?

– ნამდვილი სიხარული სხვაგან არსებობს.

– სად სხვაგან?

– სხვა სამყაროში.

– სად?

– როცა იმ წიგნს ბოლომდე წაიკითხავ, ყველაფერს გაიგებ.

– ახლაც მინდა უკვე რაღაც გავიგო.

– მაინც რა?

– თქვენი კმაყოფილების მიზეზი.

– მალე სასამართლო იქნება და ეს ყველაფერიც დამთავრდება.

– ისე დამთავრდება, როგორც თქვენ ფიქრობთ?

– მთავარია, რომ დამთავრდება...

www.ChiaturaINFO.GE

პროცესი

სასამართლო პროცესი ერქვა, თორემ სინამდვილეში სასამართლო არ არსებობდა (როგორც სამართალი) და არსებობდა მხოლოდ პროცესი, რომელიც დანიშნეს გამოძიების დაწყებიდან ცხრა თვეში, ისე რომ მოწმეების უმრავლესობა დაკითხულიც არ ჰყავდათ. მაშინ საგამოძიებო ვადების შეზღუდვა საერთოდ არ არსებობდა საბჭოთა კანონების მიხედვით და ამიტომაც აშკარა იყო, რომ მაშინდელ ხელისუფლებას ძალიან ეჩქარებოდა თვითმფრინავის გამტაცებლებისთვის განაჩენის გამოტანა.

სასამართლო პროცესი კი დაიწყო პირველ აგვისტოს, მაშინ, როცა თბილისს ისინიც კი ტოვებენ ხოლმე, ვისაც წასავლელი არსად არა აქვს. თბილისში აგვისტოს დასაწყისში ისეთი სიცხე იცის რომ ახლომახლო აგარაკებს შეფარებული ადამიანებიც კი დასავლეთ საქართველოში, ზღვისკენ გარბიან.

ხელისუფლებას სურდა, სასამართლო სწრაფად და უხმაუროდ დამთავრებულიყო, პროცესს მხოლოდ მშობლები დასწრებოდნენ და თბილისი ამ დროს ყოფილიყო მაქსიმალურად ცარიელი, რომ არავის გამოეთქვა ან გამოეხატა პროტესტი სასამართლო პროცესის მიმართ, რომელიც სინამდვილეში ცუდად დადგმული სპექტაკლი იყო.

სასამართლო დარბაზში უმრავლესობას კაგებეს თანამშრომლები შეადგენდნენ და მხოლოდ ბრალდებულების მშობლებს მისცეს პროცესზე დასწრების უფლება და არავის სხვას – მათ შორის გატაცებული თვითმფრინავის ყოფილ მგზავრებსაც. მგზავრებიდან მხოლოდ ისინი შეარჩიეს, ვინც მათი აზრით, მხოლოდ იმას იტყოდა, რაც ხელისუფლებას სურდა. მიუხედავად ამისა, ვერცერთმა მოწმემ ვერცერთ ბრალდებულს ხელი ვერ დაადო როგორც მკვლელს და რამდენიმე დღის შემდეგ განაჩენის დღეც დაინიშნა.

განაჩენის წინა ღამეს კაგებეში ის მგზავრი დაიბარეს, რომელსაც პატიმარი შვილი ჰყავდა. ეს იყო საკმაოდ ასაკოვანი კაცი, რომელიც წლების გარდა, დარდსაც მოეტეხა, რადგან მისი ერთადერთი შვილი ავტოავარიის გამო, უკვე მერამდენე წელი იყო, რაც სასჯელს იხდიდა.

მოხუცი ისეთი შეშინებული და აღელვებული იყო, რომ წყალიც კი დაალევინეს, მაგრამ სანამ არ უთხრეს კაგებეში დაბარების მიზეზი, მაინც ვერ დაამშვიდეს. თუმცა რაც უთხრეს, ალბათ ყველაზე ცუდი იყო, თუმცა მოხუცი ამას მხოლოდ მეორე დღეს, სასამართლოზე მიხვდა. იქ კი, კაგებეს ჩინოსნის ოთახში, მხოლოდ თავს უქნევდა იმ ჰალსტუხიან ხალხს და, რასაკვირველია, სულ არ ფიქრობდა იმაზე, ამ ხალხს ამ სიცხეში, ყელში წაჭერილი ჰასტუხები რატომ არ აწუხებდა.

საუბარი კი მოხუცთან ცოტა შორიდან დაიწყეს.

– თქვენი შვილი უკვე მეხუთე წელია ციხეში ზის.

– დიახ.

– ალბათ ძალიან გიჭირთ.

– დიახ.

– ალბათ გინდათ, რომ მალე გათავისუფლდეს.

– დიახ.

– ალბათ იცით, რომ ზოგჯერ ზოგიერთ პატიმარს პატიმრობის ვადას უმცირებენ ხოლმე და უფრო ადრე უშვებენ სახლში.

– დიახ.

– ალბათ გენატრებათ შვილი.

– დიახ.

– ალბათ ისიც იცით, რომ სახლში ვადამდე იმ პატიმრებს უშვებენ, რომლებიც კარგად იქცევიან.

– დიახ.

– ან მათი მშობლები.

– დიახ.

– ან მათი მშობლები იქცევიან კარგად.

– დიახ.

– აი მაგალითად თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ სახელმწიფოს, რომ თქვენი შვილი ვადამდე გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

– დიახ.

– იმედია გინდათ შვილის დახმარება.

– დიახ.

– მაგრამ არ იცით – როგორ.

– დიახ.

– დიახ იცით, თუ დიახ არ იცით?

– დიახ.

– რა დიახ?

კაცმა ჯერ წყალი დალია, მერე ისევ მოითხოვა, კიდევ ერთი ჭიქა დალია და მხოლოდ ამის შემდეგ წარმოთქვა მისთვის ალბათ ყველაზე გრძელი წინადადება:

– ჩემი ცოლი წერდა განცხადებებს შეწყალებაზე, ახლაც წერს ხოლმე. ყველა ამბობდა იმ ცხონებულის ბრალი იყო, ისეთ ადგილას გადაირბინაო, მაგრამ...

– მაგრამ არაფერი?

– არაფერი. მეხუთე წელია ზის.

– ჩვენც სწორედ ეს გითხარით, რომ ახლა შეგიძლიათ შვილს დაეხმაროთ.

– რას ამბობთ, კაცო, იმდენ ფულს გვთხოვენ, რომ სახლს კი გავყიდიდი, მაგრამ მაინც არ ეყოფა და...

– არა, რას ბრძანებთ, აქ ფულზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ სახელმწიფოს დახმარებაზე, რის სანაცვლოდაც სახელმწიფო თქვენს შვილს შეიწყალებს.

– მე, აბა, ისეთი რა უნდა დავეხმარო ამოტოლა სახელმწიფოს, რო ჩემი ბიჭი ციხიდან გამოუშვან. მე, აბა, განა რა შემიძლიან, ერთი უბრალო კაცი ვარ...

– სწორედ თქვენ შეგიძლიათ, სწორედ იმიტომ, რომ უბრალო, მშრომელი და პატიოსანი კაცი ბრძანდებით და თქვენს სიტყვას ხვალინდელ სასამართლოზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

– რას ამბობთ, კაცო, აბა, მე ეგეთი რა უნდა ვთქვა?

– რაც იცით და რაც მაშინ იმ თვითმფრინავში დაინახეთ, ის თქვით.

– რა უნდა დამენახა, აბა, სულ ძირს ვიწექი და...

– ხალხი რომ დახოცეს, ხომ დაინახეთ?

– დახოცილები როგორ არ დავინახე.

– მერე?

– მერე ცუდად გავხდი, შვილო, და იმის მერე კარგად არც გავმხდარვარ, სულ ექიმებთან დავყავარ ჩემს ცოლს, მაგრამ ჯერჯერობით უკეთესობას მაინც ვერა ვგრძნობ.

– თქვენი დახმარებაც სწორედ ეგ იქნება, რომ ხვალ სასამართლოზეც იგივე მოყვეთ, რომ დამნაშავეები საკადრისად დაისაჯონ, აბა, თქვენი უდანაშაულო შვილი ციხეში უნდა იჯდეს და ის ბანდიტები გმირებივით ცხოვრობდნენ?

– მეც სულ მაგას ვფიქრობ, რომ ჩემს შვილზე ჯერ აუგი არავის დასცდენია და გამომძიებელიც სულ მაგას იძახდა, რომ მაგის ბრალი არ იყოო...

– ჰოდა, თქვენი შვილიც მალე სახლში დაბრუნდება, ბანდიტები და ტერორისტები სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ! თქვენი შვილი კი საყვარელ ოჯახს უნდა დაუბრუნდეს.

– თუ მაგ სიკეთეს იზავთ, თქვენი ჭირიმე, თორემ ვერც მე მომისწრებს ცოცხალს და ვეღარც დედამისს, ორივენი დავილიეთ მაგის მოლოდინში...

– ჰოდა, ბერიკაცო, ხვალ თუ იმ მკვლელების ამბავს სასამართლოზეც ესე კოხტად მოჰყვებით, ზეგ-მაზეგ შვილი უკვე სახლში გეყოლებათ.

– რატო არ უნდა მოვყვე, რაც იყო და როგორც იყო, ყველაფერს წვრილად ვიტყვი.

– ხალხს ვინც ესროდა, იმათი სახეები ხო კარგად გახსოვთ?

– გარედან ვინც გვესროდა, იმათ, აბა, რას დავიმახსოვრებდი.

– ეგენი დაივიწყე, ძიაკაცო, ვინც თვითმფრინავი გაიტაცა და მერე ხალხი დახოცა, ისინი უნდა ამოიცნო.

– ეგენი, აბა, როგორ უნდა ამოვიცნო, სულ ძირს ვიწექით-მეთქი.

– რა ამოცნობა მაგათ უნდა ძიაკაცო, ყველანი იქ ისხდებიან შენს წინ და მოსამართლე რომ შეგეკითხება, ესენი თუ იყვნენო, თავს დაუქნევ და დაუდასტურებ. თვითმფრინავი ვინც გაიტაცა, იმათი სახეები ხომ გახსოვს?

– მაგათ რა დამავიწყებს.

– ჰოდა, ხალხიც მაგათ დახოცეს და პასუხიც მაგათ თუნდა აგონ.

– თუ მაგათი მოკლულია, თქვენ უკეთ არ გეცოდინებათ?

– გამოძიებამ უკვე ყველაფერი დაადგინა, მაგრამ თქვენისთანა პატიოსანი კაცი, რომელიც იმ თვითმფრინავში იჯდა და იგივეს დაადასტურებს, ამით სახელმწიფოსაც დაეხმარება და საკუთარ შვილსაც.

იმ ჩინოსანმა, რომელიც დანარჩენების უფროსს ჰგავდა, ბოლომდე გამოაცილა ბერიკაცი და მძღოლთან ერთად სამსახურეობრივი ავტომობილით თბილისელი ნათესავების სახლამდეც მიიყვანა. აბა, თქვენ იცით, ხვალ თქვენი იმედი გვაქვსო, – მოწიწებით დაემშვიდობა კაგებეს ჩინოსანი და ხელიც მაგრად ჩამოართვა საიმედო მოწმეს.

სასამართლო პროცესის უკანასკნელი, განაჩენის დღე ცამეტ აგვისტოს დაინიშნა. იმ დღეს მართლაც აუტანელი სიცხე იყო თბილისში. ხელისუფლებას სურდა, რომ ეს პროცესი რაც შეიძლება მალე დასრულებულიყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმის მრავალი დეტალი ჯერ კიდევ სრულიად გაურკვეველი იყო.

ამ ცამეტი დღის განმავლობაში ბრალდებულები თვალებით ეძებდნენ ხოლმე მშობლებსა და ახლობლებს სასამართლოს დარბაზში და ქალბატონმა ნათელამაც თვალებით ჰკითხა გეგას, რამე ხომ არ აწუხებდა, რადგან დედას მოეჩვენა, რომ მის შვილს რაღაც სტკიოდა. გეგამაც თვალებით უპასუხა, რომ არაფერი აწუხებდა, მაგრამ ქალბატონი ნათელა დარწმუნებული იყო, რომ ციხეში რაღაც მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ მომხდარის შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ ის იყო დედა, რომელიც ყოველთვის გრძნობს და ხვდება შვილის ტკივილს. გეგამაც იგრძნო, რომ დედამისი დარდობდა ტკივილს, რომელიც გეგას ნამდვილად აწუხებდა, მაგრამ სასამართლოს დაწყების პირველი დღიდანვე ცდილობდა ყოფილიყო მხიარული და ღიმილიანი იმ ტკივილის დასაფარავად. გეგა ძალიან მაგარი მსახიობი იყო და პროცესზე დამსწრე ყველა ადამიანი ადვილად დაარწმუნა კიდეც იმაში, რომ ის საკმაოდ უდარდელად იქცეოდა მთელი სასამართლო პროცესის მანძილზე. უფრო სწორად, იქცეოდა ისე, რომ უდარდელი ადამიანის შთაბეჭდილება მოეხდინა ყველაზე და უპირველესად კი დედაზე, რომელიც მაინც ვერ მოატყუა. სინამდვილეში ამ

როლის შესრულება გეგასაც კი არ შეეძლო, რადგან თინა აღარ იყო ფემძიმედ და ამას გეგა სასამართლოს პირველივე დღიდან ხედავდა, მაგრამ მაინც არსებობდა სულ პატარა იმედი იმისა, რომ ის უკვე დედა იყო და ამიტომაც აღარ ჰქონდა ფეხმძიმე ქალის მუცელი. გეგაც პირველსავე დღეს დიდხანს, დაჟინებით აკვირდებოდა თინას მუცელს და თინა მიხვდა, რომ გეგა პასუხს ელოდა მისგან და თინამ ოდნავ, სულ ოდნავ გააქნია თავი უარის ნიშნად და გეგა მიხვდა, რომ უკვე ყველაფერი დამთავრდა.

თუმცა იმ ცამეტი დღის მანძილზე (განაჩენის გამოტანამდე), თუნდაც სასამართლოს დროს, შესვენებებზე, გეგას შეეძლო პირდაპირ ეკითხა თინასთვის და ზუსტად სცოდნოდა, რა მოხდა, როდის და როგორ, მაგრამ მას შეეშინდა სიმართლის, რომელსაც ცოლისაგან მოისმენდა პასუხად და სასამართლო პროცესი ისე დამთავრდა, გეგას თინასთვის არაფერი უკითხავს შვილის შესახებ. მან გადაწყვიტა, რომ ახლა იმედი უფრო მნიშვნელოვანი იყო მისთვის, ვიდრე სიმართლე.

სასამართლოს უკანასკნელი, განაჩენის გამოტანის დღე კი ბერის ჩვენებით დაიწყო, რომელმაც მოსამართლესა და ყველას, ვინც პროცესს ესწრებოდა, სინანულით მიმართა:

– მე ვიყავი და ვარ ამ ადამიანების მოძღვარი და ამიტომაც მთელი პასუხისმგებლობა იმის გამო, რაც ამ ადამიანებმა ჩაიდინეს, მე მეკისრება. ისინი ძალიან ახალგაზრდები არიან და კიდევ შეუძლიათ დაშვებული შეცდომების გამოსწორება, მათ შეუძლიათ კიდევ გამოადგნენ საზოგადოებასა და ჩვენს ქვეყანას და ამიტომაც ყველას გთხოვთ, ნუ იქნებით მათ მიმართ სასტიკები. იფიქრეთ იმაზე, რომ საკმარისია ის მსხვერპლი და სიკვდილი, რაც მათ ნაბიჯს მოჰყვა თან და თუ მაინცადამაინც კიდევ სწყურია ვიღაცას დამნაშავის სიკვდილი, მე ვარ მთავარი დამნაშავე და იქნებ ჩემი დასჯა საკმარისი იყოს ამ ახალგაზრდა ადამიანების გადასარჩენად...

მოსამართლემ ბერს უხეშად შეაწყვეტინა სიტყვა; ვიღაცამ კი დარბაზიდან ბოროტად იხუმრა: „თუ არ დაგხვრეტენ, რას იზავო“, – და ეს არ იყო შეკითხვა (სინამდვილეში), მაგრამ მამა თეოდორემ მაინც მორჩილად უპასუხა ანონიმ ცნობისმოყვარეს:

– სახლში ძველი საქართველოს რუკა მაქვს, სადაც თითქმის ყველა სოფელი და ეკლესიაა აღნიშნული, სოფელ-სოფელ ვივლი და ვილოცებ. მერე ყველაზე მიყრუებულ ადგილს ამოვირჩევ და იქ სამუდამოდ დავრჩები.

როცა ბერი დაჯდა, მთელს დარბაზში სამარისებური სიჩუმე კიდევ კარგა ხანს გრძელდებოდა, რადგან პროცესზე პირველმა სწორედ მან ახსენა სიტყვა სიკვდილი. სიჩუმე ისევ მოსამართლემ დაარღვია და სასწრაფოდ ის ასაკოვანი მოწმე გამოიძახა, რომელსაც წინა ღამეს საგულდაგულოდ გაესაუბრნენ კაგებეს შენობაში.

მოსამართლემ მონიწებით მიმართა მოწმე ბერიკაცს და რაც ახსოვდა, იმის მოყოლა სთხოვა. ბერიკაცმაც გულწრფელად დაიწყო:

– ცუდი ამბავი იყო შვილებო, ძალიან ცუდი. მაშინაც აქ, თბილისში ვიწექი საავადმყოფოში და ცოტა რო მოვიკეთე, სახლში წასვლას ავჩქარდი, მაგრამ ჩემს ცოლზე ახლაც იმიტომ ვბრაზობ, რომ მაგან აიჩემა რომ თვითმფრინავით წამოდი, ავტობუსს არ გამოყვე, შენი ჯანმრთელობისთვის ეგრე ჯობიაო, თორე რაღა დროს თვითმფრინავი იყო ჩემს ასაკში. მე ვუთხარი, მაშინ მატარებელს გამოვყვები, ეგეც ავტობუსივით ხომ არ იჯაყჯაყებს-მეთქი და არაო, მაინც თვითმფრინავიო, იქნებ ამ ბოლო მანდარინებს მაინც ჩამოუსწრო, ყველამ

ჩამოკრიფა და ჩვენ ისიც დაგვილპება, რაც დაგვრჩაო. ქალის ამბავი ხომ იცით, რო შემოგიჩნდება და...

– საქმეზე ილაპარაკეთ, თუ შეიძლება

– საქმეზე კიდევ იმას მოგახსენებთ, რომ რაც აქ მოვისმინე, ყველაფერი მართალია და აეგ მღვდელი არ მახსოვს, თორე ესენი კი მახსოვს იმ თვითმფრინავში და ან კი რა დამავიწყებს, ისეთი ამბავი ტრიალებდა, მტერსაც არ ვუსურვებ...

– ესე იგი ადასტურებთ, რომ ეს ბრალდებულები იყვნენ სწორედ ისინი, ვინც თვითმფრინავის გატაცებას ცდილობდნენ?

– ხომ მოგახსენეთ, უფროსო, რომ ესენი კარგად მახსოვს იმ თვითმფრინავში და ეგ მღვდელი კი არ მაგონდება.

– ესე იგი ადასტურებთ, რომ გარდა თქვენს მიერ ხსენებული ბრალდებულისა, განსასჯელთა სკამზე მსხდომი დანარჩენები კარგად გახსოვთ, როგორც ტერორისტები?

– ეგენი ყველანი მახსოვს და აკი გითხარით, უფროსო, რომ მღვდელი არ მაგონდება, თორე წვერები ერთ ამათ ამხანაგსაც ჰქონდა, მაგრამ აქ არ არის და თანაც იმას ღია წვერი ჰქონდა, ამას შავი აქვს და ამას არა ჰგავს, ის სხვა იყო...

– სხვებზე არ გეკითხებით, ამჟამად თქვენს წინაშე და სასამართლოზე წარმოდგენილი ბრალდებულების შესახებ არის საუბარი და თუ ადასტურებთ, რომ სწორედ ეს ტერორისტები ცდილობდნენ იმ თვითმფრინავის გატაცებას, რომლის მგზავრიც თქვენ იყავით.

– ეგენი იყვნენ, უფროსო, ტყუილი როგორ ვთქვა.

– ადასტურებთ, რომ მათ მცდელობას შეიარაღებული გზით გაეტაცებინათ თვითმფრინავი, მსხვერპლი მოჰყვა?

– მსხვერპლი როგორ არ მოყვა, კაცო, დახოცილებიც იყვნენ, დაჭრილებიც და ისეთი დალეწილებიც, რო წამოვიდა ზეიდან თვითმფრინავი, ხალხი ისე აიზილა რო...

– თუ შეგიძლიათ, რომ კონკრეტულად გვითხრათ, განსასჯელებიდან რომელი მათგანი იყო შეიარაღებული და რა ტიპის იარაღიდან აწარმოებდნენ გამტაცებლები გასროლას მგზავრების მიმართულებით.

–ამათ რა ეკავათ, არ ვიცი, უფროსო, იმიტომ რომ გლეხი კაცი ვარ და ეგეთებში ვერ ვერკვევი, მაგრამ რო დავჯექით და გარედან რო ჯარი გვესროდა, იმათ სულ ავტომატები ეჭირათ...

– ესე იგი ადასტურებთ, რომ ბრალდებულები შეიარაღებულები იყვნენ?

– ესენი? მაშ როგორ, კაცო, აბა, უიარაღოდ თვითმფრინავის გატაცება სად გაგონილა.

– კონკრეტულად თუ შეგიძლიათ გვითხრათ, კონკრეტულად რომელი მათგანის გასროლას მოჰყვა რომელიმე მგზავრის გარდაცვალება ან სხეულის დაზიანება ანუ დაჭრა?

– როგორ გითხრა, უფროსო, ბევრი სროლა იყო და სულ ძირს ვიწექი და სანამ ისროდნენ, თავი არც ამიწევია.

– და როცა სროლა შეწყდა, წამოჯექით და ალბათ დაინახეთ შეიარაღებული ადამიანები, რომლებიც ახლა თქვენს წინაშე სხედან.

– წამოვჯექი, მაგრამ წამოდგომა კი ველარ შევძელი, ძაან ცუდად ვიყავი, პირი ისე მიშრებოდა...

– და ალბათ დაინახეთ რომელიმე მათგანი იარაღით ხელში.

– კი უფროსო, აი ეგ დავინახე და კარგად მახსოვს, რო ეგ იყო, იმიტო რო ტელევიზორში მყავდა ნანახი და იმ კინოს კი რა ჰქვია, აღარ მახსოვს...

– იარაღი თუ გახსოვთ, როგორი იარაღი ეჭირა ხელში ტერორისტს?

– მაგასა, უფროსო, ბომბი ეჭირა ცალ ხელში, ოღონდ ომზე რო კინოებია, ისეთი კი არა, მრგვალი ბომბი ეჭირა ცალ ხელში...

– მეორეში?

– მეორეში? ვთქვა, უფროსო?

– დიახ, ყველაფერი უნდა თქვათ, რაც იცით და გახსოვთ, აქ სწორედ ამისთვის ხართ, ბრძანეთ.

– რა ვიცი, უფროსო, რო ვთქვა, საქმისა არაფერი გავაფუჭო-მეთქი.

– სწორედ საქმის გამოძიებისა და სასამართლოსთვის არის მნიშვნელოვანი ყველა დეტალი.

– მაშ ვთქვა, უფროსო?

– დიახ, მოახსენეთ სასამართლოს, რა ეჭირა მეორე ხელში ამ ბრალდებულს?

– მეორეში ჭიქა ეჭირა.

– რა ჭიქა?

– ჩვეულებრივი ჭიქა იყო და ვინც ცუდად იყო, იმათთვის წყალი მიჰქონდა ხოლმე.

მოსამართლე საკმაოდ დაიბნა მოულოდნელი პასუხის გამო და ამიტომაც მოწმეს შემდეგი შეკითხვით აშკარად დაგვიანებით მიმართა:

– მერე?

– მერე მეც ამან მომიტანა წყალი და ცოტა მოვიხედე....

– მერე?

– რაღა მერე, უფროსო, ამათი სიკვდილიც ხო ცოდვა იქნება...

მოწმე ბერიკაცს ჯერ ხმა აუკანკალდა, მერე ჯერ ერთი ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე და მერე თავშეუკავებლად, ხმამაღლა ატირდა.

მოსამართლემ შესვენება გამოაცხადა.

www.ChiaturaINFO.GE

პროცესი

სასამართლო პროცესი ერქვა, თორემ სინამდვილეში სასამართლო არ არსებობდა (როგორც სამართალი) და არსებობდა მხოლოდ პროცესი, რომელიც დანიშნეს გამოძიების დაწყებიდან ცხრა თვეში, ისე რომ მოწმეების უმრავლესობა დაკითხულიც არ ჰყავდათ. მაშინ საგამოძიებო ვადების შეზღუდვა საერთოდ არ არსებობდა საბჭოთა კანონების მიხედვით და ამიტომაც აშკარა იყო, რომ მაშინდელ ხელისუფლებას ძალიან ეჩქარებოდა თვითმფრინავის გამტაცებლებისთვის განაჩენის გამოტანა.

სასამართლო პროცესი კი დაიწყო პირველ აგვისტოს, მაშინ, როცა თბილისს ისინიც კი ტოვებენ ხოლმე, ვისაც წასავლელი არსად არა აქვს. თბილისში აგვისტოს დასაწყისში ისეთი სიცხე იცის რომ ახლომახლო აგარაკებს შეფარებული ადამიანებიც კი დასავლეთ საქართველოში, ზღვისკენ გარბიან.

ხელისუფლებას სურდა, სასამართლო სწრაფად და უხმაუროდ დამთავრებულიყო, პროცესს მხოლოდ მშობლები დასწრებოდნენ და თბილისი ამ დროს ყოფილიყო მაქსიმალურად ცარიელი, რომ არავის გამოეთქვა ან გამოეხატა პროტესტი სასამართლო პროცესის მიმართ, რომელიც სინამდვილეში ცუდად დადგმული სპექტაკლი იყო.

სასამართლო დარბაზში უმრავლესობას კაგებეს თანამშრომლები შეადგენდნენ და მხოლოდ ბრალდებულების მშობლებს მისცეს პროცესზე დასწრების უფლება და არავის სხვას – მათ შორის გატაცებული თვითმფრინავის ყოფილ მგზავრებსაც. მგზავრებიდან მხოლოდ ისინი შეარჩიეს, ვინც მათი აზრით, მხოლოდ იმას იტყოდა, რაც ხელისუფლებას სურდა. მიუხედავად ამისა, ვერცერთმა მოწმემ ვერცერთ ბრალდებულს ხელი ვერ დაადო როგორც მკვლელს და რამდენიმე დღის შემდეგ განაჩენის დღეც დაინიშნა.

განაჩენის წინა ღამეს კაგებეში ის მგზავრი დაიბარეს, რომელსაც პატიმარი შვილი ჰყავდა. ეს იყო საკმაოდ ასაკოვანი კაცი, რომელიც წლების გარდა, დარდსაც მოეტეხა, რადგან მისი ერთადერთი შვილი ავტოავარიის გამო, უკვე მერამდენე წელი იყო, რაც სასჯელს იხდიდა.

მოხუცი ისეთი შეშინებული და აღელვებული იყო, რომ წყალიც კი დაალევინეს, მაგრამ სანამ არ უთხრეს კაგებეში დაბარების მიზეზი, მაინც ვერ დაამშვიდეს. თუმცა რაც უთხრეს, ალბათ ყველაზე ცუდი იყო, თუმცა მოხუცი ამას მხოლოდ მეორე დღეს, სასამართლოზე მიხვდა. იქ კი, კაგებეს ჩინოსნის ოთახში, მხოლოდ თავს უქნევდა იმ ჰალსტუხიან ხალხს და, რასაკვირველია, სულ არ ფიქრობდა იმაზე, ამ ხალხს ამ სიცხეში, ყელში წაჭერილი ჰასტუხები რატომ არ აწუხებდა.

საუბარი კი მოხუცთან ცოტა შორიდან დაიწყეს.

– თქვენი შვილი უკვე მეხუთე წელია ციხეში ზის.

– დიახ.

– ალბათ ძალიან გიჭირთ.

– დიახ.

– ალბათ გინდათ, რომ მალე გათავისუფლდეს.

– დიახ.

– ალბათ იცით, რომ ზოგჯერ ზოგიერთ პატიმარს პატიმრობის ვადას უმცირებენ ხოლმე და უფრო ადრე უშვებენ სახლში.

– დიახ.

– ალბათ გენატრებათ შვილი.

– დიახ.

– ალბათ ისიც იცით, რომ სახლში ვადამდე იმ პატიმრებს უშვებენ, რომლებიც კარგად იქცევიან.

– დიახ.

– ან მათი მშობლები.

– დიახ.

– ან მათი მშობლები იქცევიან კარგად.

– დიახ.

– აი მაგალითად თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ სახელმწიფოს, რომ თქვენი შვილი ვადამდე გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

– დიახ.

– იმედია გინდათ შვილის დახმარება.

– დიახ.

– მაგრამ არ იცით – როგორ.

– დიახ.

– დიახ იცით, თუ დიახ არ იცით?

– დიახ.

– რა დიახ?

კაცმა ჯერ წყალი დალია, მერე ისევ მოითხოვა, კიდევ ერთი ჭიქა დალია და მხოლოდ ამის შემდეგ წარმოთქვა მისთვის ალბათ ყველაზე გრძელი წინადადება:

– ჩემი ცოლი წერდა განცხადებებს შეწყალებაზე, ახლაც წერს ხოლმე. ყველა ამბობდა იმ ცხონებულის ბრალი იყო, ისეთ ადგილას გადაირბინაო, მაგრამ...

– მაგრამ არაფერი?

– არაფერი. მეხუთე წელია ზის.

– ჩვენც სწორედ ეს გითხარით, რომ ახლა შეგიძლიათ შვილს დაეხმაროთ.

– რას ამბობთ, კაცო, იმდენ ფულს გვთხოვენ, რომ სახლს კი გავყიდიდი, მაგრამ მაინც არ ეყოფა და...

– არა, რას ბრძანებთ, აქ ფულზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ სახელმწიფოს დახმარებაზე, რის სანაცვლოდაც სახელმწიფო თქვენს შვილს შეიწყალებს.

– მე, აბა, ისეთი რა უნდა დავეხმარო ამოტოლა სახელმწიფოს, რო ჩემი ბიჭი ციხიდან გამოუშვან. მე, აბა, განა რა შემიძლიან, ერთი უბრალო კაცი ვარ...

– სწორედ თქვენ შეგიძლიათ, სწორედ იმიტომ, რომ უბრალო, მშრომელი და პატიოსანი კაცი ბრძანდებით და თქვენს სიტყვას ხვალინდელ სასამართლოზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

– რას ამბობთ, კაცო, აბა, მე ეგეთი რა უნდა ვთქვა?

– რაც იცით და რაც მაშინ იმ თვითმფრინავში დაინახეთ, ის თქვით.

– რა უნდა დამენახა, აბა, სულ ძირს ვიწექი და...

– ხალხი რომ დახოცეს, ხომ დაინახეთ?

– დახოცილები როგორ არ დავინახე.

– მერე?

– მერე ცუდად გავხდი, შვილო, და იმის მერე კარგად არც გავმხდარვარ, სულ ექიმებთან დავყავარ ჩემს ცოლს, მაგრამ ჯერჯერობით უკეთესობას მაინც ვერა ვგრძნობ.

– თქვენი დახმარებაც სწორედ ეგ იქნება, რომ ხვალ სასამართლოზეც იგივე მოყვეთ, რომ დამნაშავეები საკადრისად დაისაჯონ, აბა, თქვენი უდანაშაულო შვილი ციხეში უნდა იჯდეს და ის ბანდიტები გმირებივით ცხოვრობდნენ?

– მეც სულ მაგას ვფიქრობ, რომ ჩემს შვილზე ჯერ აუგი არავის დასცდენია და გამომძიებელიც სულ მაგას იძახდა, რომ მაგის ბრალი არ იყოო...

– ჰოდა, თქვენი შვილიც მალე სახლში დაბრუნდება, ბანდიტები და ტერორისტები სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ! თქვენი შვილი კი საყვარელ ოჯახს უნდა დაუბრუნდეს.

– თუ მაგ სიკეთეს იზავთ, თქვენი ჭირიმე, თორემ ვერც მე მომისწრებს ცოცხალს და ვეღარც დედამისს, ორივენი დავილიეთ მაგის მოლოდინში...

– ჰოდა, ბერიკაცო, ხვალ თუ იმ მკვლელების ამბავს სასამართლოზეც ესე კოხტად მოჰყვებით, ზეგ-მაზეგ შვილი უკვე სახლში გეყოლებათ.

– რატო არ უნდა მოვყვე, რაც იყო და როგორც იყო, ყველაფერს წვრილად ვიტყვი.

– ხალხს ვინც ესროდა, იმათი სახეები ხო კარგად გახსოვთ?

– გარედან ვინც გვესროდა, იმათ, აბა, რას დავიმახსოვრებდი.

– ეგენი დაივიწყე, ძიაკაცო, ვინც თვითმფრინავი გაიტაცა და მერე ხალხი დახოცა, ისინი უნდა ამოიცნო.

– ეგენი, აბა, როგორ უნდა ამოვიცნო, სულ ძირს ვიწექით-მეთქი.

– რა ამოცნობა მაგათ უნდა ძიაკაცო, ყველანი იქ ისხდებიან შენს წინ და მოსამართლე რომ შეგეკითხება, ესენი თუ იყვნენო, თავს დაუქნევ და დაუდასტურებ. თვითმფრინავი ვინც გაიტაცა, იმათი სახეები ხომ გახსოვს?

– მაგათ რა დამავიწყებს.

– ჰოდა, ხალხიც მაგათ დახოცეს და პასუხიც მაგათ თუნდა აგონ.

– თუ მაგათი მოკლულია, თქვენ უკეთ არ გეცოდინებათ?

– გამოძიებამ უკვე ყველაფერი დაადგინა, მაგრამ თქვენისთანა პატიოსანი კაცი, რომელიც იმ თვითმფრინავში იჯდა და იგივეს დაადასტურებს, ამით სახელმწიფოსაც დაეხმარება და საკუთარ შვილსაც.

იმ ჩინოსანმა, რომელიც დანარჩენების უფროსს ჰგავდა, ბოლომდე გამოაცილა ბერიკაცი და მძღოლთან ერთად სამსახურეობრივი ავტომობილით თბილისელი ნათესავების სახლამდეც მიიყვანა. აბა, თქვენ იცით, ხვალ თქვენი იმედი გვაქვსო, – მოწიწებით დაემშვიდობა კაგებეს ჩინოსანი და ხელიც მაგრად ჩამოართვა საიმედო მოწმეს.

სასამართლო პროცესის უკანასკნელი, განაჩენის დღე ცამეტ აგვისტოს დაინიშნა. იმ დღეს მართლაც აუტანელი სიცხე იყო თბილისში. ხელისუფლებას სურდა, რომ ეს პროცესი რაც შეიძლება მალე დასრულებულიყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმის მრავალი დეტალი ჯერ კიდევ სრულიად გაურკვეველი იყო.

ამ ცამეტი დღის განმავლობაში ბრალდებულები თვალებით ეძებდნენ ხოლმე მშობლებსა და ახლობლებს სასამართლოს დარბაზში და ქალბატონმა ნათელამაც თვალებით ჰკითხა გეგას, რამე ხომ არ აწუხებდა, რადგან დედას მოეჩვენა, რომ მის შვილს რაღაც სტკიოდა. გეგამაც თვალებით უპასუხა, რომ არაფერი აწუხებდა, მაგრამ ქალბატონი ნათელა დარწმუნებული იყო, რომ ციხეში რაღაც მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ მომხდარის შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ ის იყო დედა, რომელიც ყოველთვის გრძნობს და ხვდება შვილის ტკივილს. გეგამაც იგრძნო, რომ დედამისი დარდობდა ტკივილს, რომელიც გეგას ნამდვილად აწუხებდა, მაგრამ სასამართლოს დაწყების პირველი დღიდანვე ცდილობდა ყოფილიყო მხიარული და ღიმილიანი იმ ტკივილის დასაფარავად. გეგა ძალიან მაგარი მსახიობი იყო და პროცესზე დამსწრე ყველა ადამიანი ადვილად დაარწმუნა კიდეც იმაში, რომ ის საკმაოდ უდარდელად იქცეოდა მთელი სასამართლო პროცესის მანძილზე. უფრო სწორად, იქცეოდა ისე, რომ უდარდელი ადამიანის შთაბეჭდილება მოეხდინა ყველაზე და უპირველესად კი დედაზე, რომელიც მაინც ვერ მოატყუა. სინამდვილეში ამ

როლის შესრულება გეგასაც კი არ შეეძლო, რადგან თინა აღარ იყო ფემძიმედ და ამას გეგა სასამართლოს პირველივე დღიდან ხედავდა, მაგრამ მაინც არსებობდა სულ პატარა იმედი იმისა, რომ ის უკვე დედა იყო და ამიტომაც აღარ ჰქონდა ფეხმძიმე ქალის მუცელი. გეგაც პირველსავე დღეს დიდხანს, დაჟინებით აკვირდებოდა თინას მუცელს და თინა მიხვდა, რომ გეგა პასუხს ელოდა მისგან და თინამ ოდნავ, სულ ოდნავ გააქნია თავი უარის ნიშნად და გეგა მიხვდა, რომ უკვე ყველაფერი დამთავრდა.

თუმცა იმ ცამეტი დღის მანძილზე (განაჩენის გამოტანამდე), თუნდაც სასამართლოს დროს, შესვენებებზე, გეგას შეეძლო პირდაპირ ეკითხა თინასთვის და ზუსტად სცოდნოდა, რა მოხდა, როდის და როგორ, მაგრამ მას შეეშინდა სიმართლის, რომელსაც ცოლისაგან მოისმენდა პასუხად და სასამართლო პროცესი ისე დამთავრდა, გეგას თინასთვის არაფერი უკითხავს შვილის შესახებ. მან გადაწყვიტა, რომ ახლა იმედი უფრო მნიშვნელოვანი იყო მისთვის, ვიდრე სიმართლე.

სასამართლოს უკანასკნელი, განაჩენის გამოტანის დღე კი ბერის ჩვენებით დაიწყო, რომელმაც მოსამართლესა და ყველას, ვინც პროცესს ესწრებოდა, სინანულით მიმართა:

– მე ვიყავი და ვარ ამ ადამიანების მოძღვარი და ამიტომაც მთელი პასუხისმგებლობა იმის გამო, რაც ამ ადამიანებმა ჩაიდინეს, მე მეკისრება. ისინი ძალიან ახალგაზრდები არიან და კიდევ შეუძლიათ დაშვებული შეცდომების გამოსწორება, მათ შეუძლიათ კიდევ გამოადგნენ საზოგადოებასა და ჩვენს ქვეყანას და ამიტომაც ყველას გთხოვთ, ნუ იქნებით მათ მიმართ სასტიკები. იფიქრეთ იმაზე, რომ საკმარისია ის მსხვერპლი და სიკვდილი, რაც მათ ნაბიჯს მოჰყვა თან და თუ მაინცადამაინც კიდევ სწყურია ვიღაცას დამნაშავის სიკვდილი, მე ვარ მთავარი დამნაშავე და იქნებ ჩემი დასჯა საკმარისი იყოს ამ ახალგაზრდა ადამიანების გადასარჩენად...

მოსამართლემ ბერს უხეშად შეაწყვეტინა სიტყვა; ვიღაცამ კი დარბაზიდან ბოროტად იხუმრა: „თუ არ დაგხვრეტენ, რას იზავო“, – და ეს არ იყო შეკითხვა (სინამდვილეში), მაგრამ მამა თეოდორემ მაინც მორჩილად უპასუხა ანონიმ ცნობისმოყვარეს:

– სახლში ძველი საქართველოს რუკა მაქვს, სადაც თითქმის ყველა სოფელი და ეკლესიაა აღნიშნული, სოფელ-სოფელ ვივლი და ვილოცებ. მერე ყველაზე მიყრუებულ ადგილს ამოვირჩევ და იქ სამუდამოდ დავრჩები.

როცა ბერი დაჯდა, მთელს დარბაზში სამარისებური სიჩუმე კიდევ კარგა ხანს გრძელდებოდა, რადგან პროცესზე პირველმა სწორედ მან ახსენა სიტყვა სიკვდილი. სიჩუმე ისევ მოსამართლემ დაარღვია და სასწრაფოდ ის ასაკოვანი მოწმე გამოიძახა, რომელსაც წინა ღამეს საგულდაგულოდ გაესაუბრნენ კაგებეს შენობაში.

მოსამართლემ მონიწებით მიმართა მოწმე ბერიკაცს და რაც ახსოვდა, იმის მოყოლა სთხოვა. ბერიკაცმაც გულწრფელად დაიწყო:

– ცუდი ამბავი იყო შვილებო, ძალიან ცუდი. მაშინაც აქ, თბილისში ვიწექი საავადმყოფოში და ცოტა რო მოვიკეთე, სახლში წასვლას ავჩქარდი, მაგრამ ჩემს ცოლზე ახლაც იმიტომ ვბრაზობ, რომ მაგან აიჩემა რომ თვითმფრინავით წამოდი, ავტობუსს არ გამოყვე, შენი ჯანმრთელობისთვის ეგრე ჯობიაო, თორე რაღა დროს თვითმფრინავი იყო ჩემს ასაკში. მე ვუთხარი, მაშინ მატარებელს გამოვყვები, ეგეც ავტობუსივით ხომ არ იჯაყჯაყებს-მეთქი და არაო, მაინც თვითმფრინავიო, იქნებ ამ ბოლო მანდარინებს მაინც ჩამოუსწრო, ყველამ

ჩამოკრიფა და ჩვენ ისიც დაგვილპება, რაც დაგვრჩაო. ქალის ამბავი ხომ იცით, რო შემოგიჩნდება და...

– საქმეზე ილაპარაკეთ, თუ შეიძლება

– საქმეზე კიდევ იმას მოგახსენებთ, რომ რაც აქ მოვისმინე, ყველაფერი მართალია და აეგ მღვდელი არ მახსოვს, თორე ესენი კი მახსოვს იმ თვითმფრინავში და ან კი რა დამავიწყებს, ისეთი ამბავი ტრიალებდა, მტერსაც არ ვუსურვებ...

– ესე იგი ადასტურებთ, რომ ეს ბრალდებულები იყვნენ სწორედ ისინი, ვინც თვითმფრინავის გატაცებას ცდილობდნენ?

– ხომ მოგახსენეთ, უფროსო, რომ ესენი კარგად მახსოვს იმ თვითმფრინავში და ეგ მღვდელი კი არ მაგონდება.

– ესე იგი ადასტურებთ, რომ გარდა თქვენს მიერ ხსენებული ბრალდებულისა, განსასჯელთა სკამზე მსხდომი დანარჩენები კარგად გახსოვთ, როგორც ტერორისტები?

– ეგენი ყველანი მახსოვს და აკი გითხარით, უფროსო, რომ მღვდელი არ მაგონდება, თორე წვერები ერთ ამათ ამხანაგსაც ჰქონდა, მაგრამ აქ არ არის და თანაც იმას ღია წვერი ჰქონდა, ამას შავი აქვს და ამას არა ჰგავს, ის სხვა იყო...

– სხვებზე არ გეკითხებით, ამჟამად თქვენს წინაშე და სასამართლოზე წარმოდგენილი ბრალდებულების შესახებ არის საუბარი და თუ ადასტურებთ, რომ სწორედ ეს ტერორისტები ცდილობდნენ იმ თვითმფრინავის გატაცებას, რომლის მგზავრიც თქვენ იყავით.

– ეგენი იყვნენ, უფროსო, ტყუილი როგორ ვთქვა.

– ადასტურებთ, რომ მათ მცდელობას შეიარაღებული გზით გაეტაცებინათ თვითმფრინავი, მსხვერპლი მოჰყვა?

– მსხვერპლი როგორ არ მოყვა, კაცო, დახოცილებიც იყვნენ, დაჭრილებიც და ისეთი დალეწილებიც, რო წამოვიდა ზეიდან თვითმფრინავი, ხალხი ისე აიზილა რო...

– თუ შეგიძლიათ, რომ კონკრეტულად გვითხრათ, განსასჯელებიდან რომელი მათგანი იყო შეიარაღებული და რა ტიპის იარაღიდან აწარმოებდნენ გამტაცებლები გასროლას მგზავრების მიმართულებით.

–ამათ რა ეკავათ, არ ვიცი, უფროსო, იმიტომ რომ გლეხი კაცი ვარ და ეგეთებში ვერ ვერკვევი, მაგრამ რო დავჯექით და გარედან რო ჯარი გვესროდა, იმათ სულ ავტომატები ეჭირათ...

– ესე იგი ადასტურებთ, რომ ბრალდებულები შეიარაღებულები იყვნენ?

– ესენი? მაშ როგორ, კაცო, აბა, უიარაღოდ თვითმფრინავის გატაცება სად გაგონილა.

– კონკრეტულად თუ შეგიძლიათ გვითხრათ, კონკრეტულად რომელი მათგანის გასროლას მოჰყვა რომელიმე მგზავრის გარდაცვალება ან სხეულის დაზიანება ანუ დაჭრა?

– როგორ გითხრა, უფროსო, ბევრი სროლა იყო და სულ ძირს ვიწექი და სანამ ისროდნენ, თავი არც ამიწევია.

– და როცა სროლა შეწყდა, წამოჯექით და ალბათ დაინახეთ შეიარაღებული ადამიანები, რომლებიც ახლა თქვენს წინაშე სხედან.

– წამოვჯექი, მაგრამ წამოდგომა კი ველარ შევძელი, ძაან ცუდად ვიყავი, პირი ისე მიშრებოდა...

– და ალბათ დაინახეთ რომელიმე მათგანი იარაღით ხელში.

– კი უფროსო, აი ეგ დავინახე და კარგად მახსოვს, რო ეგ იყო, იმიტო რო ტელევიზორში მყავდა ნანახი და იმ კინოს კი რა ჰქვია, აღარ მახსოვს...

– იარაღი თუ გახსოვთ, როგორი იარაღი ეჭირა ხელში ტერორისტს?

– მაგასა, უფროსო, ბომბი ეჭირა ცალ ხელში, ოღონდ ომზე რო კინოებია, ისეთი კი არა, მრგვალი ბომბი ეჭირა ცალ ხელში...

– მეორეში?

– მეორეში? ვთქვა, უფროსო?

– დიახ, ყველაფერი უნდა თქვათ, რაც იცით და გახსოვთ, აქ სწორედ ამისთვის ხართ, ბრძანეთ.

– რა ვიცი, უფროსო, რო ვთქვა, საქმისა არაფერი გავაფუჭო-მეთქი.

– სწორედ საქმის გამოძიებისა და სასამართლოსთვის არის მნიშვნელოვანი ყველა დეტალი.

– მაშ ვთქვა, უფროსო?

– დიახ, მოახსენეთ სასამართლოს, რა ეჭირა მეორე ხელში ამ ბრალდებულს?

– მეორეში ჭიქა ეჭირა.

– რა ჭიქა?

– ჩვეულებრივი ჭიქა იყო და ვინც ცუდად იყო, იმათთვის წყალი მიჰქონდა ხოლმე.

მოსამართლე საკმაოდ დაიბნა მოულოდნელი პასუხის გამო და ამიტომაც მოწმეს შემდეგი შეკითხვით აშკარად დაგვიანებით მიმართა:

– მერე?

– მერე მეც ამან მომიტანა წყალი და ცოტა მოვიხედე....

– მერე?

– რაღა მერე, უფროსო, ამათი სიკვდილიც ხო ცოდვა იქნება...

მოწმე ბერიკაცს ჯერ ხმა აუკანკალდა, მერე ჯერ ერთი ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე და მერე თავშეუკავებლად, ხმამაღლა ატირდა.

მოსამართლემ შესვენება გამოაცხადა.

www.ChiaturaINFO.GE

აღსასრული

შესვენების შემდეგ მოწმე ბერიკაცი, რასაკვირველია, დარბაზში აღარ დაუბრუნებიათ.

მიუხედავად ყველაფრისა და იმისა, რომ სიტყვა სიკვდილი უკვე მეორედ ახსენეს იმ დღეს, არათუ ბრალდებულებსა და მათ მშობლებს, პროცესზე დამსწრე კაგებეს თანამშრომლებსაც კი გაუკვირდათ განაჩენის სისასტიკე. განაჩენი, რომელიც მოსამართლემ წაიკითხა, მაინც სრულიად მოულოდნელი იყო ყველასათვის: თინას თოთხმეტი წელი მიესაჯა, დანარჩენებს კი – დახვრეტა.

განაჩენის გამოცხადებისთანავე ბრალდებულები დარბაზიდან გაიყვანეს. გეგა თვალებით ეძებდა დედამისს, რომელიც გაუნძრევლად იდგა და მხოლოდ შვილის ზურგს ხედავდა. გეგა სადღაც მიჰყავდათ, მაგრამ არა დასახვრეტად, რადგან ამის დაჯერება მაინც შუძლებელი იყო. მაინც არავის სურდა იმის დაჯერება, რომ გეგასა და მის მეგობრებს დახვრეტდნენ, რადგან ჯერ კიდევ იყო დარჩენილი მათი გადარჩენის ბოლო შანსი – შეწყალება, რომელსაც ხელისუფლება გაიღებდა ხოლმე სიკვდილმისჯილებისთვის.

ახლა საჭირო იყო წერილი, რომელსაც მაშინდელი საქართველოს ყველაზე ავტორიტეტული ადამიანები მოაწერდნენ ხელს და თხოვნით მიმართავდნენ ხელისუფლებას, სიცოცხლე შეენარჩუნებინა გზასაცდენილი ახალგაზრდა ადამიანებისათვის. იმ წერილში, რომელიც რამდენიმე ადამიანმა შეადგინა სწორედ ასე ეწერა, მაგრამ მხოლოდ იმ რამდენიმე ადამიანის ხელმოწერა საკმარისი არ იყო და მთელს საქართველოში დაიწყეს ცნობილი და ავტორიტეტული ქართველების ძებნა.

მათი უმრავლესობა ამ დროს, შუა აგვისტოში, შავ ზღაზე ისვენებდა, ძირითადად აფხაზეთში და მათ პირდაპირ სანაპიროზე აკითხავდნენ. გეგას მეგობრები და უბრალოდ ახალგაზრდა მოხალისეები ნაპირ-ნაპირ ეძებდნენ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს და მზესმფიცხებულებს, ზღვის პირასვე ეჩურჩულებოდნენ სათქმელს. დასვენებული ქართული ინტელიგენცია სხვადასხვა მიზეზით აწერდა ხელს თვითმფრინავის ბიჭების შეწყალების თხოვნას: ზოგი გეგას სიყვარულითა და გულწრფელად, ზოგი სხვების წაბაძვით, ზოგს შეფარვით უთხრეს, რომ ამ წერილის იდეა თვითონ ხელისუფლებიდან მოდიოდა, რომ ისინი უფრო გაბედულები ყოფილიყვნენ.

შეწყალების წერილი მოსკოვში უნდა გაეგზავნათ ან ჩაეტანათ, რადგან ქართველებს გულწრფელად და გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ თვითმფრინავის ბიჭების დახვრეტის გადაწყვეტილება მოსკოვში მიიღეს და საქართველოს ხელისუფლებამ მხოლოდ შეასრულა რუსების დავალება. როცა საქართველოს ხელისუფლებამ აღმოაჩინა, რომ შეწყალების თხოვნას ისეთი ქართველი მეცნიერები, რეჟისორები თუ მსახიობებიც აწერდნენ ხელს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობდნენ ან ლოიალურად იყვნენ განწყობილები, საქართველოს ხელისუფლება არა მხოლოდ შეშფოთდა, აღშფოთდა კიდეც. ქართველი კომუნისტების შეშფოთების მიზეზი იყო კრემლის მოსალოდნელი უარყოფითი რეაქცია იმის გამო, რომ ქართველი ინტელიგენცია თურმე ასე ღიად და თამამად იცავდა ანტისაბჭოურ ელემენტებს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს ხელისუფლება ცუდად მუშაობდა თავის ინტელიგენციასთან და საერთოდ ცუდად მუშაობდა. ქართველი ცეკას მდივნების აღშფოთების მიზეზი კი ის იყო, რომ ქართველი ინტელიგენტები, ვისაც მთავრობა სახლებს, მანქანებსა და აგარაკებს ურიგებდა, საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად ხელს აწერდნენ

თვითმფრინავის გამტაცებლების შეწყალების მოთხოვნას და ღალატობდნენ საქართველოს კომუნისტურ პარტიას და პირადად ცეკას პირველ მდივანს.

განაჩენი გამოიტანეს ცამეტ აგვისტოს. სატელევიზიო გადაცემა სახელწოდებით „ბანდიტები“ კი ეთერში გაუშვეს ათი დღის შემდეგ, ოცდასამ აგვისტოს. ათი დღე ამონტაჟებდნენ მასალას ისე, რომ მაყურებელს ოდნავ მაინც არ შეჰპარვოდა ეჭვი რომ საქმე ჰქონდა მართლა ბანდიტებთან, ციხიკოს მკვლელებთან და ნამდვილ ტერორისტებთან, რომლებიც სხვას არაფერს იმსახურებდნენ, დახვრეტის გარდა. ათი დღე ბჭობდნენ იმ დეტალების შესახებ, რაც უნდა შეერჩიათ ქართველი მაყურებლისთვის და იყო დეტალები, თვითონ მათ შორისაც რომ კამათს იწვევდა. მაგალითად, იყო დეტალი, რომელიც შეეხებოდა პაატა ივერიელს, რომელმაც თვითმფრინავის შტურმის დაწყებამდე თავისი ტყვიით გახვრეტილი პასპორტი აჩუქა მშვენიერ მგზავრს, სახელად კატრინას (მე აღარ დამჭირდებაო). ხელისუფლება სერიოზულად გეგმავდა პაატა ივერიელის წინააღმდეგ ქალების გამოყენებას. გამოძიების მსვლელობისას (თუ ასე შეიძლება ეწოდოს იმ პროცესს), მოძებნეს რამდენიმე ქალი, ვისთანაც პაატა ივერიელს სხვადასხვა დროს ჰქონდა რომანი და სურდათ მათი გამოყვანა სასამართლოზე, სადაც მათ უნდა დაეხასიათებინათ პაატა ივერიელი, როგორც სექსუალური მონსტრი. სასამართლოზე უნდა ეთქვათ, რომ ძმები ივერიელები ამერიკაში მიდიოდნენ არა იმიტომ, რომ საკუთარი სამედიცინო კლინიკა ჰქონოდათ (როგორც თვითონ ამბობდნენ), არამედ იმიტომ, რომ იქ ეგულებოდათ მათსავით აღვირახსნილი ქალები, რადგან მოსკოვში სწავლის დროს ბოლომდე ვერ დაიკმაყოფილეს სექსუალური მოთხოვნილებები. მერე თურმე ვიღაცამ თქვა, ამან ჩვენს საზოგადოებაზე პირიქით არ იმოქმედოსო, და სასამართლოსთვის მიზანშეუწონლად მიიჩნიეს ასეთი ვერსიის განვითარება.

სამაგიეროდ, იყო დეტალი, რომელიც (წინა შემთხვევისაგან განსხვავებით) სასამართლოზე მაინც დატოვეს და ფრაზა იმის შესახებ, რომ თვითმფრინავის გამტაცებლები თითქოს მგზავრებს არ უშვებდნენ ტუალეტში მთელი ღამის განმავლობაში, რამდენჯერმე გაიმეორეს როგორც მნიშვნელოვანი ბრალდება. (სხვათა შორის, დასაწყისში, როცა თვითმფრინავს ტყვიებს გარედან ესროდნენ ავტომატიანი ჯარისკაცები, გამტაცებლები არათუ მგზავრებს უკრძალავდნენ, თვითონაც არ მოძრაობდნენ ტუალეტის მიმართულებით). თუმცა, იმავე პროცესზე საერთოდ გამოტოვეს დეტალი, რომელიც მრავლისმთქმელი იყო და პირველად, როცა წყნეთში და ლვოვის ქუჩაზე დაიწყეს შეკრებები, ყველაზე ხშირად გაზის ბალონებს ახსენებდნენ. მათ გაგონილი ჰქონდათ, რომ არსებობდა გაზის პატარა, ჯიბეში შესანახი ბალონი, რომელსაც (მათი გეგმით) ყველასათვის შეიძენდნენ და გამტაცებლები სახეზე მისხურებით აიძულებდნენ მფრინავებს, რომ მათ თვითმფრინავის მარშრუტი შეეცვალათ. თავიდან წყნეთში წერილიც კი შეადგინეს, სადაც მფრინავებს მოთხოვნებს უყენებდნენ და თან მოუწოდებდნენ, მგზავრებსა და სტიუარდესებზე ეფიქრათ.

გადაცემა საბოლოოდ ისე დაამონტაჟეს, რომ შეწყალებაზე ხელმომწერმა რამდენიმე ინტელიგენტმა თვითონვე თქვა უარი საკუთარ ხელმოწერაზე, მაგრამ დანარჩენები ყველანი დაიბარეს ცეკაში და არა მხოლოდ მუქარით აიძულეს იგივე გაეკეთებინათ. ძალიან ბევრს არათუ უარი ათქმევინეს ხელმოწერაზე, ახსნა-განმარტებაც დააწერინეს და ბოდიშიც მოახდევინეს იმ შეცდომის გამო, რომელიც მათ კომპარტიისა და მთავრობის წინააღმდეგ დაუშვეს. თუმცა აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც თავიანთი პრივილეგიებიც კი დათმეს, მაგრამ ხელმოწერებზე უარი მაინც არ თქვეს და ბოლომდე იმ აზრზე დარჩნენ, რომ გეგა და მისი მეგობრები უნდა შეეწყალებინათ. ცხადი იყო, მათი დახვრეტა საქართველოს ხელისუფლებას

გადაწყვეტილი ჰქონდა უკვე და მოსკოვშიც სულ ამაოდ ელოდნენ ქართული საზოგადოების თხოვნას თვითმფრინავის გამტაცებლების შეწყალების თაობაზე.

ხალხმა კი საქართველოში იმდენად სასტიკად მიიჩნია მაშინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომ შევარდნაძის სისასტიკეზე ლეგენდები გაჩნდა. ეს იყო ქართველების შურისძიების ერთადერთი გზა და საშუალება მაშინ და ყველგან და ყველანი ყვებოდნენ, თუ როგორ დაიბარა შევარდნაძემ ძმების, პაატასა და კახაბერის მამა კაბინეტში სიკვდილმისჯილ შვილებზე სასაუბროდ. არავინ იცის, რამდენად მართალი იყო ის, რასაც ყვებოდნენ, მაგრამ როგორც წესი ხალხის მიერ მოგონილი ამბავი ზუსტად იმ დამოკიდებულებას ასახავს ხოლმე, რაც ამ ხალხს გააჩნია.

პაატასა და კახაბერის მამა, ცნობილი ქართველი ექიმი და მეცნიერი, რომელსაც შევარდნაძე პირადად იცნობდა, მისი შვილების დაპატიმრებისთანავე, მეორე დღესვე, რასაკვირველია სამსახურიდან გაათავისუფლეს, სასამართლოს დამთავრებიდან სამი კვირის შემდეგ კი ცეკას პირველ მდივანთან დაიბარეს.

ბატონი ვაჟა, რა თქმა უნდა, მიხვდა, რაზეც, უფრო სწორად, ვიზეც იქნებოდა საუბარი შევარდნაძესთან და სპეციალურად ჯინსებით წავიდა საქართველოს ცეკაში, იქ, სადაც მისი შვილების ბედი წყდებოდა.

ბატონ ვაჟას თავისი ჯინსები არ ჰქონდა, მაგრამ ბიჭების ოთახში ერთ-ერთი შვილის ჯინსები მოძებნა. თუმცა ეს არც ისე ადვილი იყო, რადგან შვილების ოთახი უკვე იმდენჯერ ჰქონდათ გაჩხრეკილი და არეული, რომ აღარც ალაგებდნენ, რადგან აზრი აღარ ჰქონდა – მოდიოდნენ და თავიდან ანგრევდნენ. ამიტომაც ბატონმა ვაჟამ დიდხანს ეძება ჯინსის შარვალი, რომელსაც შვილების სუნი ჰქონდა, სარკის წინ მოირგო და ცეკაში წავიდა.

ცეკაში, როცა საშვი გამოუწერეს, დაბალ და მაღალჩინოსნებმა ძალიან გაკვირვებულებმა ჩაათვალიერეს კაცი, რომელიც შევარდნაძესთან შეხვედრაზე მიდიოდა, რადგან ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ცეკაში გამოძახებულ ადამიანს ჯინსები ეცვა.

შევარდნაძემაც, თავდახრილმა, რომელსაც შემოსულის გამარჯობა არც გაუგია, პირველად ბატონი ვაჟას შარვალი შეამჩნია და როცა ისევ თავაუწევლად, სკამზე დასაჯდომად მიუთითა ბატონ ვაჟას, კარგად დააკვირდა სტუმრის ჯინსებს. დააკვირდა გაბრაზებით და ვინ იცის, იფიქრა კიდეც, რომ ეს იყო მამის პროტესტი მისი შვილებისათვის უკვე გამოტანილი განაჩენის გამო. ამიტომაც საუბარი ისე დაიწყო, როგორც დაიწყო.

– ალბათ ხვდები, რატომ დაგიბარე.

– არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ალბათ საუბარი ჩემს შვილებს შეეხება.

– გცოდნია.

– გისმენთ.

– მე გისმენ.

– მე არაფერი მაქვს თქვენთვის სათქმელი.

– მაგრამ სათხოვარი ალბათ გაქვს.

– რას გულისხმობთ?

– რა თქმა, უნდა შენს შვილებს.

– ჩემი შვილების გამო ვერაფერს გთხოვთ.

– რატომ, ჩვენი გულმოწყალების იმედი არა გაქვს?

– არა მაქვს უფლება, მხოლოდ ჩემი შვილების სიცოცხლე გთხოვოთ, სხვებს ჩემს შვილებზე მეტი არ დაუშავებიათ.

– ესე იგი იმას მთხოვ, რომ განაჩენი ყველას შეუცვალონ?

– თუ ამისთვის დამიბარეთ, ამას გთხოვთ. მხოლოდ ჩემი შვილების გადარჩენას ვერ გთხოვთ, რადგან იმათ მშობლებთან მართალი არ ვიქნები, ვინც თქვენ პირადად არ გიცნობთ და ჩემსავით ვერ მოხვდება აქ თავისი შვილის გადასარჩენად...

– თუმცა, სხვებს სხვა მდგომარეობა აქვთ.

– ახლა ყველანი ერთ მდგომარეობაში ვართ.

– მაგრამ ორი შვილისთვის ერთად ასეთი განაჩენი ჯერ არ გამოუტანიათ, ისინი თითო შვილს დაკარგავენ, შენ კი ორივეს, თუ არ შეიწყალებენ...

– ვინ უნდა შეიწყალოს?

– მოსკოვმა.

– არის შანსი?

– ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, მაგრამ ძალიან ხშირად გადაწყვეტილებებს ისე იღებენ, ჩვენ არაფერს გვეკითხებიან. ჩემი გადასაწყვეტი რომ იყოს, ხომ იცი...

– ვიცი, – თქვა ბატონმა ვაჟამ, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში არ იცოდა, რას იზამდა ეს კაცი, მისი გადასაწყვეტი რომ ყოფილიყო განაჩენის შეცვლა და ცოტა ხანს ორივენი დუმდნენ. ბატონმა ვაჟამ კი იმიტომ არ უთხრა სიმართლე შევარდნაძეს, რომ ჯერ კიდევ არსებობდა იმედი შვილების გადარჩენისა და დუმილი ისევ ცეკას მდივანმა დაარღვია:

– ყველასთვის განაჩენის შეცვლის შანსი ძალიან ცოტაა, მაგრამ იმდენს მაინც შევძლებ, რომ ერთ-ერთი შვილი მაინც გადაგირჩინო. ამდენი წელია ერთმანეთს ვიცნობთ და აქამდე არასოდეს არაფერი გითხოვია ჩემთვის.

– არც ეგ მითხოვია.

– მეც ამიტომ მინდა, რომ ერთ-ერთი ძმა მაინც გადავარჩინო, მოსკოვს უკვე ველაპარაკე ამის

თაობაზე...

– როგორ?

– რომელსაც უფრო მეტად ეკუთვნის განაჩენის შეცვლა, ალბათ იმას შეუცვლიან...

ბატონი ვაჟა ფეხზე წამოდგა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ უცებ ყელი გაუშრა და ვერაფერი თქვა. შევარდნაძემ ჩათვალა, რომ სტუმარს მადლობის თქმა უნდოდა ცეკას მდივნისთვის და ხელის გაქნევით ანიშნა, რა სამადლობელიაო. ბატონმა ვაჟამ ისევ დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ ისევ უშედეგოდ და კარისკენ ნელა დაიძრა. როცა კარი გამოაღო, ცეკას მდივანი ფეხზე წამოდგა, ახლოს მივიდა ბატონ ვაჟასთან და თითქმის ჩურჩულით, შინაურულად ჰკითხა:

– ისე, შენ რომელი უფრო გირჩევნია?

ბატონი ვაჟა მიხვდა, რომ აი ახლა, აქვე შეეძლო მომკვდარიყო, შევარდნაძეს რომ კიდევ რაღაც ეთქვა მისთვის და კარი გამეტებით გაიჯახუნა. გაიჯახუნა და წავიდა.

გასაგებია, რატომ მოიგონეს ეს ლეგენდა, მაგრამ უცნობია კონკრეტული ავტორი.

განაჩენის გამოტანის შემდეგ, თინა, როგორც უკვე მისჯილი პატიმარი, ქალთა კოლონიაში უნდა გადაეყვანათ, დანარჩენები კი სიკვდილმისჯილთა საკნებში – ორთაჭალის უძველესი ციხის მიწისქვეშეთში. იმ ჯურღმულებამდე ზუსტად ერთი ღამე რჩებოდა კაგებეს ციხეში და ბერმა იმ ბადრაგს, რომელსაც მალულად იოანეს სახარება აჩუქა, უკანასკნელი სურვილის შესრულება სთხოვა:

– ხვალიდან ველარ მნახავ, გადამიყვანენ.

– ვიცი.

– სიკვდილმისჯილებში.

– ვიცი.

– დახვრეტის მოლოდინში.

– ვიცი.

– უკანასკნელ თხოვნას ხომ ყველას უსრულებენ?

– მითხარით და შევეცდები.

– იცი გეგა რომელში ზის?

– ვიცი.

– თინა?

– იმ გოგოს საკანიც ვიცი.

– შეგიძლია რომ ერთმანეთს ანახო?

– ამ ღამეს?

– ეს უკანასკნელი ღამეა, ერთმანეთს ველარასოდეს ნახავენ. ჩემი უკანასკნელი თხოვნაც ეს არის.

– ქალების სართული მე არ მეკუთვნის და გასაღების გარეშე ვერ შევაღწევ.

– სიყვარული ყველა კარებს აღებს...

– იმ წიგნზე როდის ვილაპარაკოთ, მამაო?

– სიყვარულის პირველ კარს რომ გააღებ, მერე. აქვეა, ზედა სართულზე...

– კიდევ ბევრი ასეთი კარი მელოდება?

– ბევრი, მაგრამ ზოგს უფრო ადვილად გააღებ.

– პირველი კარი მაინც ყოველთვის უფრო ძნელია, არა, მამაო?

– რამდენი ხანია მინდოდა მეკითხა შენთვის აქ როგორ მოხვდი სამუშაოდ-მეთქი და სულ მავიწყდება. სულ მიკვირს და სულ მავიწყდება...

– მაგას, მამაო, რომ დავბრუნდები, მერე მოგიყვები.

ბადრაგმა საათს დახედა, მერე ბერს გაუღიმა და მშვიდად, ძალიან მშვიდად უთხრა:

– მაშინ ახლავე ავალ, მგონი კარგი დროა.

– დრო ყოველთვის ერთია, – თქვა ბერმა უფრო თავისთვის და მიმავალ ბადრაგს პირჯვარი გადასწერა.

ბადრაგმა ისევ მაჯის საათს დახედა დერეფანში ჩამოკიდებული ნათურის შუქზე და ფეხს აუჩქარა. დერეფანი სწრაფად გაიარა და მარჯვნივ შეუხვია, კიბე აიარა და მაგიდასთან ჩამოძინებულ თავის პირად უფროსს „იოანეს სახარება“ მაგიდაზე ხმაურით დაუდო.

– რა არი? – იკითხა უფროსმა და ყდას დახედა.

– წიგნია.

– წიგნი როა, ვხედავ.

– პატიმარს ჩამოვართვი.

– ლოცვა უშველით, ბიჯო, მაგათ? პაპაჩემი დიაკვანი იყო და რა, არაფერი, სუ ეკლესიაში იდგა ლოცვაზე და წევს ახლა იმ ეკლესიის ეზოში, ჩვენი სოფლის ბოლოს... მოსწრებოდა მაინც ჩემს

დიდკაცობას, ქალაქში სუ ორჯერ იყო ნამყოფი.

– უფროსო, ზედა საერთოს გასაღები მინდა, პატიმარი უნდა შევიყვანო, კუჭი აქვს აშლილი და მაგისი გაჭედილია და ხელოსანი, აბა, დილამდე არ იქნება.

– რომელი პატიმარია?

– გვარი არ მახსოვს, საკონსერვოს ამბავზე რომ ზის.

– შენი პატიმარია?

– კი, ჩემია.

– მერე რა აჭამეთ ეგეთი?

– თავისივე კონსერვი.

უფროსმა გულიანად გაიცინა და მაგიდის უჯრიდან გასაღები გამოაძვრინა.

– დროზე ქნას, შუაღამეა უკვე და ხო იცი, რო წესით არ შეიძლება.

– მაგრამ რამე რომ მოუვიდეს, მაგასაც ჩვენ დაგვაბრალებენ და უარესი იქნება.

– ძაან დაჭკვიანდი, აი, შენა ამ ბოლო დროს და ჩემ ადგილს ხომ არ უმიზნებ? უფროსობა მოგინდა, ბიჯო?

ახლა ბადრაგმა გაიცინა, ოღონდ არა ისე გულიანად, როგორც უფროსმა და გზა განაგრძო. დერეფანს ბოლომდე გაუყვა და ზედა სართულის კიბეს აუყვა. მერე მარცხნივ შეუხვია და საკნების გადათვლა დაიწყო. მარჯვენა მეშვიდე საკანთან შეჩერდა, ჯერ უკან გაიხედა ნახევრადჩაბნელებულ დერეფანში და მერე გასაღებით კარზე დააკაკუნა. პასუხს აღარ დაელოდა, გასაღებით საკეტი გახსნა და გადაატრიალა. გეგა ფეხზე იდგა და ბადრაგმა ჩუმად, ოდნავ გასაგონად უთხრა:

– სწრაფად გამოდი.

– რა ხდება?

– ბერის თხოვნას ვასრულებ.

გეგამ და ბადრაგმა სწრაფად გაიარეს დერეფანი და მარჯვნივ შეუხვიეს. მერე კიბეზე ავიდნენ და ზედა სართულის დაცვამ გაოგნებული სახით ჰკითხა ბადრაგს, სად მიჰყავდა პატიმარი ამ შუაღამისას:

– მეცხრამეტეში ამის ცოლი ზის, სულ ხუთი წუთით და უკანვე წავიყვან.

– შენ თუ ხვდები, ამის გამო რას გიზამენ?

– ახლა თუ არ ნახეს ერთმანეთი, ვეღარასოდეს ნახავენ. დღეს ამას დახვრეტა მიუსაჯეს და ხვალ

გუბერსკში გადაჰყავთ.

– ჰოდა, თუ გადაჰყავთ, ხვალიდან მაგის კამერაში შენ ჩაგსვამენ.

– გასაღებს არ მაძლევდი, მე კი ძალით წაგართვი. თუ მოგთხოვეს ახსნა-განმარტება, ეგრე დაწერე.

ბადრაგმა საკნის გასაღები ხელიდან გამოჰგლიჯა სართულის მორიგეს და გეგასთან ერთად დერეფანს გაუყვა. სართულის მორიგეზე მეტად გაკვირვებული გეგა იყო, რომელმაც ჩურჩულით უთხრა ბადრაგს:

– მე კი არცერთხელ არ მივედი ბერთან.

– როდის?

– დაჭერამდე. სულ მელოდებოდა...

– აი, ეს არის, – თქვა ბადრაგმა და მეცხრამეტე საკანთან გაჩერდა. ფრთხილად დააკაკუნა, გასაღები გადაატრიალა, კარი გამოაღო და გეგა საკანში შეუშვა.

თინა ლოგინზე იჯდა ფეხშიშველი, თეთრი პერანგის ამარა. საწოლი კი იდგა კარის პირდაპირ, კედელთან, რომელსაც გისოსებით ამოქოლილი ფანჯარა ჰქონდა, მაგრამ გისოსებს მიღმაც კედელი იყო, გარედან ამოშენებული ფერდაკარგული აგურით.

თინა იჯდა ლოგინზე ფეხშიშველი და არაფერს ამბობდა, მხოლოდ უსმენდა გეგას, რომელიც თინას გვერდით იჯდა ახლა და ფრთხილად, ძალიან ფრთხილად ეფერებოდა თინას თითებს:

– მაგაზე არ იფიქრო... ბაბუაჩემსაც დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ გადარჩა. მე ვისი სახელიც მქვია, ის ბაბუაც ოცდასამი წლის იყო, როცა დახვრეტა მიუსაჯეს და ბერიას მეგრულად უთხრა სიკვდილის არ მეშინია, შენც იქ მოხვალ და მერე ვილაპარაკოთო. ღამე გამოიყვანეს მეტეხის ციხიდან, მტკვრისკენ ზურგით დააყენეს და ბაბუაჩემმა სთხოვა, ზურგში ნუ მესვრით, მირჩევნია სიკვდილს თვალებში ვუყურო. იმათაც პირდაპირ დაუმიზნეს, ესროლეს და სპეციალურად ააცილეს ბერიას დავალებით. ბაბუაჩემი მერე თურმე სულ მაგას ამბობდა, ბერიამ დახვრეტაზე უარესი გამიკეთაო... ახლაც ცოცხალია, თუმცა შენც ხომ გახსოვს, ჩვენს ქორწილში სულ შუბლზე რომ გკოცნიდა და ტიროდა... არც მე დამხვრეტენ, ნუ გეშინია, ბოლოს მაინც რაღაც მოხდება და მაინც არ დამხვრეტენ...

კარზე ძალიან მორიდებული კაკუნის ხმა გაისმა და გეგა ფეხზე წამოდგა:

– მოვდივარ, – თქვა გეგამ ძალიან ჩუმად და ისევ დაჯდა. თინას მონატრებულ თითებს მაგრად, ძალიან მაგრად მოუჭირა მარჯვენა ხელი და ატირდა, ისე როგორც ერთხელ ბავშვობაში, როცა მკვდარი ჩიტი იპოვა ეზოში, სახლის უკან.

მერე, საკნიდან გამოსვლისას, სანამ ბადრაგი კარს დაკეტავდა, გეგამ კიდევ ერთხელ გაიხედა თინასკენ, რომელიც ისევ ლოგინზე იჯდა ძალიან ნათელი სახით და გეგას სწორედ ასეთი დაამახსოვრდა თინა სამუდამოდ – საკნის საწოლზე ჩამომჯდარი, ფეხშიშველი და სველი თვალებით...

www.ChiaturaINFO.GE

გაფრენა

მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოში მაინც სჯეროდათ, რომ თვითმფრინავის გამტაცებლებს არ დახვრეტდნენ. ზოგიერთებს იმდენად სურდათ, რომ ეს არ მომხდარიყო, თვითონვე იგონებდნენ სხვადასხვა ვერსიას და მათ შორის ყველაზე გავრცელებული ციმბირის ვერსია იყო. ამბობდნენ, რომ სიკვდილმისჯილებს კი არ ხვრეტდნენ, არამედ აგზავნიდნენ ციმბირში, საიდუმლო საბჭოთა ობიექტებზე სამუდამოდ სამუშაოდ და ამბობდნენ, რომ თვითმფრინავის გამტაცებლებსაც იგივე ელოდათ. სინამდვილეში საბჭოთა ხელისუფლება სიკვდილმისჯილებს ხვრეტდა, მაგრამ ციმბირის ვერსია იყო იმ ადამიანების ფანტაზიის ნაყოფი, ვისაც სიკვდილისათვის დამნაშავეებიც კი არ ემეტებოდათ. სიკვდილმისჯილებს ხვრეტდნენ, ოღონდ განაჩენის სისრულეში მოყვანა ხდებოდა საკმაოდ გვიან განაჩენის გამოტანიდან, რადგან ნებისმიერი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მოსკოვის ოფიციალურ დასტურს უნდა დალოდებოდა ბოლომდე და როგორც წესი, ეს პროცესი, ზოგჯერ რამდენიმე წლის მანძილზეც კი იწელებოდა. ამიტომაც დღემდე სრულიად დაუჯერებელი და გაუგებარია თვითმფრინავის გამტაცებელთა მიმართ გამოჩენილი განსაკუთრებული აჩქარება, რადგან ისინი დახვრიტეს განაჩენის გამოტანიდან თვე-ნახევარში, სამ ოქტომბერს და შეიძლება პირიქითაც იყოს და სრულიად გასაგებია, რატომ აჩქარდა მაშინ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება ასეთი მონდომებით.

რასაკვირველია, ოფიციალურად არაფერი გამოუცხადებიათ და მშობლებისა და ოჯახის წევრებისათვის. არც მაშინ და არც მერე არაფერი შეუტყობინებიათ მაგრამ ინფორმაცია გეგასა და მისი მეგობრების დახვრეტის შესახებ თბილისსა და საქართველოში მაინც გავრცელდა. რადგან საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ინფორმაციის ალტერნატიული წყარო, უბრალოდ არ არსებობდა, ქართველები მხოლოდ დასავლური რადიოარხების მეშვეობით იგებდნენ ახალ ამბებს და საერთოდ ყველაფერს, რასაც საბჭოთა მთავრობა თავის ხალხს საგულდაგულოდ უმალავდა. თვითმფრინავის გამტაცებელთა შესახებაც ეს სამწუხარო ინფორმაცია სწორედ „ამერიკის ხმამ“ გადმოსცა განაჩენის სისრულეში მოყვანის დღესვე, სამ ოქტომბერს, მაგრამ უმრავლესობამ მაინც არ დაიჯერა, რომ გეგა ცოცხალი აღარ იყო, რადგან იმედი სულ ბოლოს კი არა, საერთოდ არასოდეს კვდება.

გეგას ბაბუაც, ვისი სახელიც გეგას ერქვა და იმავე ასაკში ბერიას დროს დახვრეტას სასწაულით გადაურჩა, სწორედ იმ დღეს, სამ ოქტომბერს გარდაიცვალა...

სიკვდილმისჯილთა საკნები იყო ორთაჭალის ციხის ჯურღმულებში, მიწისქვეშა გუბერსკის სულ ქვედა სართულზე, საიდანაც გაჰყავდათ კიდეც პატიმრები დასახვრეტად იმავე სართულზე არსებულ სპეციალურ ოთახში. თუმცა იმავე სართულზე არამხოლოდ სიკვდილმისჯილები ისხდნენ და ამიტომაც ციხემ იცოდა, ვინ სად იჯდა, ვინ გაჰყავდათ ან შემოჰყავდათ სართულზე და მით უმეტეს, კარგად იცოდნენ სიკვდილმისჯილების შესახებ ყველაფერი ერთი სართულით ზემოთ არსებულ საკნებში. სწორედ ზემოთ, სიკვდილმისჯილთა სართულის თავზე, ერთ-ერთ საკანში იხდიდა მაშინ სასჯელს ერთ-ერთი ცნობილი ავტორიტეტი, დიმა ლორთქიფანიძე, რომელიც პარიზში, ქართველი პოლიტიკური ემიგრანტების ოჯახში იყო დაბადებული და მისი ანტისაბჭოური შეხედულებებიც სულ არ იყო შემთხვევითი. მისი საკნის გვერდით კი მაშინ აღმოჩნდა რამდენიმე პატიმარი ქალი, რომლებიც ვაჭრობის გამო იყვნენ დაკავებულები და სანამ მიუსჯიდნენ და ქალთა ზონაში გადაიყვანდნენ, საღამოობით თურმე ღიღინებდნენ ხოლმე. მათი ღიღინის შესახებ დიმა ლორთქიფანიძემ შეიტყო ზედამხედველისაგან, რომელმაც ერთხელ

უბრალოდ დაიწუწუნა, ნეტა ამ ქალებს რა სიმღერა აუტყდათ, მერე შენიშვნას მე მაძლევს უფროსობაო და ლორთქიფანიძემ ზედამხედველს დაწვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი მოღიღინე პატიმრების შესახებ. ზედამხედველმა მხრები აიჩეჩა, მაგ ქალებიდან ზოგი ბულალტერია და ზოგიც მაღაზიის გამყიდველი და მეც ეგ მიკვირს, რო ეგრე კარგად მღერიანო. მაშინ პატიმარმა დიმა ლორთქიფანიძემ ზედამხედველი უფრო ახლოს მოიხმო და უფრო ჩუმად ჰკითხა:

– მაგ ქალებმა რომ ხმამაღლა იმღერონ, ქვემოთ თუ გაიგებენ?

– სად ქვემოთ?

– სიკვდილმისჯილებში.

– დაკეტილ საკნებში, აბა, როგორ გაიგებენ.

– დერეფანში ხომ გაიგებენ?

– თუ ბოლო ხმაზე იმღერეს ამ ქალებმა, ქვემოთ დერეფანში ალბათ გაიგონებენ.

– ალბათ თუ ნაღდად?

– ალბათ.

– ახლა მომისმინე. შენი პატივისცემა ჩვენზეა, თუ პატარა თხოვნას შეასრულებ.

– სამსახურს ნუ დამაკარგინებ და...

– სამსახური კი მართლა ისეთი გაქვს, რომ აფსუსი იქნება ამის დაკარგვა, მაგრამ მაინც კარგად მომისმინე.

– აბა, გისმენ.

– ქვემოთ, სიკვდილმისჯილებში გეგა ზის, მსახიობი ბიჭია.

– ხო, ვიცი, თვითმფრინავის ამბავზეა, სხვებიც მანდ არიან.

– სხვებს ვერ დავეხმარებით, თანაც ეგ დახმარება გეგას ყველაზე მეტად სჭირდება, ოცდაორი თუ ოცდასამი წლისაა, პატარა ბიჭია.

– ჰო, ვიცი, კინოშიც მყავს ნანახი.

– კინოც გყვარებია და, აბა, ერთი ეგეც მითხარი, იმ გეგას რომ დასახვრეტად გაიყვანენ, რამდენ ხანში გაიგებ?

– ეგრევე გავიგებ, მაგ სართულზე ჩემი ბიძაშვილია ზედამხედველი.

– ნაღდი ბიძაშვილია თუ გარე?

– ალალი.

– მაშინ გაყვანას რომ დაუპირებენ, ეგრევე მეც უნდა ვიცოდე.

– სამსახურს ნუ დამაკარგვინებ, ორი პატარა შვილი მყავს და რომ ვიცოდე მაინც, რას აპირებთ.

– ისეთს არაფერს.

– მე ნუ დამლუპავთ.

– ისეთს არაფერს-მეთქი.

– მაინც?

– გეგას რომ გაყვანას დაუპირებენ, ქალებს ეტყვი, რომ სიმღერა დაიწყონ, რაც შეიძლება ხმამაღლა, ბოლო ხმაზე იმღერონ. ქალებს უთხარი, რომ ჩემი თხოვნაა გეგას გასამხნევებლად, ისიც უთხარი, რომ დასახვრეტად მიჰყავთ.

ზედამხედველი გაოგნებული იდგა და ამ უცნაურ პატიმარს უსმენდა, რომლის მსგავსიც აქ არ ენახა, არც იმ სხვა ციხეებში, სადაც ადრე, მანამდე მუშაობდა...

ისინი ყველანი ერთ დღეს დახვრიტეს, მაგრამ მაქსიმალურად შეეცადნენ, რომ ეს არ გახმაურებულიყო და სამ შემთხვევაში ეს გაცილებით ადვილად გამოუვიდათ, რადგან ბერი და ძმები სპეციალურად დღისით გაიყვანეს საკნებიდან, რადგან დღისით ციხის ყურადღება უფრო მოდუნებულია და ბოლოს იმ საკნის კარიც გააღეს, რომელშიც გეგა იჯდა.

თუმცა გეგა ფეხზე იდგა და მაინც სჯეროდა, რომ ეს არ მოხდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ არ იცოდა, სად მიჰყავდათ; არ იცოდა, რომ დერეფნის ბოლოს იყო ოთახი, სადაც მას თავისი განაჩენი ელოდა. იმ დერეფნის გავლისას კი გეგას სიმღერის ხმა შემოესმა სადღაც შორიდან, სადღაც ზევიდან, მაგრამ იფიქრა, რომ მოეჩვენა და ოდნავ, სულ ოდნავ გაეღიმა კიდეც. ერთი სართულით ზევით კი პატიმარი ქალები მართლა მღეროდნენ, იდგნენ ძალიან ახლოს ჩაკეტილი საკნის სარკმელთან და ხმამაღლა, ტირილით მღეროდნენ. მათი ხმა, გეგასაგან განსხვავებით, კარგად ესმოდა დიმა ლორთქიფანიძეს, რომელიც გამეტებით ურტყამდა თავისი საკნის კარს დასისხლიანებულ მუშტს და მთელი ციხის გასაგონად ყვიროდა.

დიმას ხმას მაშინვე მოჰყვა დანარჩენი პატიმრების რეაქცია, რადგან რამდენიმე წამში ორთაჭალის ციხის ყველა პატიმარმა იცოდა, რომ ქვემოთ, სარდაფში, ადამიანი დასახვრეტად მიჰყავდათ. რამდენიმე წამში ციხის ყველა სართული ერთად, ხმის ჩახლეჩამდე ღრიალებდა გეგას სახელს და როცა გეგა დერეფნის ბოლოს მიუახლოვდა, მთელი ციხე უკვე ისე გუგუნებდა, რომ გეგას გამცილებელმა ზედამხედველებმა საკმაოდ შეშფოთებულებმა გადახედეს ერთმანეთს. შეიძლება აჩქარების ბრალი იყო ან საბჭოთა იმპერიაში, მართლაც რაღაც ლპებოდა, რადგან იმ ოთახში შეყვანისთანავე, ჯალათმა, რომელიც გეგას ელოდებოდა, ინსტრუქციის თანახმად, უკნიდან ესროლა სიკვდილმისჯილს, მაგრამ ტყვია არ გავარდა. პროფესიონალი მკვლელისთვის ეს ისეთი მოულოდნელობა იყო, რომ იგი დაიბნა და აღელდა კიდეც. გეგა კი, საიდანღაც მოგონილი სიმშვიდით, ჯალათისკენ შემოტრიალდა მაშინვე და ღიმილით უთხრა:

– ადრე ხალხის დახოცვა მაინც შეგეძლოთ, ახლა ეგეც აღარ შეგიძლიათ.

მკვლელმა მეორედ გაისროლა და უცებ ყველაფერი დამთავრდა...

მართალია, სიკვდილმისჯილების მშობლებისთვის ოფიციალურად არაფერი შეუტყობინებიათ განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას უფრო მზაკვრული და სასტიკი წესებიც ჰქონდა. სამი ოქტომრის შემდეგ, რამდენიმე დღეში სიკვდილმისჯილების ოჯახებს ქვითრები მიუტანეს და ოფიციალურად გადაახდევინეს მათი შვილების მოკვლისათვის დახარჯული ტყვიების საფასური. თითო ტყვიის საფასური სამი მანეთი იყო, მაგრამ გეგას დედას ექვსი მანეთი გადაახდევინეს – იმ პირველი, გაჭედილი ტყვიისთვისაც, რომელიც არ გავარდა, ან გავარდა, მაგრამ ჯალათმა უბრალოდ ააცილა. თუმცა ეს ძალიან ძნელი დასაჯერებელი იყო, რადგან ისინი არათუ ასეთი ახლო მანძილიდან, შორიდანაც კი იშვიათად აცილებდნენ და მთელი საბჭოთა იმპერიის ისტორიაც სწორედ ეს იყო.

მათ კი, ვინც დახვრეტებს უშუალოდ ასრულებდა, ყოველ მოკლულ პატიმარზე თოთხმეტ მანეთს უმატებდნენ ყოველთვიური ხელფასის გარდა. იქ, სადაც ადამიანის სიკვდილი თოთხმეტი მანეთი ღირდა, ადამიანის სიცოცხლეს რა ფასი ექნებოდა.

ისინი არ ყოფილან გმირები და იმას, რაც მათ ჩაიდინეს, ყველა ენაზე დანაშაული ჰქვია.

ამიტომაც:

თვითმფრინავის გამტაცებლების მშობლებსა და ოჯახის წევრებს, მეგობრებსა თუ ახლობლებს, არასოდეს უთქვამთ, რომ გეგა და მისი მეგობრები უდანაშაულოები იყვნენ და პასუხი არ უნდა ეგოთ იმისათვის, რაც ჩაიდინეს.

თვითმფრინავის გატაცება ყველგან დანაშაულია და მით უმეტეს მაშინ, როცა ის მსხვერპლით მთავრდება, გამტაცებლები უნდა დაისაჯონ.

მაგრამ:

მათი დახვრეტა, ვისაც არავინ მოუკლავს, ისეთივე დანაშაულია, როგორც თვითმფრინავის გატაცება და იქნებ უარესიც.

მით უმეტეს:

დანაშაულია თვითმფრინავის გატაცების მცდელობისათვის იმ ადამიანის დახვრეტა, რომელიც იმ თვითმფრინავში საერთოდ არ მჯდარა. როგორც ჩანს, ქართველი ბერისადმი გამოჩენილმა განსაკუთრებულმა სისასტიკემ სახელმწიფოს მხრიდან, მთლიანად შეცვალა იმ ბადრაგის ცნობიერება, რომელიც დახვრეტამდე ბერის უშუალო ზედამხედველი იყო თბილისის კაგებეს ციხეში. იმ ბადრაგმა ციხეში სამსახურს თავი დაანება და იმ მონასტერში წავიდა სამუდამოდ, სადაც ასე ძალიან უყვარდა განმარტოება დახვრეტილ ბერს. იმ სოფელში კი, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა მონასტრისკენ მიმავალი თოვლიანი გზა, რომელსაც ყოფილი ბადრაგი მიუყვებოდა, იმ დღესვე გაჩნდა ლეგენდა, რომ ბერი არ მოუკლავთ და უდანაშაულო ადამიანი დასახვრეტად მაინც არ გაიმეტეს.

საქართველოში დღემდე უამრავ ადამიანსაც სწორედ ასე სჯერა, რომ თვითმფრინავის გამტაცებლები ახლაც ცოცხლები არიან და არიან სადღაც შორს, ძალიან შორს ამ ბოროტებით სავსე სამყაროდან, რადგან მათ ძალიან უნდოდათ გაფრენა და მართლა გაფრინდნენ...

www.ChiaturaINFO.GE